კვირის პალიტრა

N18(47) 3/V.-9/V.2001. ფასი 60 თ.

ქართველი მენატურეების პირველი გაფიცვა

სიგარეტი „პირველი“ ჩემია!

1168
2001

ვინ არის ავთო წერეთელი

მეგრელი ქალის სიყვარულით გალოთებული ზანგი

რატომ დაიწვა ბია აბესაძემ თავი

ნანა ფაჩუაშვილი:

„თამაზისგან ბიჭი დამრჩა და მისივე სახელი დავარქვი... შემდეგ დავუბრუნდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრს — ფრისტანს და მანაც მიმიღო...“

გვ.20

ქვეყნის ეროვნული
№18 (47)
3 - 9 მაისი 2001
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
ანაქრონიზმი – „გაუდეამუს იგიტურ...“ 3
პერსონა
ავთანდილ წერეთელი: „ჩემი „კრიშა“ საბიუჯეტო შენატანებია“ 4
პრობლემა
რა საჭიროა „არასაჭირო“ შუქნიშნები?!.. 7
მსახიობი
პოპულარობა „წვრილვარსკვლავთა ღამემ“ მომიტანა 8
ტესტი
ერთგული მკითხველი 9
აღსარება
„შესაძლოა, ახლა ვინმე ქართველი, ჩემი თირკმლით დადის“ 10
სასარგებლო აზრები
აფორიზმების ენციკლოპედია 11
პროფესია
მხატვრებს მენატურე ქალები უფრო სჭირდებათ 12
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი ბიჩა დვალის უბის წიგნაკიდან 14
ნაფიქრალი ამბავი
ხუმარა ბრიშა ანუ ვის როგორი ცოლი ჰყავს... 14
კრიმინალი
„ყურაშვილის გათავისუფლება სასამართლოსთან სამათხოვროდ არ უნდა გაგვიხდეს“ 16
სამართალი
კანონიერი უფლებები და რეალური უუფლებობა 18
შეამოწმეთ თქვენი ცოდნა
ტესტი ერუდიციაგე 19
პირველი სიყვარული
ნანა ფაჩუაშვილი: „პირველი სასიყვარულო ბარათი ბიჭს მე გავუგზავნე“ 20
შემოქმედი
„თბილი ლოგინიდან – ცივ ღამეში“ 21
შეჩერებული ნაში
შეგირდების ოსტატობით კმაყოფილი მაესტრო 23
სტუმარი
ქართულად მოლაპარაკე ბანგები, ანუ საქართველოში უამრავი ლოდო დაიბადება... 24
რჩევები
ბრძენკაცის დარიგებები 25
თავგანნირვა
„დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას – ბოლო“ 26

„ჩემი „კრიშა“ საბიუჯეტო შენატანებია“

რად გინდა სამკაული, რომელიც უნდა დადო სახლში და შეიძლება უბედურებას გადაეყარო?! სჯობს ფული საქმეში ჩადო და დაატრიალო. მე თვითონაც არ მიყვარს ოქრო – ვერცხლს ვატარებ.

4

მხატვრებს მენატურე ქალები უფრო სჭირდებათ



ნუ გრცხვენია, სტუდენტები მხატვრის თვალით გიყურებენ და არა ისე, როგორც ქალსო... მერე რაღაც მაგიდაზე დამაყენა, თვითონ კი მიყურებდა და გაიძახოდა: იფ, იფ, რა შოლტივით ქალი ხარო!..

12

პოპულარობა „წვრილვარსკვლავთა ღამემ“ მომიტანა

საშა მიქელაძეს ბაზარში ნაყიდი საქონლის ხორცი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საგამოძიებო ოქმებში გაუხვიეს. ღამის გაგიჟდა კაცი. ის ოქმები სამზეოზე გამოიტანა და ყველას გააცნო, როგორც უშავესი ლაქა საქართველოს ისტორიაში...

8

„გუჯარ ყურაშვილის გათავისუფლება სამათხოვროდ არ უნდა გაგვიხდეს“



საქმის მასალების თანახმად, გუჯარ ყურაშვილი და იგორ გიორგაძე ტერაქტის შესახებ მოსალაპარაკებლად ერთმანეთს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთსა და ქ. მინსკში ხვდებოდნენ. შეხვედრებს ორგანიზებას გიორგაძის ნდობით აღჭურვილი პირი უკეთებდა.

16

21960
საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვეობა

„ორმა ჩიჩუამ ერთმანეთი ალმა-ათის მილიციაში გავიცანით...“ 29

ცივილიზაცია

დაგერიდან „კოდაკამდე“ 30

ფსიქოლოგიური თავები

მითხარი, როგორ გძინავს 31

სამყარო

მივირთვათ თუ არა სოკო? 32

გიორგობა

ღვაწლით შემოსილი გეციური მხედარი 34

პირადი ცხოვრება

აგენტ 007-ის საყვარელი ქალები 36

კორუფცია

როგორ იმართებიან მთავრობის წევრები 39

მოგზაურის დღიურები

პარიზში ორი კვირა სუნამოს შერჩევას მოვანდომე 42

რომანი

ბესიკ კეკელიძე. შეუწყალებელი შეწყალება (გაგრძელება) 45

ავტო

ავტომობილების მეფე და მეფეების ავტომობილი 48

ესკიზები

„მგადა ვარ მთელი ევროპა ვანაცვალო ჩემს პატარა ბახვს“ 50

ვარსკვლავი

ფამკე იანსენი – ქალი-ყაჩაღი 52

ჰობი

ძაღლი – ოთხფეხა მეგობარი, მცველი და კომპანიონი 54

ჯანმრთელობა

- როგორ უნდა იკვებებოდეს მეძუძური დედა 56
- მინერალები 57
- მიირთვით მწვანე ჩაი 57

საუკუნის ადამიანები

ფანტასტიკურ ზმანებათა სამყაროში 58

სკანვორდი 61

ჰოროსკოპი

კვირის (7-13 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი 62

ტესტი

კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი თავით? 63

კალეიდოსკოპი

ჭრელ-ჭრელი ამბები 64

გარეკანზე: გიორგი ჟორჟოლიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: კიაზო ბიჩინაშვილი
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8 ტელ: 33-50-32
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

როგორ უნდა იკვებებოდეს მეძუძური დედა



საუკეთესო საკვები, რომელიც უზრუნველყოფს ახალშობილის ოპტიმალურ განვითარებას, არის დედის რძე. სწორედ უფალმა მიანიჭა დედის ძუძუდან ბუნებრივად გადმოსულ სითხეს ყველა ის თვისება, რაც ახალშობილის საკვებს ესაჭიროება.

56

„დამ, ეს მსხვერპლი მე ვიქო, ღმერთმა ქნას – ბოლო“

სამწუხაროდ, თბილისს ძალიან ცოტა ხანს ეყო სალაპარაკოდ გიას ამბავი. მას კი ეგონა, რომ კოცონზე აბრიალებული თავისი სიცოცხლით ქართველებს გულებს აუდულებდა და ერთმანეთს შეარიგებდა.

26

აგენტ 007-ის საყვარელი ქალები

ეს წმინდა წყლის ავანტიურა იყო. ბროსნანებმა გასამგზავრებელი ბილეთის ფულიც კი ისესხეს. პირსმა ბანკი დაარწმუნა, რომ ფილმის გადაღებებზე იწვევდნენ, სინამდვილეში ეს ტყუილი იყო – ამერიკაში მას არავინ ელოდა.

36

შეიუწყალებელი შეწყალება



– მოიცა, – სკამიდან წამოდგა ზურა და ოთახიდან გამავალ ქალს დაეწია, – ინგლისის გავლით გამიკეთე ესპანეთის ვიზა.

– რად გინდა? – გაიკვირვა მარინამ.

– მჭირდება, ლონდონში შვილი უნდა ვნახო.

45

ანარქიზმი – „გაუდეამუს იგიტურ...“

ნანატრი დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ და წარსულის საშინელ მემკვიდრეობასაც ნელ-ნელა ვიშორებთ – კომუნისტური წყობის ბევრი სტერეოტიპი დაიმსხვრა საბედნიეროდ, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, ჯერ კიდევ დარჩენილია იმ ეპოქაში ნაცხოვრებ ადამიანთა ტვინებში ის იდეოლოგიური ნაგავი, რომელიც თაობებს წამლავდა.

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული, რადგან ისტორიის ლოგიკა კაცობრიობის პროგრესს გულისხმობს. პროგრესის მედროშე კი ახალგაზრდობა და განსაკუთრებით, მისი მოწინავე ნაწილი – სტუდენტობა იყო ყოველთვის. სტუდენტობა, რომელსაც მეექვსე გრძნობასავით აქვს განვითარებული თავისუფლების წყურვილი.

სწორედ ქართველი სტუდენტობა იქცა იმ ძალად, რომელმაც სულ ახლახან გადამწყვეტი იერიში მიიტანა მსოფლიოს ერთი მეექვსედის „გამწითლებელი“, სატანასთან წილნაყარი ლენინის შხამიან ლოზუნგზე: „სწავლა, სწავლა და სწავლა!“

უყურებ და უსმენ ამ ახალგაზრდებს და გიხარია! თან გიკვირს, როდესაც საკუთარ სტუდენტობას იხსენებ – საბჭოთა განათლების სისტემისაგან დაბეჩავებულს, როგორ გიკანკალებდა მუხლები ყოველი სესიის წინ, როგორ მალავდი მუჭში სიგარეტს, როდესაც დერეფანში დეკანს მოჰკრავდი თვალს და როგორი მონური მორჩილებით იტანდი იმ პროცესს, რომელსაც ცინიკურად გამოცდას უწოდებდნენ და რომელიც სინამდვილეში დაკითხვა იყო...

ვერა, ვერ ეღირსებიან ბნელეთის მოციქულები, რომ ჩვენი შვილებიც ასე „დააჩმორონ“! და აი, დედაუნივერსიტეტის მამაცმა სტუდენტებმა საკუთარ ხელში აიღეს მმართველობა და რაც მთავარია, ეს ცივილიზებულ-კონსტიტუციური გზით – არჩევნების საშუალებით მოახერხეს.

ამიერიდან უნივერსიტეტი მის კანონიერ მფლობელს – სტუდენტობას ეკუთვნის! ყველა ბრძოლას თავისი ლოზუნგები აქვს – ხომ გახსოვთ: „მიწა – გლეხებს, ქარხნები – მუშებს!“, „მთელი ძალაუფლება – საბჭოებს!“ „რვასაათიანი სამუშაო დღე!“

ჰოდა, ჩვენმა სასიქადულო სტუდენტებმაც კუთვნილი მოითხოვეს: „უნივერსიტეტი – სტუდენტებს!“ „მთელი ძალაუფლება – სტუდენტთა თვითმმართველობას!“ „ათწუთიანი ლექციები!“

ეს ლოზუნგებია, მაგრამ საქმე მხოლოდ ლოზუნგებით არ დამთავრებულა. რახან არჩევნები იყო, საარჩევნო პროგრამაც არსებობდა და შესაფერისი კანდიდატებიც. ხოლო არჩევნებში გამარჯვება იმის გარანტიად იქცა (როგორც წესი და რიგია), რომ გამარჯვებული ნიშნავს „აღმასრულებელ ხელისუფლებას“, ამ შემთხვევაში – უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

შეუძლებელია აღტაცების გარეშე წაიკითხო კანდიდატთა წინასაარჩევნო პროგრამა. სამწუხაროდ, მას მთლიანად ვერ დავბეჭდავთ, მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტს შემოგთავაზებთ:

„სტუდენტს უფლება ექნება, თვითონ აირჩიოს შესასწავლი საგანი. გარდა ამისა, აქამდე არსებული სასწავლო დისციპლინების რაოდენობა 50-დან შემცირდება ხუთამდე!“

„სტუდენტს უფლება ექნება, თვითონ აირჩიოს ლექტორი, თვითონ განსაზღვროს მისი ხელფასის რაოდენობა და თვითონვე მიანიჭოს სამეცნიერო ხარისხი!“

„პროფესორ-მასწავლებლებს სტუდენტების ნებართვის გარეშე აეკრძალებათ უნივერსიტეტის შენობაში შესვლა, შენობიდან გასვლა, უნივერსიტეტის ტუალეტით სარგებლობა და სტუდენტის თანდასწრებით სიგარეტის მოწევა!“

„ყველა სტუდენტი, პირველი კურსის პირველ სექტემბერსვე მიიღებს დიპლომს, რომელშიც მხოლოდ ბეჭედი და რექტორის ხელმოწერა იქნება. ხოლო ფაკულტეტის, სპეციალობისა და აკადემიური მოსწრების გრაფებს შეავსებს საკუთარი შეხედულებისამებრ!“

ხედავთ?! – რა სილაღე, რა თავისუფლება, რა სიჯანსაღეა!

ცხადია, ასეთი პროგრამის ავტორებმა უპრობლემოდ მოიგეს არჩევნები და პირდაპირ საქმეზე, ე.ი. საკადრო ცვლილებებზე გადავიდნენ – აი, მხოლოდ რამდენიმე ბრძანება, რომელიც თვითმმართველობის პირველივე დღეებში დაიწერა: „დაინიშნოს გეოგრაფიის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ძველო ბლატიაშვილი ბიოლოგიის ფაკულტეტის ტარაკანოლოგიის კათედრის გამგედ!“

„დაინიშნოს ეკონომიკური ფაკულტეტის აბითურიენტი ჟუჟუნა უნიჭოშვილი ფიზიკის ფაკულტეტის დეკანად!“

„გათავისუფლდეს უნივერსიტეტის VI კორპუსის ყარაული გლახო მძინარიძე დაკავებული თანამდებობიდან პროექტორად დანიშვნის გამო!“ და ა.შ.

ერთი სიტყვით, ცხოვრება კვლავ ჩქეფს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. სხვათა შორის, ბუმბერაზი მეცნიერის სახელი კიდევ ერთხელ, სამუდამოდ უკვდავყო ახალმა თვითმმართველობამ, როდესაც მისი სახელობის „პანკროკის ყოველწლიური საუნივერსიტეტო ფესტივალი“ დაამკვიდრა.

P.S. ცხადია, ყველაფერი უცებ არ კეთდება. ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა „სტუდენტთა ახალი ჰიმნის შექმნაზე, რადგან ძველი – „გაუდეამუს იგიტურ“, ახალგაზრდობისათვის დამამცირებელ – მონურ ფრაზებს შეიცავს: „ვივა აკადემიან, ვივა პროფესორენ!“

პროვოკატორი

ქართული თამბაქოს მწარმოებელი, ავთანდილ წერეთელი, ინტერვიუზე იმ პირობით დაგვთანხმდა, თუ მაშრიყმაღრიბელებთან და პრეზიდენტის ძმისშვილთან მის დავას არ გავარჩევდით. გასულ კვირას, 29 აპრილს, მას 51 წელი შეუსრულდა, მტერიც ბევრი უნახავს და მოყვარეც; ბედს არ უჩივის, მაგრამ, როგორც ამბობს, წარმატება თავდაუზოგავი შრომით მოიპოვა.

მანანა იაშვილი

სიგარეტ პირველის პრეზენტაციაზე

ავთანდილ წერეთელი:

ჩემი „კრიშა“ საბიუჯეტო შენატანებია

დაიბადა თბილისში, სწავლობდა მე-18 სკოლაში, პლეხანოვზე. მე-10 კლასში საღამოს სკოლაში გადავიდა და მუშაობა დაიწყო. დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიის ფაკულტეტი და „ხილბოსტანვაჭრობაში“ დაიწყო მუშაობა. იმ დროისთვის თავის დარგში საკმაოდ სწრაფად აღმავალი კარიერა შეიქმნა. „პერესტროიკამ“ ქალაქის სურსათით მომარაგების ბაზის გაერთიანების გენერალური დირექტორის სავარძელში მოუსწრო და ამ დროიდან იწყება მისი კერძო ბიზნესი.

— თქვენი წარმატება ბიზნესში ძველ კავშირებს უნდა დავაბრალოთ?

– ძველიც მეხმარება და ახალიც. ბიზნესი ისეთი რამეა, რომ ყოველ წუთს უნდა მოძრაობდე, კონტაქტებს აფართოებდე, გაჩერება დამღუპველია.

— ბიზნესი მარტომ დაიწყეთ?

– 1988 წელს ლადო კვარაცხელიასთან ერთად შევქმენი პირველი კოოპერატივი. 1994 წლამდე ერთად ვმუშაობდით: ვამარაგებდით სოფლის მეურნეობის პროდუქციითა და სურსათით მაღაზიებს. გვქონდა საკონსერვო ქარხანა და ვაწარმოებდით ნაყინ „სამგორს“. შემდეგ გავიყავით: მან გააფართოვა ნაყინის წარმოება.

— რატომ ვერ შეთანხმდით? თუ წილი გაქვთ ნაყინის წარმოებაში?

– წილი არა მაქვს. ჩვენ შორის უთანხმოება არ ყოფილა, მეგობრებად დავრჩით. უბრალოდ, მე თავიდანვე ვაჭრობის სისტემაში ვმუშაობდი და მიმაჩნდა, რომ იმ არეულ დროში მოსახლეობის სურსათით მომარაგება სჯობდა, ვიდრე წარმოების გამართვა.

— თქვენ მხოლოდ სიგარეტის წარმოება გადაწყვიტეთ?

– მხოლოდ სიგარეტის ბიზნესით არასოდეს ვყოფილვარ დაკავებული. არის ფირმა „ტექსუნი“, რომელიც ჩემი პარტნიორია. მოგეხსენებათ: შაქარი, ზეთი, მარგარინი, ერბო და ასე შემდეგ. საქართველოს ბაზრის 60% ავითვისეთ. გვაქვს ერთობლივი ქაღალდის წარმოება, შემოგვაქვს ხელსაწმენდი, ტუალეტის ქაღალდი და სხვა ამგვარი საქონელი. მყავს ასევე სხვა უცხოელი პარტნიორები ისრაელსა და ამერიკაში. თბილისში გავმართეთ საკონდიტროთა ქსელი – „კომპასი“. დმანისში 50 ჰა მიწა გვაქვს აღებული და მეცხოველეობას მივსდევთ, არაჟანსაც ვაწარმოებთ.

— ზურაბ ცქიტიშვილის კონკურენტი ხართ?

– ვერ ჩავთვლი თავს მის კონკურენტად: მას ძლიერი წარმოება აქვს.

— ამდენ სხვადასხვაგვარ საქმეს მარტო როგორ აუდიხართ?

– მარტო არა ვარ, პარტნიორები მყავს. 1994 წელს ჩამოვაყალიბეთ ჯგუფი „სამგორი-94“, რომლის პრეზიდენტიც გახლავართ. ჩვენთან 8 ფირმაა გაერთიანებული. პარალელურად, 1996 წლიდან, სიგარეტის წარმოებაზე ვიზრუნე. თავიდან სიგარეტის იმპორტით დავიწყეთ, მაგრამ შემდეგ იმ

მომწყინდა ეს პოლიტიზებული ლაპარაკი! ნუგზარ შევარდნაძეს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ჩვენს წარმოებაში და ვერც მიიღებს. ამბობს — 20% წილი მაქვსო. იჩივლოს და წარმოადგინოს საბუთები...

დასკვნამდე მივედით, რომ საჭიროა ადგილობრივი წარმოება, რადგან იმპორტი აზრს კარგავდა.

— რატომ?

— კონტრაბანდამ შეგვჭამა. გარდა ამისა, იმპორტზე გადასახადი 40 თეთრია, ადგილობრივ ნაწარმზე კი 20, დღგ-ს ვგულისხმობ. საქართველოს პრეზიდენტი და პარლამენტი დაგვეხმარა, რომ საქართველოში ადგილობრივი სიგარეტის წარმოება განვითარდეს. ახლა საერთაშორისო ორგანიზაციები მოითხოვენ გადასახადის ერთიან რეჟიმს, რაც დაგვღუპავს. საქართველოს წალეკავს კონტრაბანდა და ვეღარ იპოვით მარკირებულ პროდუქციას. არ შეიძლება ერთად კონტრაბანდაც მოსპო და ბიუჯეტიც გაამდიდრო: ან ერთი უნდა გააკეთო, ან მეორე. ჩვენმა თამბაქოს წარმოებამ უკვე მიაღწია წარმატებებს: გამოვუშვით სიგარეტი „პირველი", რბილი და მაგარი, რომელიც კარგად იყიდება. რამდენიმე დღეში კიდევ ორი დასახელების სიგარეტს გამოვუშვებთ, „მწვერვალი" და „მხედრული" დავარქვით. ორ კვირაში ამას მოჰყვება „თერგი" და, უცხოელ პარტნიორთან ერთად — „ვიბორი". ბაზრის გაჯერებას კი დრო სჭირდება, ზოგი იაფი იქნება, ზოგი შედარებით ძვირი. თუ უცხოური სიგარეტის კონტრაბანდას მოვერიეთ, ჩვენს პროდუქციაზე მოთხოვნა გაიზრდება და ბიუჯეტშიც მეტს შევიტანთ.

— ნუგზარ შევარდნაძე არ შეგიშლით ხელს ახალი მარკის სიგარეტის გამოშვებაში?

— ხომ გთხოვეთ, მომწყინდა ეს პოლიტიზებული ლაპარაკი! ნუგზარ შევარდნაძეს არასოდეს მიუღია მონაწილეობა ჩვენს წარმოებაში და ვერც მიიღებს. ამბობს — 20% წილი მაქვსო. იჩივლოს და წარმოადგინოს საბუთები, ტყუილად ლაპარაკი არ მიყვარს. ასე მეც ვიტყვი, რომ 100% ჩემია, მაგრამ არ იქნება სინამდვილე, რადგან მყავს პარტნიორთა დადგენილი და განსაზღვრული ჯგუფი.

— თქვენ უფრო მაღალი რანგის „კრიშა" გყავთ, ვიდრე ნუგზარ შევარდნაძეა?

— ჩემი „კრიშა" დღემდე ჩემი საბიუჯეტო შენატანებია: ბოლო 2 წლის განმავლობაში 67 მილიონი შევიტანეთ ბიუჯეტში. დამისახელეთ ერთი ბიზნესმენი საქართველოში, ვინც ამხელა შენატანი გააკეთა. ჯერჯერობით, მიმდინარე წელს, უკვე 4 მილიონი გვაქვს შეტანილი.

— ამბობენ, რომ სოსო ალავიძე თქვენი „კრიშა" და მეგობარია...

— ჰო, ეს ვერსია „60 წუთში" თქვეს. დიახ, სოსო ალავიძე ჩემი მეგობარია და არც ვმალავ ამას, მაგრამ „60 წუთმა" წარმოაჩინა რაღაც ფარული ქვეტექსტი, რაც ჩვენს მეგობრობას არ ეკადრება. რაც მეტი დაწინაურებული მეგობარი მეყოლება, მით უფრო სასიხარულოა ჩემთვის. მით უფრო საამაყოა, თუ კარგი მეგობრები მყავს. რა „კრიშობა" უნდა გამიწიოს პოლიციის სამმართველოს უფროსმა?! რა „კრიშობა" შეიძლება გამიწიოს პოლიციამ?!

— დღეს პოლიცია ყველაზე ძლიერი „კრიშა" არ არის?

— ჩემთვის, მაგალითად, რითი? კონტრაბანდაზე არ ვმუშაობ და გადასახადების კონტროლი მათ არ ევალებათ. დროა საქართველოში გაიგონ და მიხვდნენ — მეგობრობა ერთია და სამსახური სხვა. სხვათა შორის, ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ არ მიყვარს ჩემს სამსახურზე ლაპარაკი. არც მე ვეკითხები მათ სამსახურებრივი საქმეების შესახებ და არც ისინი მეკითხებიან.

— აბა რაზე საუბრობთ?

— სასაუბროს რა გამოლევს?! ქვეყნის ამბები, ოჯახები, ბავშვების პრობლემები და ათასი რამაა სალაპარაკო.

— ბევრი მეგობარი გყავთ?

— უამრავი. სხვათა შორის, თუ ვინმე ცნობილი პიროვნებაა საქართველოში, თითქმის ყველა ჩემი მეგობარია, მოღვაწეობის სფეროს აქ მნიშვნელობა არა აქვს.

— ჩვენს ხელოვნების მოღვაწეებს თუ ეხმარებით?

— ვეხმარები კონკრეტულ საკითხებში, მაგრამ ამის აფიშირებას არ ვახდენ. ისე, ჯიბიდან არასოდეს ამომიღია ფული დასახმარებლად.

— მეგობრებთან ერთად კაზინოში თუ თამაშობთ?

— არ მიყვარს. თუ დამიჯერებთ, სულ რამდენჯერმე შევსულვარ კაზინოში — ინტერესის გამო და ისიც, საზღვარგარეთ. არ მიყვარს აზარტული თამაშები. მეგობრებთან კი ვერთობი ხოლმე. ძალიან გვიყვარს ნარდის თამაში, ხშირად დაგვთენებია თავზე.

— თქვენი მეგობრები „პირველს" ეწევიან?

— ზოგი ეწევა. სხვათა შორის, საზღვარგარეთული სიგარეტი ათასი არომატითაა გაჟღენთილი, ჩვენი კი — ნამდვილი თამბაქოა. მე თვითონ იშვიათად ვეწევი, უმეტესად, რბილ სიგარეტს. ისე, ვფიქრობ, ჩვენთანაც გამოვუშვათ ძალიან რბილი სიგარეტი.

— თქვენი მეუღლე ეწევა?

— ეწევა და არ ვუშლი, რადგან ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს თავის არჩევანში.

— თქვენი მეუღლე რა პროფესიისაა?

— ჩემი მეუღლე, ნანა ხუნდაძე, პედაგოგია, კონსერვატორიაში ასწავლის.

— დიასახლისობაც მას აკისრია თუ თქვენც ერევით ოჯახურ საქმეებში?

— ძალიანაც რომ მოვინდომო, მაინც არ ჩამრევს — ეს ქალის პრეროგატივაა.

— სადილი თუ მოგიმზადებიათ?

— ვერ ვიტან. თუ დამიჯერებთ, ბაზარშიც არასოდეს ვყოფილვარ.

— მოგწონთ მეუღლის მომზადებული კერძები?

— მომწონს თუ არა, 32 წელია ჩემი მეუღლეა და შეჩვეული ვარ. ვხუმრობ — ძალიან მიყვარს მისი გაკეთებული ელარჯი და საცივი.

— სხვა რა კერძი გიყვართ?

— მჭადი და ყველი. თუ საბერძნეთში მოვხვდი, ხშირად მიწევს ხოლმე მოგზაურობა, ძალიან მიყვარს იქაური

თუ დამიჯერებთ, სულ რამდენჯერმე შევსულვარ კაზინოში — საზღვარგარეთ. არ მიყვარს აზარტული თამაშები. მეგობრებთან კი გვიყვარს ნარდის თამაში, ხშირად დაგვთენებია თავზე.

თევზეული. რაც დაცურავს ზღვაში, რაც იჭმევა და რასაც ბერძნები ამზადებენ — ფანტასტიკურია, ძალიან მიყვარს.

— საზღვარგარეთ ისვენებთ ხოლმე, თუ აქ გაქვთ აგარაკი?

— მე თითქმის არასოდეს დამისვენია. ჩემები დადიან ხოლმე დასასვენებლად და სამოგზაუროდ, უმეტესად იტალია უყვართ. გვაქვს აგარაკი წაღვერში და ბათუმში — 2 ოთახიანი ბინა; ზაფხულობით იქ ვისვენებთ ხოლმე. წელს, აღდგომას ვერ წავედით იერუსალიმში, თორემ თითქმის ყოველ წელს, აღდგომას იქ ვხვდებოდით ხოლმე.

— ვინ ყიდულობს თქვენთვის ტანსაცმელს — თქვენ თუ მეუღლე?

— მე თვითონ ვყიდულობ, რაც დამჭირდება ან მომეწონება.

— მეუღლისთვისაც თქვენ არჩევთ?

— არასოდეს. ერთხელ ვუყიდე პოლონეთში და მაგრად შევცდი: არ მოეწონა. ქალმა თვითონ უნდა შეარჩიოს ტანსაცმელი. რაც უხდება და რომელ ტანსაცმელშიც კარგად გრძნობს თავს.

— დაბადების დღეზე რას ჩუქნით ხოლმე?

— რაც მომხვდება — ან სუნამოს, ან ყვავილებს.

— სამკაულებს?

— არ მიყვარს, თუმცა ქალს უხდება, მაგრამ ზედმეტი არაფერი ვარგა. რად გინდა სამკაული, რომელიც უნდა დადო სახლში და შეიძლება უბედურებას გადაეყარო?! სჯობს ფული საქმეში ჩადო და დაატრიალო. მე თვითონაც არ მიყვარს ოქრო — ვერცხლს ვატარებ. აი, პატრიარქმა ჯვარიც მაჩუქა.

— ამ 32 წლის განმავლობაში მეუღლისთვის არასოდეს გიღალატიათ?

— ქალები ყველა კაცს უყვარს, მაგრამ თუ გამიგო, ცუდად მექნება საქმე...

— არასოდეს მიმხვდარა?

— სიყვარული და ოჯახი ერთია და რასაც თქვენ გულისხმობთ, ის წუთიერია, ხუშტურია. მე მინდა ჩემი მეუღლისა და შვილის წინაშე ყოველთვის მართალი ვიყო.

— ვერცხლის ქორწილი არ გადაგიხდიათ?

— არა. თუ მოვესწარი, ოქროს ქორწილს ვაპირებ.

— დაბადების დღე სად გადაიხადეთ?

— ოჯახში. ნანამ შესანიშნავი სუფრა გაშალა და კარგადაც მოვულხინეთ მე და ჩემმა მეგობრებმა.

— რაზე ოცნებობთ?

— მინდა ჩემი ვაჟიშვილი ვახტანგი, ბედნიერი იყოს. კარგი ბიჭი დადგა. ახლა 19 წლისაა. უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტია. ჩვენთან მუშაობს, სარეკლამო განყოფილებაში.

— საზღვარგარეთ რატომ არ გაგზავნეთ სასწავლებლად?

— ინგლისში სწავლობდა 2 წელი. 90-იან წლებში ჩვენ ისრაელში ვცხოვრობდით და ვახტანგი ინგლისურ კოლეჯში სწავლობდა. სხვათა შორის, მეც იქ ბევრი რამ ვისწავლე ჩემი ებრაელი მეგობრებისაგან. ბიზნესში ებრაელები სანდო ხალხია და ბევრი რამ შევიძინე მათგან. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ვახტანგი დემირელის სახელობის სკოლაში სწავლობდა და მოგვიანებით უნივერსიტეტში ჩაბარა. მერე ინგლისში იყო, მაგრამ ვერ გაძლო იქ. ვფიქრობთ, იქნებ მესამე კურსიდან ისევ წავიდეს ინგლისში სასწავლებლად. ვნახოთ, რას გადაწყვეტს. მე თავისუფლებას ვაძლევ ყველაფერში.

— უცებ ცოლი რომ შეირთოს?

— ძალიან გამიხარდება. ამ საქმეში ვჩქარობ — შვილიშვილი მინდა. მაგაზე პატარა ვიყავი, ცოლი რომ შევირთე და კარგი იქნება, თუ ოჯახს მოეკიდა.

— ჩვენს ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა. არ გიფიქრიათ საზღვარგარეთ წასვლაზე?

— არც ერთ შემთხვევაში არ წავალ საქართველოდან. ხშირად მიხდება მოგზაურობა, მაგრამ 5 დღის შემდეგ აქეთკენ მოვრბივარ.

— თქვენი ვარაუდით, როდის იქნება ჩვენი ქვეყანა ეკონომიკურად სტაბილური?

— როდესაც ადამიანს კუჭი გაუძღება. თუ აშიმშილე და ხელფასი არ მიეცი, სტაბილიზაცია მხოლოდ ილუზიაა. საქართველოს მომავალი აქვს და ყოველთვის ექნება, რადგან ყველაფრით შემკული და მდიდარი მიწა გვაქვს. აქ ჩვენი სამყოფიცაა და უფრო მეტიც — სხვისთვის გასაყოფიც.

— რაღაც, ამ პერსპექტივას ჯერ ვერ ვხედავთ...

— საჭიროა ბევრი რამის შეცვლა. ბანკებს საშუალება უნდა მიეცეთ, ფული მოიზიდონ. მათ ფართო გზა უნდა მიეცეთ, კრედიტებით უზრუნველყონ ესა თუ ის პროგრამები. შესაცვლელია აგრეთვე დაგებვრისა და საგადასახადო კანონები. თუ ლიბერალიზაცია არ მოხდა, არაფერი გვეშველება.

— პარლამენტში მეწარმეების ყოფნას როგორ უყურებთ?

— ჩვენს პოლიტიკას დღეს სჭირდება ბიზნესმენებიც და მეწარმეებიც. კარგია, რომ პარლამენტში არის ხალხი, რომელიც პრაქტიკულად იცნობს ამ სფეროს. მათი იმედი მაქვს — მუშაობენ, წვალობენ, რათა ქვეყანა ეკონომიკურად ფეხზე დადგეს. მხოლოდ პირადი გამორჩენა არაფრად ღირს, თუ გარემო არაა ნორმალური. თავის დროზე სავალუტო ფონდის დახმარება წამალი იყო ქვეყნის გადასარჩენად და მაშინ არც კამათობდნენ მისი რჩევების გამო. კარგია, რომ ახლა კამათობენ და ჩვენთვის ნორმალური პირობებისთვის იბრძვიან.

— თქვენ არ გიფიქრიათ დეპუტატობასა თუ სახელმწიფო სამსახურზე?

— პოლიტიკისაგან ძალიან შორს ვარ — არ მაინტერესებს. თუმცა, პარლამენტშიც და მთავრობაშიც ბევრი მეგობარი მყავს. მათ თავიანთი საქმე აქვთ, მე — ჩემი. ■

მეუღლესთან ერთად



რედაქციაში არაერთგზის მივიღეთ აღშფოთებული თბილისელების წერილი — სხვა თუ არაფერი, ქალაქის ცენტრალურ უბნებში უფუნქციოდ დარჩენილი შუქნიშნები მაინც მოწესრიგდეს, უპასუხისმგებლო მძღოლების ხელში, გამართულ გზაჯვარედინზე გვეშინოდა გადასვლა და ახლა საერთოდ ჯოჯოხეთიაო...

მკითხველის გულისტკივილი გავიზიარეთ და ვითარებაში გასარკვევად ქალაქის საგზაო პოლიციის შესაბამისი უწყების ხელმძღვანელს, ბატონ ავთო ჯაშიაშვილს მივმართეთ:

რა სჭირდა „აჩასჭირდა“ შუქნიშნებს?!..

დაჩი გრძელიშვილი

— დედაქალაქის ყოველი ხუთი შუქნიშნიდან ალბათ სამი არ ფუნქციონირებს...

— მთლად ასეც არ არის. შეიძლება ითქვას, ყველგან, სადაც აუცილებელია, შუქნიშანი ფუნქციონირებს. მხოლოდ ერთი-ორგან, ისიც გარეუბანში შეიძლება გამორთული იყოს.

— შემიძლია, ცენტრალური რაიონების კონკრეტული ქუჩები ჩამოგითვალოთ, სადაც ინტენსიური მოძრაობაა, მაგრამ შუქნიშანი არ მუშაობს... მაგალითად, სისხლის გადასხმის ცენტრთან, საბურთალოზე; ვაკეში, უნივერსიტეტსა და ეკლესიას შორის ხან ერთი შუქნიშანია გამორთული და ხან მეორე; დიღმის ტრასაზე, ზედ პოლიციის სამმართველოს გადასახვევთან... დამეთანხმებით, ამ მონაკვეთებზე გადასვლა საკმაოდ საშიშია... ესეც რომ არ იყოს, რამდენადაც ვიცი, შინაგანაწესის მიხედვით, ასეთ ადგილს ავტოინსპექტორი უნდა არეგულირებდეს. ის კი რატომღაც მხოლოდ იქ დგას, სადაც მძღოლის რამეში გამოჭერა შეიძლება... მე მგონი, საგზაო პოლიციელის მოვალეობა ზოგადად, მოძრაობის უსაფრთხოების დაცვაა და არა მხოლოდ უდისციპლინო მძღოლების აღმოჩენა...

— შინაგან საქმეთა ორგანოებს ყოველდღიურად ამცირებენ და სამწუხაროდ, დღეს იმდენი ინსპექტორი არ გვყავს, ყველა ასეთ ადგილზე რომ დადგეს...

— მაგრამ თქვენ ხომ ამბობდით, უმოქმედო შუქნიშანი ქალაქში ძალიან ცოტააო...

— ყველა საჭირო შუქნიშანი ფუნქციონირებს, თუმცა, ზოგჯერ ცენტრებშიც ხდება ხოლმე გამორთვა, რასაც თავისი მიზეზები აქვს...

— „საჭირო“ და „არასაჭირო“ შუქნიშანი რას ნიშნავს? თუ საჭირო არ იყო, თავის დროზე რატომ დააყენებდნენ?

— თავის დროზე საჭირო იქნებოდა, მაგრამ საბჭოთა წყობის შემდეგ ქალაქში ბევრი რამ შეიცვალა. მაშინ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის შუქნიშნები საქარხნო რაიონებში იყო განთავსებული, ანუ იქ, სადაც უფრო მეტი ხალხი მოძრაობდა. დღეს, მოგეხსენებათ, განსხვავებული სურათი გვაქვს: ეს ქარხანა-ფაბრიკები გაუკაცრიელებულია, სამაგიეროდ, სრული დატვირთვით მუშაობს ბაზრობები თუ სხვადასხვა სავაჭრო ობიექტი და ტრანსპორტისა თუ ხალხის ნაკადიც იქითკენ არის მიმართული. შუქნიშნების გაუმართაობის მიზეზს რაც შეეხება, ასეთი უამრავია. მათგან უმთავრესი, ელექტროენერგიასთან არის დაკავშირებული. ზამთარში საერთოდ არ იყო სინათლე და შესაბამისად, არც შუქნიშნები იმუშავებდა. გაზაფხულის დადგომის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება კი აღდგა, მაგრამ მეორე პრობლემამ იჩინა თავი — შუქნიშნები ძირითადად, შიდა განათებაზე, ანუ კორპუსებზეა მიერთებული. „ეი-ი-ეს“-მა კი მრიცხველების გარეთ გამოტანა დაიწყო და, ბუნებრივია, ქუჩაში მდგომ შუქნიშანს საკუთარი ბინის მრიცხველზე არავინ მიიერთებს... ასე დავდივართ ხოლმე კარდაკარ და ხან მაღაზიას ვეხვეწებით, შუქნიშანს დენი მისცეს, ხან ბენზინგასამართ სადგურს. ის კი არა, ზოგჯერ „დენის მოპარვაც“ კი გვიწევს...

ახლახან მივმართეთ მერიის შესაბამის სამსახურს და იმედია, რაღაცას მოახერხებენ, თორემ ასე თუ გაგრძელდა, ქალაქში რაც უფრო მეტ მრიცხველს გამოიტანენ გარეთ, მით მეტი შუქნიშანი არ იმუშავებს.

მეორე პრობლემა ქურდობა გახლავთ. საგზაო ნიშნები ალუმინისგან არის დამზადებული და ყოველდღიურად ათეულობით ნიშანს იპარავენ. შუქნიშნის სამართავი პულტი შედარებით დაბლა არის მოთავსებული, რომ ხელოსანმა არ იძრომიალოს. ჰოდა, ყოველ მეორე დღეს მოშლილ-მოფურტკნული გვხვდება — რაში სჭირდებათ, ვერაფრით ვერ ვხვდები... უსახსრობაც ხელს გვიშლის — ოთხი თვეა, დაფინანსება საერთოდ არ მიგვიღია, არადა, ეს შუქნიშნები 20-25 წლის წინ არის დაყენებული, დღეს რომ შეცვლა დასჭირდეს, 15 ათასი ლარი დაჯდება... ელემენტარულად, ერთი ნათურის გამოცვლა რომ მოვინდომო — თითო ნათურა კი ღირს 50 თეთრი, მაგრამ ამწეს 20 ლიტრი ბენზინი უნდა ჩავუსხა, ეს კი უკვე 20 ლარია...

მე მაინც მიმაჩნია, რომ მთავარი, ჩვენი მოქალაქეების შეგნებაა — თუ საგზაო მოძრაობის წესებს დავიცავთ, არც მძღოლი დაზარალდება და არც ფეხით მოსიარულე... ■

დავით დვალიშვილი „სტატიანი“ მსახიობია — სცენაზეც უამრავი როლი აქვს შესრულებული და ეკრანზეც, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარობა ტელესერიალმა მოუტანა, რასაც თავადაც აღნიშნავს. „წვრილვარსკვლავთა ღამეში“ განსახიერებულ გურამს, მარჯანიშვილის თეატრში ყვარყვარეს როლი მოჰყვა, რამაც კიდევ უფრო გააღვივა მაყურებელთა ინტერესი **დავით დვალიშვილის** *მიმართ.*

პოპულარობა «წვრილვარსკვლავთა ღამემ» მომიტანა

მარინა ბაბუნაშვილი

— რატომ შეწყდა „წვრილვარსკვლავთა ღამე“?

— მხოლოდ და მხოლოდ დაუფინანსებლობის გამო.

— როგორც ვიცი, საკმაოდ სოლიდური თანხა იყო გადმორიცხული ამ ტელესერიალის გადასაღებად.

— არც ისე დიდი! ის თანხა ფილმის პირველ ნახევარს მოხმარდა, ხოლო როგორც კი კვლავ გაჩნდება ფული, ფილმიც მაშინვე გაგრძელდება.

— პირში მაქებარ ადამიანად ნუ ჩამთვლით და უნდა გითხრათ, რომ სიუჟეტმა, მართალია, ვერ მომხიბლა (სხვებიც ამბობენ ამას), მაგრამ თქვენ მიერ შექმნილი სახე იმდენად მომეწონა, რომ გურამის (დავით დვალიშვილის გმირი. — ავტ.) სანახავად ვჯდებოდი ხოლმე ტელევიზორთან.

— გმადლობთ ქათინაურისთვის, მაგრამ აქვე კონტრკითხვა უნდა დაგისვათ: ნუთუ, იმ ბრაზილიურ და არგენტინულ ტელესერიალებს მაინც არ სჯობს ჩვენი „წვრილვარსკვლავთა ღამე“?! ზომბირებულია ქართველი მაყურებელი და უცხო ქვეყნის ადამიანების ცხოვრებით ცხოვრობს. არ სჯობს, ქართულ ფილმს უყუროს, ქართულ თემატიკაზე შექმნილსა და ჩვენი სინამდვილის ამსახველს?.. იცით, რაიონებში მაყურებელი რა ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენს სერიალს? როცა შუქი არ ჰქონდათ, ერთ ოჯახში (სადაც გენერატორი იყო) იკრიბებოდნენ და მოუთმენლად ელოდნენ თითოეულ სერიას. მე უამრავი როლი შემისრულებია სცენაზეც და კინოშიც, მაგრამ პოპულარობა სწორედ გურამის სახემ მომიტანა. ბაზრის ტერიტორიაზე უნდა მწახოთ — ყოველი მხრიდან მეძახიან: გურამ, მოდი, კარგი ყველი მაქვს! გურამ, ზუსტად აგიწონი, ერთ გრამსაც არ დაგაკლებ...

— საახალწლო შეხვედრაზე თქვენ და თქვენი ახალგაზრდა „ცოლი“ სიმღერით ეშაირებოდით ერთმანეთს. სიმღერის ტექსტში ასეთი რამეც ითქვა: თითქოს „სიდედრს“ მოიყვანთ „ცოლად“. მართლა ხომ არ ხდება ასეთი რამ ფილმის მეორე ნაწილში?

— არა, არა! ეს კაფია (თუ გნებავთ, შაირი) მე დავწერე და მხოლოდ კაფიაა, მეტი არაფერი.

— თქვენმა ყვარყვარემ დიდი მოწონება დაიმსახურა... ისე, გურამიც ყვარყვარეა, რადგან დღევანდელ ყოფას მორგებული, მოხერხებული საქმოსანია. როგორ შემოვიდა თქვენს შემოქმედებაში ყვარყვარეს სახე და ოდესმე თუ გიოცნებიათ ამ როლზე?

— არ მეგულება მსახიობი, ყვარყვარეზე რომ არ ეფიქროს. ყვარყვარე ხომ საერთაშორისო ფენომენია, რომელიც განსაკუთრებით, ქართულ ხასიათს მოერგო. ყვარყვარიზმი იყო, არის და მუდამ იქნება კაცობრიობის პრობლემა. სხვათა შორის, ,,ყვარყვარე თუთაბერი'' ჯერ კიდევ არ გვქონდა სცენაზე დადგმული, როცა ერთ-ერთ საზეიმო შეხვედრაზე რამდენიმე ნაწყვეტი ვითამაშეთ. მაშინ შევარდნაძემ თქვა: კი, მაგრამ, რატომ არ დგამთ ,,ყვარყვარეს'' თეატრშიო?

— გამოდის, რომ დღეს გახმაურებულ ამ სპექტაკლს პრეზიდენტს უნდა ვუმადლოდეთ?

— დაახლოებით ასეა!

— უპირველესად, რით განსხვავდება თქვენი ყვარყვარე სხვა სასცენო ვერსიებისგან?

— რეჟისორმა ლევან წულაძემ ყვარყვარეს ცხოვრება მთელ საუკუნეზე გაჭიმა. ამით ის დატვირთვა მისცა, რომ ყვარყვარიზმი ყველა დროში შესაძლებელია აღმოცენდეს — რომ იტყვიან, ის არ იზღუდება დროითა და სივრცით. სპექტაკლს ნაცრის ქექვის სცენით ვიწყებთ — ყვარყვარეს ხომ მეორენაირად, ნაცარქექია ჰქვია. ის რომ ხალხს გარეთ არ გამოეგდო, მთელი ცხოვრება ოჯდებოდა წისქილში და ტყუილებსა და ნაცრის ქექვაში გაატარებდა თავის წუთისოფელს. ისევ და ისევ, ხალხმა წამოაგდო და ჯოხი მისცა ხელში — დამარტყიო...

— ზღაპრის ნაცარქექია მოხერხებულია და მარჯვე, კაკაბაძის „ნაცარქექია“ კი ეშმაკი, მლიქვნელი და გაიძვერაა...

— გეთანხმებით. ყვარყვარეში ყველაფერ ცუდს ერთად მოუყრია თავი, მაგრამ მე, როგორც ქართველს, მაინც მებრალება იგი და ბოლომდე ვერ ვწირავ: სპექტაკლის ბოლოს ის თავისი ქვეყნის უბედურებაზე ტირის კიდეც.

— წარსულზე ფიქრისას, პირველ რიგში, რა გახსენდებათ ხოლმე?

— მე იმ ,,დაღუპული'' თაობის შვილი

ვარ, რომელსაც კოსმოპოლიტად და ათეისტად ზრდიდნენ. ამაზე დიდი საშინელება რა უნდა იყოს: რელიგია წაგვართვეს, უღმერთობას ჩაგვჩიჩინებდნენ... მახსოვს, აღდგომის წინა დღეებში მეშინოდა, ხელებზე ენდროსფერი არ დამტყობოდა... 1962 წელს დავამთავრე სკოლა, სამტრედიაში. სხვებისაგან განსხვავებით, ვერასდროს ვიხსენებ ჩემი ცხოვრების წვრილ-წვრილ ეპიზოდებს. ჩემს მეხსიერებას უფრო „დიდი მოვლენები" შემორჩა. მაგალითად, გუშინდელივით მახსოვს ის დღე, როცა გოგონამ, რომელიც მიყვარდა, თქვა: ამა და ამ მსახიობს გავყვები ცოლადო. სწორედ მაშინ გადავწყვიტე მსახიობობა... ისიც ნათლად მაგონდება, როცა ექსკურსიაზე ვიყავით რიწის ტბაზე და ხიდზე მდგომმა, მხურვალედ ავუხსენი იმ გოგოს სიყვარული. ალბათ ეს ის წუთებია, რომლის დავიწყებაც არაფრით არ შეიძლება...

— ეი. მსახიობობა შემთხვევით გადაგიწყვეტიათ? მშობლებს რა რეაქცია ჰქონდათ თქვენს არჩევანზე?

— მამაჩემი, როგორც ყველა სამტრედიელი, რკინიგზელი იყო. ლოგიკურად, მეც რკინიგზელი უნდა გავმხდარიყავი, მაგრამ როცა მამას ვუთხარი, რომ მსახიობობა მსურდა, დიდად არ გაჰკვირვებია და უცებ დამეთანხმა: კი, შვილო, სადაც გინდა, იქ ჩაბარე, მე და დედაშენი კი, ყველანაირად ხელს შეგიწყობთო... სკოლაში საოცარი პედაგოგები მყავდა — პირველი კლასიდანვე „აკვალიანებდნენ" ბავშვებს. ერთი მასწავლებელი მყავდა — ანდრო კანდელაკი, ბუნებით არტისტი გახლდათ. სკოლაში დრამწრე გვქონდა, სადაც სიამოვნებით დავდიოდი. სამტრედიის რკინიგზელთა სახლში ერთი მსახიობი — არქიფო სიგუა მოღვაწეობდა. ტანმორჩილი კაცი იყო, ღვთით მომადლებული ნიჭის პატრონი გახლდათ — მსოფლიო კომიკოსთა თანავარსკვლავედს დაამშვენებდა. მას ქუთაისის თეატრში ეპატიჟებოდნენ, როლებს სთავაზობდნენ, მაგრამ არ წავიდა — მოიმიზეზა: დედ-მამას ვერ დავტოვებ, მიხედავ სჭირდებათო... ისე, მამაჩემსაც მჭიდრო შეხება ჰქონია თეატრთან. სამწუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. დედაჩემი კი — 81 წლისაა. ყოველ ზამთარს ჩამომყავს ხოლმე თბილისში. ჩემი „ყვარყვარე" რომ ვუჩვენე, შინ მობრუნებული, ფრიად ნასიამოვნები გამომიტყდა: მამაშენს ტყიბულის კულტურის სახლში ქუჩარა აქვს ნათამაშებიო.

— თქვენი საუკეთესო პედაგოგი ვინ იყო?

— ჩემი საუკეთესო პედაგოგი საშა (ალექსანდრე) მიქელაძე გახლავთ. ეს ის კაცია, რომელსაც ბაზარში ნაყიდი საქონლის ხორცი ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საგამოძიებო ოქმებში გაუხვიეს. ლამის გაგიჟდა კაცი. ის ოქმები სამზეოზე გამოიტანა და ყველას გააცნო, როგორც უშავესი ლაქა საქართველოს ისტორიაში... კაცად რომ ჩამოვყალიბდი, მამაჩემთან ერთად, ბატონი საშას დამსახურებაც არის.

— ოჯახზეც გვითხარით რამე!

— მყავს მეუღლე, რომელიც თეატრის მოლარედ მუშაობს და ქალ-ვაჟი. ვაჟისგან ორი შვილიშვილი მყავს, გოგონა კი გერმანიაში სწავლობს ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. გათხოვებას ჯერ არ აპირებს. იმედი მაქვს, გერმანელს არ გაჰყვება ცოლად...

— ბოლოს, სანამ ერთმანეთს დავემშვიდობებით, თქვენი ხანგრძლივი თეატრალური ცხოვრების ერთი სახალისო ეპიზოდი გაიხსენეთ...

— დიდი სიამოვნებით. ერთხელ, ქუთაისის თეატრში ვითამაშე ლენინის როლი (ეს იყო 1976 წელს, შატროვის პიესაში „6 ივლისი"). იმ დროისათვის ბუხუტი ზაქარიაძეს უკვე ნათამაშები ჰქონდა სტალინი ფილმში „განთავისუფლება". სპექტაკლის შემდეგ კულისებსა და საგრიმიოროში გაგრძელდა მილოცვები, ვერა და ვერ გავაღწიე გარეთ. არადა, ბუხუტი ქუჩაში, თეატრის შესასვლელთან მელოდებოდა. გარეთ გასვლა რომ აღარ მეღირსა, განაწყენებულა და ჩემთვის დაუბარებია: Передайте Ленину, что Сталин не любит ждать!

ეს ამბავი მთელ ქუთაისში, როგორც ანეკდოტი, ისე გავრცელდა.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. სად დაიბადა ნოდარ დუმბაძე?

ა) ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზენობანში;

ბ) თბილისში;

გ) ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში.

2. უპირველესად რა უნდა შეძლოს მამაკაცმა, რომ სანდრა გალოკი მოხიბლოს?

ა) სანდრას გაცინება;

ბ) სანდრას აღგზნება;

გ) სანდრა გულუხვობით უნდა მოაჯადოოს.

3. რა ერქვა გერმანელების მიერ აგებულ ყველაზე დიდ ცეპელინს, რომელმაც 1937 წელს ამერიკის ცაზე კატასტროფა განიცადა?



ა) „ჰინდენბურგი";

ბ) „მესამე რაიხი";

გ) „მაინ კამპფი".

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

არალეგალური ტრანსპლანტაცია, ადამიანის ორგანოებით მოვაჭრეთა მაფია მსოფლიოში უკვე მეოთხე ადგილზეა ნარკოტიკებით, იარაღით მოვაჭრეთა და სამშენებლო სინდიკატების შემდეგ. მან საქართველოშიც სწრაფად მოიკიდა ფეხი, თუმცა ორგანოებით მოვაჭრეთა სტატუსი ჩვენთან ჯერჯერობით გაურკვეველია.

ჩემმა რესპონდენტმა — ოცდათხუთმეტი წლის სიმპათიურმა ქალბატონმა, ოცდაცხრა წლის ასაკში თირკმელი გაყიდა. მისი მთავარი არგუმენტი გაჭირვებაა. თუმცა, შესაძლოა, ორგანოების დონორთა საქციელს საფუძვლად ედოს მთამსვლელის, მფრინავი-გამომცდელის ან თუნდაც, სახიფათო თავგადასავლების მაძიებელ მოგზაურთა მისწრაფებაც — თვითმკვლელობის გაუცნობიერებელი მუხტი, რასაც ფსიქოლოგები სუიციდისკენ მიდრეკილებად მიიჩნევენ.

„შესაძლოა, ახლა ვინმე ქართველი, ჩემი თირკმლით დადის“

ქახა ამირანაშვილი

— ორგანოს გაყიდვა გაჭირვების გამო გადაწყვიტეთ. ეს გასაგებია, მაგრამ როგორ მოახერხეთ — ჩვენთან ორგანოებით ვაჭრობა ხომ ჩვეულებრივი ამბავი არ არის?

— მიზეზი მართლაც გაჭირვება იყო. საქართველოში მევახშეობის ბუმი რომ იყო, მაშინ ვალი დამედო. რა არ გავაკეთე, მაგრამ ვალებიდან ვერ ამოვედი.

ერთ-ერთ საავადმყოფოში, რომელსაც არ დავასახელებ, ჩემი ახლობელი მუშაობდა. იცოდა ჩემი გაჭირვება და ერთხელ სიტყვა თირკმლის გაყიდვაზე ჩამომიგდო, თან მაგალითებიც მოაყოლა. ისიც დაამატა, რომ შეეძლო გაეყიდა რომელიმე „უმნიშვნელო“ ორგანო — მაგალითად, ცალი თირკმელი, რომლის გარეშეც, თურმე მშვენივრად არსებობენ ადამიანები.

მას შემდეგ დაახლოებით ორი თვე იყო გასული, როცა ერთმა მევალემ ისეთ დღეში ჩამაგდო, თავ-ბედს ვიწყევლიდი. მაშინ მომაგონდა ჩემი ახლობლის მონაყოლი. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჯერ ჩვენთან, საქართველოში. გამომიკვლიეს, მერე — ევროპაში.

— ოპერაცია რომელ ქვეყანაში გაიკეთეთ?

— რა მნიშვნელობა აქვს?! მსგავს ოპერაციებს შენგენის ყველა ქვეყანაში აკეთებენ. ისე, თუ ძალიან გაინტერესებთ, მე გერმანიაში გახლდით.

— იქაც საიდუმლოდ ხდება ასეთი რაღაცები?

— რომ გითხრათ, რაიმე კონსპირაციულ ხერხებს იყენებდნენ-მეთქი, ტყუილი იქნება: მომათავსეს ჩვეულებრივ საავადმყოფოში, მაგრამ იქ რა სტატუსით გამაფორმეს, არ ვიცი. დამაწვინეს, ოთხი დღის განმავლობაში მიკვლევდნენ — არკვევდნენ, რამდენად შეეგუებოდა უცხო ორგანო, ჩემი თირკმელი, რეციპიენტს — ახალ მეპატრონეს. თუ არ მიესადაგებოდა, მაშინ ტრანსპლანტაცია მკვდარი სხეულიდან მოხდებოდა, მაგრამ იმას ჩემი ორგანო ერჩივნა. ერთი სიტყვით, მომამზადეს, გამიკეთეს ნეფრექტომია (თირკმლის ამოკვეთა). შემდეგ დამინიშნეს წოლითი რეჟიმი, დიეტა; გამაფრთხილეს, მოვრიდებოდი მწვავე რესპირატორულ დაავადებებს, გრიპს, გაცივებას, სიმძიმეების აწევას და ოპერაციიდან სამი კვირის შემდეგ კეთილი მგზავრობა მისურვეს...

— ვინც თქვენს თირკმელს ინერგავდა, იმით არ დაინტერესდით?

— მაშინ მაგის თავი სად მქონდა?! ახლა კი მაინტერესებს, თავს როგორ გრძნობს. მე მგონი, ჩემი თირკმელი საქართველოდან ჩასულს გადაუნერგეს და შესაძლოა, ახლა ვინმე ქართველი ჩემი თირკმლით დადის.

— ახლა ჯანმრთელობას ხომ არ უჩივით?

— არა. პროფილაქტიკის მიზნით, წელიწადში ორჯერ, ექიმებთან დავდივარ — ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

— შინაურები, ახლობლები, საზოგადოება როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?

— ახლობლებს არც გაუგიათ, რომ არ ვჩანდი, უფიქრიათ — მევალეებს ემალებაო. მხოლოდ დედამ და დამ იცოდნენ. ქმარი ვალის გამო გამეყარა. სახლში ყოველდღე იარაღიანი კაცები გვაკითხავდნენ. რამდენჯერმე ორივე გვცემეს. მან ველარ აიტანა და სახლიდან გამაგდო.

— ბავშვები ქმართან დარჩნენ?

— უფროსი დაიტოვა, მეორე მშობლებთან გავაგზავნე ქუთაისში, მე იქაური ვარ.

— დღეს რა მდგომარეობა გაქვთ ოჯახში?

— შევრიგდით. ვალები გავისტუმრე, ცალკე ბინა ვიყიდე, თირკმელი ძალიან „შემომეშველა“. ვაგზლის ბაზრობის რამდენიმე ადგილზე გამყიდველები მყავს დაყენებული და სტაბილური შემოსავალი მაქვს.

— ქმარმა კრიტიკულ მომენტში მიგატოვათ, გული არ გწყდებათ?

— არ ვამტყუნებ — მის წინაშე დამნაშავე ვიყავი, ვალი ჩემი ქარაფშუტობის გამო დამედო, მაგრამ გულის სიღრმეში კი ვიყავი განაწყენებული. მაინც არ გამოდიოდა, არ შევრიგებოდი — ბავშვებს მამა სჭირდებათ.

— მეუღლემ გაიგო, ფული როგორ იშოვეთ?

— არა.

— ნაოპერაციევ სხეულზე არ უკითხავს — საიდანო?

— „ალიბი“ მქონდა: ჩემმა „კეთილისმყოფელმა“ აქაც მიშველა: საავადმყოფოში დამაწვინა, დიაგნოზით — „თირკმლის ქრონიკული უკმარისობის ტერმინალური სტადია“ და ვითომ ოპერაცია გამიკეთა. თქვენ წარმოიდგინეთ, მაშინ იმდენი მნახველი მოვიდა და იმდენი გულშემატკივარი გამომიჩნდა — თითოეუ-

ლი ათი ლარითაც რომ შემწეოდა, ვალს, მთლიანად თუ არა, სანახევროდ მაინც დავფარავდი...

— ოპერაციის შემდეგ თანხის მიღების გარანტია გქონდათ?

— საზღვარგარეთ და გავიყოლე, თანხის ნახევარი საავადმყოფოში მისვლისთანავე გამოვართვი, ნახევარიც შემდეგ მომცეს.

— ფინანსური პრობლემები მოაგვარეთ, არც ჯანმთელობას უჩივით. ჩანს, თქვენს გადაწყვეტილებას არ ნანობთ.

— მთლად ეგრეც არ არის. ვნანობ, როგორ არ ვნანობ?! სათქმელადაა ადვილი ოპერაციის გადატანა, თორემ შესასრულებლად, საკმაოდ ძნელია. მეშინოდა მევალეების და, რაც მთავარია, მომავლის — ოჯახი დამენგრა, ბავშვები უმშობლოდ უნდა გაზრდილიყვნენ.

— რამდენი გადაიხადა თქვენმა რეციპიენტმა?

— მას რა დაუჯდა, არ ვიცი. მე თირკმელში ორმოცი ათასი დოლარი ავიღე, მაშინ ეს მაგარი ფასი იყო — დღეს ორგანოები გაცილებით იაფია... ქალი ვიცი, რომელიც ელენთას თვრამეტი ათასად ყიდდა, მაგრამ ვერ მოახერხა...

— ვალის გადახდის სხვა ხერხი ვერ გამონახეთ?

— შესაძლოა, იყო კიდეც. ახალგაზრდა, ქმარს გაშორებულ ქალს სხვა გზის გამონახვა არ უნდა გასჭირვებოდა... მაგრამ მე ეს გზა ავირჩიე: ორი შვილი მყავს — ალბათ მიმიხვდებით...

— ახლა რას საქმიანობთ?

— მატერიალურად არ მიჭირს. ცოტას „ვბიზნესმენობ“ და იმდენს ვშოულობ, რომ აუცილებელი არაფერი გვაკლია. მაქვს საკუთარი ბინა და ავტომობილი, დავდივარ ეკლესიაში, მიყვარს ავტომობილით ქროლა და მთებში ხეტიალი, რასაც მოძღვარი ყოველთვის მიშლის. ძალიან მიყვარს კლდეები: კაცი რომ ვყოფილიყავი, მთამსვლელი გავხდებოდი.

— გადატანილმა გაჭირვებამ ფსიქოლოგია ხომ არ შეგიცვალათ?

— საქართველოში ჩამოსულს გმირობის ჩამდენის, თავგანწირული ადამიანის თვითშეგრძნება მქონდა. ჩემ გარშემო ყველა უმადური მეგონა, ამპარტავანი გავხდი... სინამდვილეში, გმირობა კი არა — უდიდესი ცოდვა ჩამიდენია. ამას მოგვიანებით მივხვდი. მდგომარეობიდან, ეკლესიაში ხშირმა სიარულმა გამომიყვანა. მოძღვარმა მიმახვედრა, რომ ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე უდიდესი დანაშაული ჩამიდენია.

— სიკვდილის არ გეშინოდათ? ხომ შეიძლებოდა, ოპერაცია ვერ გადაგეტანათ?

— მეშინოდა, მაგრამ ეს ვერ შემაფერხებდა, შინაგანი ხმა მკარნახობდა, რომ ჩემთვის გადარჩენის სხვა გზა არ არსებობდა. თანაც, შეშინებული ადამიანი ყველა თავის ქმედებას ამართლებს. ისე, ჩვენში დარჩეს და, სიკვდილს ისე ტრაგიკულად არ აღვიქვამ, როგორც სხვა ადამიანები...

— ფსიქოლოგები საკუთარი ორგანოების გამყიდველ ადამიანებს პოტენციურ თვითმკვლელთა რიგს აკუთვნებენ. უკიდურესი გაჭირვების ჟამს, თავის მოკვლა ხომ არ გიფიქრიათ?

— ერთხელ ვცადე, მაგრამ გადავრჩი. ცხოვრების იმ მონაკვეთს აღარ ვიხსენებ... ■



ადამიანის ანბანური

დაე, მიმატოვოს სხვამ ყველაფერმა, ოღონდ ვაჟკაცობა დარჩეს ჩემთან!

იოჰან გოტლიბ ფიხტე

ვინც მილიონი მკითხველისთვის არ წერს, სჯობს სულაც არ წეროს.

გოეთე

დაე, შემემთხვას არა ის, რაც მსურს, არამედ ის, რაც ჩემთვის სასარგებლოა.

მენანდრე

მეგობრებიდან ბედნიერ შემთხვევაზე მხოლოდ წვეულნი მოვლენ, უბედურ შემთხვევაში კი თავისით მართებთ მოსვლა, დაუპატიჟებლად.

სოკრატე

დარდი — სასტიკი მბრძანებელია.

მიხაილ ლერმონტოვი

მე ვიცი ბევრი სახელმწიფო, რომელმაც დაკარგა სახელმწიფო და ქვეშევრდომები იმის გამო, რომ ჯარი არ გააჩნია.

კარდინალი რიშელიე

ცოცხლობდე — ნიშნავს იბრძოდე; იბრძოდე — ნიშნავს ცოცხლობდე.

ბომარშე

სადაც არ მიხნავს, ძმობილო,
იქ ვიმკო — სადაურია?

ვაჟა-ფშაველა

თუ კაცმა ორმოც წლამდე ვერავინ შეიყვარა, სჯობს აღარავინ შეიყვაროს.

ჯორჯ ბერნარდ შოუ



მსურველს მეცხოვრე ქალები ეფრთე ლეჭილდებით

ნინო ჯავახიშვილი

ალბათ იშვიათად გაგიგიათ, ვინმეს დიდი სიხარულითა და სიამაყით ეთქვას _ მენატურე ვარო. ამ მართლაც უცნაური და ცოტა არ იყოს, მოსაწყენი პროფესიის ადამიანთა ცხოვრება-საქმიანობაზე საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის. საინტერესოა, რა განაპირობებს არჩევანს, რომელიც უცხო ადამიანების თვალწინ სისტემატურად გაშიშვლებასა და საათობით უძრავად ჯდომას ითვალისწინებს.

თბილისის სამხატვრო აკადემიაში მისულს, 50 წელს გადაცილებული ჟანა თავიდანვე რატომღაც დიდი აღტაცებით შემხვდა. სტუდენტთა გასაგონად ხმამაღლა განაცხადა – ჩემთან ჟურნალისტია მოსული, ცოტა ხანს უნდა დაველაპარაკო და ხელი არ შემიშალოთო. მერე მომიბრუნდა და მითხრა: ერთმა ჟურნალისტმა მენატურეებზე ისეთი რამეები დაწერა, ყურს რომ არ გაუგონია, შენც იმავეს ხომ არ აპირებო? და დასძინა: ზოგს ჰგონია, მენატურეები იგივე მსუბუქი ყოფაქცევის ქალები ვართ... ჩვენ ხელოვნებას ვემსახურებით და მოფრთხილება გვჭირდებაო... ჟანა, რომ იტყვიან, „სტაჟიანი“ მენატურეა“ – უკვე 24 წელია, ამ საქმეს მისდევს.

– სომეხი ქალი ვარ, ვაკეში დაბადებულ-გაზრდილი. ახლა სოლოლაკში ვცხოვრობ. მყავს მეუღლე, რომელიც ამჟამად უმუშევარია... კარგი ბავშვობა მქონდა. დღემდე დიდი სითბოთი და სიყვარულით ვიხსენებ ხოლმე იმ წლებს. მაშინ რას წარმოვიდგენდი, ოდესმე მენატურე თუ გავხდებოდი?! რუსული სკოლა დავამთავრე. კარგად ვმღეროდი და მინდოდა, კონსერვატორიაში ჩამებარებინა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა, ცხოვრება ამერია...

ჟანა: „იცით, რა გოგო ვიყავი ახალგაზრდობაში?!.“

— იქნებ მითხრათ, მაინც რა მოხდა?

– იცი, რა გოგო ვიყავი ახალგაზრდობაში?! ვარსკვლავებს ვეთამაშებოდი! ჰოდა, ადგა ეს ჩემი ქმარი და მომიტაცა. მაშინ 17 წლის ვიყავი. ვინღა ჩამაბარებინებდა კონსერვატორიაში? მერე 2 წლის შვილი დამეღუპა და მეტი შვილი აღარც გამიჩნდა... ეეჰ, არ მინდა იმ ამბების გახსენება, მოდი, სხვა რამეზე ვილაპარაკოთ...

— სამხატვრო აკადემიაში როგორ მოხვდით — უფულობამ მოგიყვანათ თუ უბრალოდ, პროფესიამ მოგხიბლათ?

– შემთხვევით მოხდა ყველაფერი: მაღაზიაში ვმუშაობდი გამყიდველად. ჩემი მეუღლეც მუშაობდა (სხვათა შორის, ძალიან სიმპათიური მეუღლე მყავს...), მაგრამ ცხოვრება აირია და ორივე უმუშევრები დავრჩით. აქ კი ცნობილმა მხატვარმა (ახლა ცოცხალი აღარ არის) უჩა ჯაფარიძემ მომიყვანა. მითხრა: მოდი, ნახე, რა ხდება, თუ შეძლებ და მოგეწონება, ხომ კარგი, თუ არა და, შენი გზით წახვალო. მაშინ 28 წლის ვიყავი.

— მეუღლე ან ახლობლები ხომ არ შემოგწყრნენ ამის გამო?

– სხვათა შორის, ქმრისგან არანაირი წინააღმდეგობა არ შემხვედრია, პირიქით, კარგი თვალით შეხედა ამ ამბავს, თანამედროვე კაცია და მხარში ამომიდგა(?!). მეზობლებმაც იციან, რომ მენატურედ ვმუშაობ, მაგრამ ცუდი რატომ უნდა თქვან?!

— პირველად რომ გაშიშვლდით, უხერხულობა არ გიგრძვნიათ?

– როგორ არა?! ბატონმა უჩამ გოგობიჭებით სავსე აუდიტორიაში შემიყვანა. დიდი ინტერესით დამიწყეს თვალიერება. თვითონაც ახალგაზრდა, თავმომწონე ქალი ვიყავი და იქ გაშიშვლება ვერ წარმომედგინა, ვერაფრით დავძლიე სირცხვილის გრძნობა და ბატონ უჩას ვუთხარი: მათთან ვერ გავიხდი, გავიდნენ და მერე-მეთქი. კარგიო, გაეცინა. ოთახი რომ დაცარიელდა, შირმის უკან შევედი და... შევედი... გახდით კი გავიხადე, მაგრამ ვეღარ გამოვდივარ. გოგო, ამდენ ხანს ვეღარ გაიხადეო? – დამიძახა უჩამ. შირმიდანვე ვუპასუხე – მაინც მრცხვენია-მეთქი. ჰო, კარგი ახლა, „მაჩალკა“ და საპონი არა გაქვს? გამოდი,

ვითომ აბანოში ხარო, – გამეხუმრა ბოლოს... მერე დამამშვიდა: ნუ გრცხვენია, სტუდენტები მხატვრის თვალით გიყურებენ და არა ისე, როგორც ქალსო... მერე რაღაც მაგიდაზე დამაყენა, თვითონ კი მიყურებდა და გაიძახოდა: იფ, იფ, რა შოლტივით ქალი ხარო!.. მარტო გასამხნევებლად კი არ მეუბნებოდა ამას – მართლაც, მთელი აკადემიის ბიჭები მოდიოდნენ ხოლმე ჩემს სანახავად... უცებ კარი გაიღო და ვიღაც ბიჭმა ნელა შემოყო თავი. სიცილით კვდებოდა – მე დამცინოდა. გავიხედე და იმ ბიჭს სტუდენტების მთელი არმია შემოჰყვა. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ხელებს ხან სად ვიფარებდი, ხან სად, მაგრამ ორი ხელი მქონდა და ყველაფერს როგორ დავიფარავდი?!. ახლა უკვე მეცინება ამ ამბავზე.

— ახლა ეს თქვენთვის არანაირ პრობლემას აღარ წარმოადგენს?!

– არა, რას ამბობთ! რა სირცხვილი, რის სირცხვილი! ამათთან (ხელით მანიშნა სტუდენტებზე) ისე გავიხდი, თვალსაც არ დავახამხამებ. მივეჩვიე გაშიშვლებას, ადამიანი ყველაფერს ეჩვევა... დაიჯერებ, რომ ძალიან მიყვარს ჩემი პროფესია? ძალიან მიყვარს სტუდენტებიც, ვისთანაც მუშაობა მიწევს. ზოგჯერ თითქოს მეზარება ყოველდღე ერთი და იგივე – გაშეშებული ჯდომა, მაგრამ არდადეგებზე ისე მომენატრება ხოლმე აქ მოსვლა...

— კარგად მაინც თუ გიხდიან?

– კარგად – არა! საათში 1 ლარი და 20 თეთრი უნდა მოგვცენ. ხელშეკრულებით ასეა, მაგრამ იქიდან 60 თეთრი რჩება: დანარჩენი გადასახადებში მიდისო. რა არის 60 თეთრი? არაფერი! საათობით უმოძრაოდ ჯდომა ადვილი ხომ არ ჰგონია ვინმეს?! შაბათ-კვირას ვისვენებთ. აქაური ხელფასი რაში მეყოფა, ზოგჯერ „უბორკებს“ ვაკეთებ და ფულს ამითაც ვშოულობ. რას იზამ, ასეთი ცხოვრება მოვიდა... ერთი სტუდენტი გვყავდა, ეთერ ჭკადუა, ძალიან უყვარდა ჩემი დახატვა. ჩიკაგოში გამოფენა მოაწყო და თურმე ძალიან ბევრს უხდიდნენ იმ სურათში, მაგრამ – ვერ გავყიდე, ვერაფრით შეველიეო, მითხრა... სხვათა შორის, რამდენიმე ფილმშიც გადამიღეს. ეთერთან სტუმრად ჩამოსულმა გერმანელმა რეჟისორმა ფილმში „კავკასიური ნადიმი“ გადამიღო. კიდევ, ერთ დოკუმენტურ ფილმში – „მენატურეში“ ვმონაწილეობთ მეც და მეორე მენატურე – მარიაც. მოკლედ, რაღაც-რაღაცების მიუხედავად, ბედს მაინც არ ვემდური. კაცმა რომ თქვას, არც პროფესიას – მომწონს მენატურედ მუშაობა...

ასე დასრულდა ჩვენი საუბარი ჟანასთან და ახლა მენატურე მამაკაცი – 29 წლის ანდრო გამაცნეს:

– დიდი ხანი არ არის, რაც მენატურედ ვმუშაობ – სექტემბერში მოვედი. მყავს მეუღლე და 5 წლის ქალიშვილი. ოჯახს რჩენა უნდა, ჰოდა, რა, არ არის ეს სამუშაო?! არა უშავს – რაღაცა მაინც გამოდის... თუმცა ხელფასზე სულ ჩხუბი გვაქვს ხოლმე. ცალკე ოთახიც გვჭირდება მენატურეებს, რომ დავისვენოთ, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს. არადა, დილის 10 საათიდან 6-მდე ვმუშაობ, 8 საათი გამოდის, ზოგჯერ ცოტა მეტიც – გაჩნია, როგორი მუშაობა იქნება: თუ სხვა მენატურეც აიყვანეს, შეიძლება საათებიც ნაკლები გამომივიდეს და ხელფასიც – 70 ლარამდე, თუ მარტო და სრული დატვირთვით ვიმუშავე, მაშინ – 150 ლარამდე.

— მერე ოჯახის სარჩენად 150 ლარი როგორ გყოფნით?

– ჩემი მეუღლეც მუშაობს. მე კიდევ, დარაჯად ვმუშაობ – აქვე, აკადემიაში. თვეში 42 ლარი მაქვს, თუმცა იმასაც ხან გვაძლევენ და ხან არა. გაიძახიან – ხელფასები არ არის, გაიყინაო.

— ვინ გირჩიათ მენატურედ მუშაობის დაწყება?

– ახლობელმა მომიყვანა, თვითონაც მენატურეა, იცოდა, რომ სამუშაოს ვერ ვშოულობდი და შემომთავაზა. მაშინვე უყოყმანოდ დავთანხმდი. სიმართლე რომ გითხრა, ამაში ცუდსა და მიუღებელს ვერაფერს ვხედავ. ისე, პროფესიით ფერშალი ვარ, კიევში ვსწავლობდი, მაგრამ დიპლომიცა და სხვა საბუთებიც ერთიანად დავკარგე. უსაბუთოდ კი ვერ ვიშოვე სამუშაო. 1992 წელს საომრად აფხაზეთში მოხალისედ წავედი, თიანეთის სპეცბატალიონის ფერშალი ვიყავი. ომის შემდეგ ერთხანს ბანკის დაცვაში ვმუშაობდი, მაგრამ გამათავისუფლეს. რაღაც ხომ უნდა მეკეთებინა – ვთევზაობდი და ამით ვარჩენდი თავსაც და ოჯახსაც. სექტემბრიდან კი, როგორც გითხარით, აქ ვარ და ჯერჯერობით არსადაც არ ვაპირებ წასვლას. დაცვაში მუშაობა აღარც კი მიცდია – ეს საქმე უფრო შემოსავლიანია.



ანდრო: „რა, არ არის ეს სამუშაო?!.“

— თუმცა სრულიად შიშველს პოზირება არ გიწევთ, მაინც ხომ არ გრძნობთ უხერხულობას — ამდენი ახალგაზრდა ქალი რომ გიყურებთ?

– სულაც არა – რა კომპლექსი უნდა მქონდეს?! ისე, შიშველ ნატურაზე კაცი ძალიან იშვიათად თანხმდება. საერთოდ, მენატურე მამაკაცი ნაკლებია, ვიდრე ქალი. აქ სულ ხუთნი ვართ. მხატვრებსაც ქალები უფრო სჭირდებათ: მამაკაცის აღნაგობიდან გამომდინარე, ჩვენი ხატვა უფრო რთულია.

— კერძოდ არავისთან გიმუშავია?

– ერთხელ შემომთავაზეს, გასულ ზამთარს. ორმა პედაგოგმა, ქალმა და კაცმა: ერთად მუშაობდნენ და საათში 3 ლარს გადამიხდიდნენ, მაგრამ უარი ვუთხარი.

— რატომ, რა არ მოგეწონათ?

– არა, ცუდი წინადადება ნამდვილად არ იყო, მაგრამ ეტყობა, რაღაც კომპლექსმაც იმოქმედა – მთლად შიშველი უნდა ვყოფილიყავი.

P.S. მასალა უკვე მზად იყო, როდესაც გავიგეთ – სამხატვრო აკადემიის მენატურეები გაფიცულანო... მენატურეები კატეგორიულად აცხადებენ: იქამდე არ გავალთ პოდიუმზე, ვიდრე ექვსი თვის ხელფასს (1999 წლის ოქტომბრიდან, 2000 მარტამდე) სრულად არ აგვინაზღაურებენო!.. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის
უშის წიგნაკიდან:

1. ფერად, გაუმჭვირვალ მინის ნაჭრებს, რომლებსაც მოზაიკის ასაწყობად იყენებენ, სმალტა ეწოდება.

2. ლევ ტროცკი 1940 წელს მექსიკაში ყინულის სამტვრევით გამოასალმეს სიცოცხლეს.

3. მარათონის დისტანცია 42 კმ და 195 მეტრია.

4. რაფაელის „სიქსტის მადონა“ დრეზდენის მუზეუმში ინახება.

5. ზაქარია ფალიაშვილი სარწმუნოებით კათოლიკე გახლდათ.

6. ამერიკელებმა რუსებს ალასკაში 7 მილიონ 200 ათასი დოლარი გადაუხადეს.

7. „ღმერთმა სპირტიანი სასმელი იმისთვის გამოიგონა, რომ ირლანდიელებს არ ემართათ მთელი ქვეყნიერება“, – ამბობენ თავად ირლანდიელები.

8. ტარაკნები ერთნაირად კარგად გრძნობენ თავს სარდაფებში, სანავთობე კოშკურებში და, თქვენ წარმოიდგინეთ, ატომურ წყალქვეშა ნავებში.

9. ამერიკულ ფეხბურთში ბურთის დამიწებას „თაჩდაუნი“ ჰქვია.



10. პეტრე-პავლეს ციხე პოლიტიკური პატიმრებისთვის იყო განკუთვნილი. ამ დანიშნულებით იგი თავად პეტრე I გამოიყენა, როცა იქ საკუთარი შვილი ჩასვა.

11. 1825 წელს პერუსგან გამოყოფილ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს ბოლივია ეწოდა.

12. „ვუღალატე ჩემს ცოლს – ახლა მასზე უფრო სხვა ქალი მიყვარს“, – ასეთი განცხადება კიმ ბესინჯერის მეუღლემ, ალეკ ბოლდუინმა, ქალიშვილის შეძენის შემდეგ გააკეთა.

13. „ამ ავტობიოგრაფიას რომ ვწერ, ერთი წუთითაც არ მავიწყდება, რომ სამარიდან გელაპარაკებით. ეს ნამდვილად ასეა: ეს წიგნი რომ დაიბეჭდება, მე ცოცხლი აღარ ვიქნები. მირჩევნია მკვდარმა ვილაპარაკო, ვიდრე ცოცხალმა, მეტად სერიოზული მიზეზის გამო: სამარეში უფრო გულახდილი ვიქნები“, – ამ სიტყვებით იწყება მარკ ტვენის ავტობიოგრაფია.

14. კემბრიჯის უნივერსიტეტის სტუდენტებმა სიგარეტის კოლოფებისა და შამპანურის საცობების გამოყენებით სრულიად ახალი თამაში გამოიგონეს. ამ თამაშს დღეს მაგიდის ჩოგბურთი ჰქვია.

15. არკადი გაიდარი მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და 16 წლისა უკვე პოლკს მეთაურობდა. P.S. რუსი მწერლის ნამდ-

ხუმარა გრიშა ანუ ვის რიგორი ცოლი ჰყავს...

ვახტანგ ხონელი

კომბინატში ახალი დირექტორი დაგვინიშნეს. როგორც მოსალოდნელი იყო, დირექტორმა მოადგილედ თავისი კაცი მოიყვანა. ყოველდღე ველოდებოდით „საკადრო ცვლილებას“, მაგრამ ჩვენდა სასიხარულოდ და ცოტა გასაკვირადაც, წარმოების სხვა ხელმძღვანელები ჩვენ-ჩვენს ადგილებზე დავრჩით. ამ ფაქტის აღსანიშნავად ფული შევაგროვეთ და რესტორანში დავპატიჟეთ ახალი უფროსობა, ჩვენი ხუმარა გრიშა კი წინდაწინ გავაფრთხილეთ: აბა, შენ იცი, შენებურად იანგლე და კარგი დრო გაგვატარებინე, მარა ნამეტანი ნუ გადახვალ „დაუკრეფავში“, რადგან ჯერ არ ვიცით, რა ზნისა და ხასიათის ხალხთან გვაქვს საქმე-თქო. გრიშამ მარჯვენა ხელი ასწია – თქვენ ნურაფრის დარდი გექნებათ, ყველაფერი ა (ცერა თითი გვიჩვენა), ასე იქნებაო.

მშვენიერი სუფრა გავშალეთ „არაგვში“. გრიშა ლაღობდა და ოხუნჯობდა. დირექტორს და მის მოადგილეს არაქათი აღარ ჰქონდათ სიცილისაგან. თერთმეტი რომ დაიწყო, სკამზე ავწრიალდი, რადგან ოჯახი არ მყავდა გაფრთხილებული, არადა, ვიცოდი, ბავშვს სიცხე ჰქონდა. ჩემი ნერვიულობა არ გამოჰპარვია გრიშას და ხმამაღლა გამოაცხადა: შეხედეთ, ერთი ვახოიას, როგორ ნერვიულობს – ალბათ ცოლის ეშინიაო... რა იყო, ბიჭო, ეს დევივით კაცი, რავა შეგაშინა იმ პატარა ქალმა?! სახლში რომ მიხვალ, ერთი კარგად დაუყვლიპე თვალები და მაშინვე ენას ჩაიგდებს პირშიო. უხერხულ მდგომარეობაში ჩავვარდი. „ახლებთან“ თავი ვიმართლე – ბავშვი ვერ მყავს კარგად და ამიტომაც ვნერვიულობ-მეთქი. ჩემ გვერდით მჯდომმა კარლომ ყურში მიჩურჩულა: სხვის ცოლებზე რომ ენაკვიმატობს, ნეტავ, მისი როგორია? ერთი, მის ოჯახში ამაწევინა ჭიქა და მერე მომკლაო. მართლაც, ამდენი ხნის ურთიერთობა გვქონდა მე და გრიშას და ერთხელაც არ მახსოვს რომ წამოსცდენოდეს, ჩემთან გეპატიჟებიო. არც მის ჟანას (რუსი ცოლი ჰყავდა) ვიცნობდი.

როგორც მოსალოდნელი იყო, გრიშამ „აფრები აუშვა“:

— ახლა ჩემს ერთ კურიოზს მოგიყვებით, რომელიც მოსკოვში შემემთხვა.

თვალით ვანიშნე, არ გინდა-მეთქი, მაგრამ შეზარხოშებულის შეჩერება უკვე აღარ შეიძლებოდა. თუმცა, სიმართლე უნდა ვთქვა, რომ ახალი უფროსობა სიამოვნებით და დიდი ინტერესით უსმენდა.

— ხომ იცით, რუსებისთვის აქაც ჩვენ ვართ მასპინძლები და რუსეთშიც. ჰოდა, მოსკოვში, რესტორანში დავპატიჟე ჩემი „მასპინძლები“. სადღეგრძელო მაგათ არ იციან და სიმღერა. ერთს იტყვიან — Будем ან Давай махнём! და გადაჰკრავენ. ნათქვამია: სადაც ხარ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო. ერთი-ორი სადღეგრძელოს მერე რომ შევატყვე, არ მისმენდნენ, მეც იმათებურად „შევუბერე“. ცოტა ხანში, ტუალეტში მომინდა. მომეხათრა, ჯერ ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ვთქვი, დასარეკი მაქვს და ხუთ წუთში დავბრუნდები-მეთქი. ოფიციანტს მივეჭერი: არიქა, მიშველე, ტუალეტი სადაა, მიმასწავლე-მეთქი! ირონიულად აეგრიხა ცალი ტუჩი და ქვედა სართულისკენ, მარჯვენა მხარეს მიმითითა. გავქანდი და „ნაცნობმა სუნმა“ რომ შემიღიტინა ცხვირში, შვებით ამოვისუნთქე. კარისთვის არც შემიხედავს, ისე შევიჭერი საჭირო ადგილას... ჩემი საქმე ჯერ ბოლომდე არ მქონდა მოთავებული, რომ ატყდა ქალების წივილ-კივილი — Это для женщин, это для женщин! უცებ მოვედი აზრზე. იმ საზიზღარ ოფიციანტს შეცდომით, ქალების ტუალეტის გზა უსწავლებია ჩემთვის. უცებ მომინდა იმ ოფიციანტის ჯავრი ამათზე ამომეყარა და მშვიდად მივუგე: Мои дорогие, это тоже для женщин... ეს ვთქვი და გაჯგიმული გამოვედი იქიდან, იმათ კი მაშინვე ხმა ჩაიწყვიტეს...

დირექტორი და მისი მოადგილე ხმამაღლა ხორხოცობდნენ. ღამის 1 საათზე სუფრა აიშალა. გრიშა ფეხზე ძლივს იდგა. სხვა გზა არ იყო, მე და კარლოს უნდა მიგვეყვანა სახლამდე. გზაში მაინც არ იშლიდა თავისას და გვაქილიკებდა: რავა კურდღლებივით ცახცახებთ, ასე როგორ შეგაშინათ ცოლებმაო? როგორც იქნა, მივედით გრიშას სახლამდე. სადარბაზო არ მახსოვდა, მაგრამ მისთვის კითხვას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან ფეხზე მდგომს ეძინა. ვარაუდით, მესამე სადარბაზოს კიბეს ავუყევით. გრიშას ჩემს მხარზე ეძინა, თან უცნაურ ხმებს გამოსცემდა. მესამე სართულზე რომ ავედით, გვარი არც ერთ კარზე არ ეწერა, მაგრამ კვლავ ვარაუდით, შუა კარზე დავრეკე ზარი. მე გვერდით მივდექი, გრიშა კი შუბლით კედელზე მიყუდებული დავტოვე. კარი მალე გაიღო. რუსი ქალი დინჯშემოყრილი იდგა და ქმრის შინ შეშვებას სულაც არ აპირებდა. მე ვერ შემამჩნია. Опять напился, да? — მისი თვალებიდან ნაპერწკლებმა დაკვესა. გრიშამ პასუხად ამოიზმუვლა. ქალმა არც აცია, არც აცხელა და თავზე იატაკის საწმენდი ჯოხი გადაამტვრია. კარი მიჯახუნდა, გრიშა კი თავპირისმტვრევით წამოვიდა თავქვე...

როცა წამოვაყენე, სული ძლივს მოიბრუნა და ლუღლუღით მითხრა: რა მიქენი, ბიჭო! ვისთან მიმიყვანე, ვის აცემინე ჩემი თავიო?!.. ძალიან შევწუხდი — ვაითუ, მისამართი შემეშალა და კაცი ვიღაცა გიჟს მივუყვანე-მეთქი. „მითხარი, აბა, რომელია შენი სადარბაზო?“ — ჩავეკითხე სასწრაფოდ: მეშინოდა, არ დასძინებოდა. მან ხელი პირველი სადარბაზოსკენ გაიშვირა. იქით წავედი და გრიშაც წავაბარბაცე. ისევ ავედით მესამე სართულზე, ისევ დავრეკე ზარი და კარის გაღებას აღარ დაველოდე, ისე დავეშვი კიბეზე. სადარბაზოდან გასული არ ვიყავი, რომ წივილ-კივილი მომესმა: „მიშველეეთ! ჩემი პეტრე მეგონა და ვინცხა კაცი აღმოჩნდა, თან მელუღლუღება — სახლში შემიშვიო...“ გავიგონე ბრახვანის ხმა და ეს ჩვენი გრიშა კვლავ თავდაღმა წამოვიდა.

წამოვაყენე, გარეთ გავიყვანე და მანქანაში ჩავსვი. გახუმრება ვცადე: ეს რა მოგივიდა, ჩემო გრიშა, როგორ აგერია მისამართი?.. ბოლოს და ბოლოს, რომელი იყო შენი ცოლი? — არ მითხრა, ახლა, არც ერთიო?! ჩვენ რომ გვამუნათებ, ერთ-ერთისთვის მაინც დაგეყვლიპა თვალები — ეგება, შეშინებოდა და შინ შეეშვი-მეთქი?! საბოლოოდ გამოფხიზლებული გრიშა ხუმრობის ხასიათზე აღარ იყო... იმ ღამეს ავ ცოლებსა და „კურდღელა“ კაცებზე მოქილიკე გრიშას ჩემს სახლში ეძინა... ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა დვალის უბის წიგნაკიდან:

ვილი გვარი გოლიკოვია.

16. ქალაქის ხელოსნურ, ნახევრად პროლეტარულ ფენას ლუმპენპროლეტარიატი ერქვა. P.S. ყარაჩოხელი გიჟუა სწორედ ამ ფენის წარმომადგენელი იყო.

17. ხელოვნურად შექმნილი ენის, ესპერანტოს ანბანი 28 ასოსაგან შედგება და იკითხება ისე, როგორც იწერება. P.S. ესპერანტოს პირველი სახელმძღვანელო 1887 წელს ვარშავაში გამოვიდა.

18. კუნძულები ყემში, ჰორმუზი და ხარკი ირანს ეკუთვნის. P.S. ირანი 23 ოსტანად იყოფა.

19. ჰიტლერს არ ანაღვლებდა გერმანიის დაღუპული ქალაქები. იგი არასოდეს არ ნახულობდა დაბომბვის ადგილებს, სადაც მცხოვრებ, ერთ დროს მისით აღფრთოვანებულ ხალხს, თავისი ფიურერისადმი რწმენა ჰქონდა დაკარგული.

20. ვიშნუიზმის რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება „ბჰაგავატგიტაში“ დიალოგების ფორმით არის გადმოცემული.

21. როდესაც სრულიად ახალგაზრდა მაქს პლანკი, სამოცდაათი წლის პროფესორ ჟოლისთან მივიდა და უთხრა, გადაწყვეტილი მაქვს, მთელი სიცოცხლე თეორიულ ფიზიკას შევწიროო, პროფესორმა მას უთხრა: „ყმაწვილო, რატომ იფუჭებთ ცხოვრებას, თეორიული ფიზიკა ხომ ძირითადად დასრულებულია... ღირს კი ამგვარი უპერსპექტივო საქმისთვის ხელის მოკიდება?“ P.S. ფილიპ ჟოლი 1884 წელს გარდაიცვალა, იგი ვერ მოესწრო იმ დროს, როცა მისმა მოწაფემ სიტყვა „კვანტი“ წარმოთქვა.

22. მსოფლიოში პირველი ბანკი შუა საუკუნეების იტალიაში დაარსდა.

23. პირველი წარმატებული ამერიკული ვერტმფრენი იგორ სიკორსკიმ შექმნა.

24. გორენკო ანა ახმატოვას ნამდვილი გვარია.

25. აფხაზეთის ომის დროს ჯაბა იოსელიანმა რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „დურაკუ პანიატნო, შტო ნამ ზდეს ვ ასნავნომ პრატივასტაიატ რუსკიე, ა ნე აბხაზცი... აბხაზცი ორენ მალორჩისლენნი. ვეს ნაროდ პამესტიტსა ნა ტრიბუნახ ადნავო სტადიონა; ტაკ ნეუჟელი ეტოტ „სტადიონ“ ვირასტილ სტოლკო ტანკისტოვ, არტილერისტოვ, ლიოტჩიკოვ, შტო ტაკოი ბალშოი ფრონტ დერჟიტ? ... ეტაჟ ნადო, ტაკოი ბალშოი ფრონტ დერჟატ?..“ ■

„გუჯარ ყურაშვილის გათავისუფლება სასამართლოსთან საეთიკოვრიოდ არ უნდა გაგვიხდეს“

თუმცა საქმეს ვერც ელენე თევდორაძის ხვეწნამ უშველა

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მოსაკლავად შეიარაღებულ პირთა შეთქმულების ფაქტი ამ დღეებში კვლავ აქტუალურ თემად იქცა. ამჯერად, საქმე ეხება არა განხორციელებულ, არამედ არშემდგარ ტერორისტულ აქტს, რომელიც, გამოძიების მასალების თანახმად, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში მზადდებოდა.

შეთქმულთა შორის, მეთაურის რანგში ისევ ფიგურირებს უშიშროების ყოფილი მინისტრის — იგორ გიორგაძის გვარი, თუმცა სამსჯავროს წინაშე მხოლოდ მისი დაცვის წევრები და უშიშროების სამინისტროს სხვა თანამშრომლები წარდგნენ.

მეგი ცანავა

სასამართლო პროცესი, რომელსაც დიდხანს ელოდნენ, უზენაეს სასამართლოში 30 აპრილს დაიწყო. სასამართლო კოლეგიის წინაშე სამართალდამცავთა მიერ შეთქმულებაში ბრალდებული 10 პატიმარი და 11 დამცველი ადვოკატი წარდგა.

ტერაქტის მოწყობა ბრალად ედებათ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს — სპეცდანიშნულების რაზმის — „ალფასა“ და „მუხროვანი“-ს ბატალიონის წევრებს: არჩილ ფანჯიკიძეს, კახაბერ ქანთარიას, გიორგი გიორგაძეს, ავთანდილ გიორგაძეს, მამუკა გიორგაძეს, დათო წოწორიას, იოსებ ნადირაძეს, ზაურ ქელეხსაშვილს, ოთარ მელიქიძეს და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოლიგონებისა და სასწავლო ცენტრების უფროსს, გენერალ-მაიორს — გუჯარ ყურაშვილს. გამოძიების მასალების მიხედვით, შეთქმულების ორგანიზატორი და დამფინანსებელი იგორ გიორგაძე გახლდათ. ბრალდებულთა შორის იყო უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკური სამმართველოს ყოფილი უფროსი თემურ პაპუაშვილიც. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე შეწყდა, რადგან 2000 წლის 8 თებერვალს იგი ციხეში გარდაიცვალა. ოფიციალური ინფორმაციითა და ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, პაპუაშვილის სიკვდილის მიზეზი ფილტვების დაავადება გახლდათ. თუმცა, ამ ფაქტს ბევრი ახლაც ეჭვქვეშ აყენებს და უფრო რეალურად, პატიმრის მკვლელობას მიიჩნევს.

ზემოთ ხსენებულ პირთა წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 1999 წლის 24 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში აღიძრა. საქმის აღძვრას საფუძვლად ამავე სამინისტროს სამხედრო კონტრდაზვერვის სამსახურიდან შემოსული მოკვლეული მასალები დაედო. როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, „მოკვლეულ მასალებს“ ოპერატიული ღონისძიებების შედეგად მოპოვებული აუდიოჩანაწერები წარმოადგენს, რომლებზეც შეთქმულების ორგანიზატორთა სატელეფონო საუბრებია დაფიქსირებული. საბრალდებო დასკვნა გუჯარ ყურაშვილსა და დანარჩენ 9 პირს სამშობლოს ღალატში, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით ტერორისტული აქტის მზადებაში, მასში მონაწილეობასა და ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონოდ ტარება-შენახვაში ადანაშაულებს.

ადვოკატი თემურ გოქსაძე

წინასწარი გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებებში ბრალდებულები სამართალდამცავთა ამ ინფორმაციას ადასტურებენ, მათ შორის გუჯარ ყურაშვილიც თავს ნაწილობრივ დამნაშავედ ცნობს. თუმცა, დღეს ყველა მათგანი ბრალდებებს უარყოფს და თავს უდანაშაულოდ აცხადებს. განმწესრიგებელ სხდომაზე ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ქანთარიასა და ნადირაძეს ის აქამდე არ იცნობდა და პირველად ისინი სწორედ სასამართლოში გაიცნო. მან ამისთვის მოსამართლეს მადლობაც გადაუხადა. „გამოძიების პერიოდში, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მათ არ მახვედრებდნენ, არადა ამ ხალხის გაცნობა მართლაც ძალიან მაინტერესებდა“ — განაცხადა ყურაშვილმა.

გივი ხაბაშვილი, სახელმწიფო ბრალმდებელი, იუსტიციის უფროსი მრჩეველი:

„ეს გახლავთ მორიგი შეთქმულება, რომელსაც ორგანიზება საქართველოს მოქალაქემ, ამჟამად მიმალვაში მყოფმა, უშიშროების ყოფილმა მინისტრმა — იგორ გიორგაძემ გაუკეთა. მან დაგეგმა და მოამზადა ტერაქტი ედუარდ შევარდნაძის, პარლამენტის თავმჯდომარის — ზურაბ ჟვანიას, შსს მინისტრის — კახა თარგამაძის, სახელმწიფო უშიშროების მინისტრის — ვახტანგ ქუთათელაძის და თავდაცვის მინისტრის — დავით თევზაძის მოსაკლავად. გიორგაძის მიერ ორგანიზებულ ჯგუფში ამჟამად ბრალდებული პირები წინასწარი მოლაპარაკების შედეგად, სხვადასხვა დროს შევიდნენ. საბოლოოდ, ჩამოყალიბდა 300 კაციანი შეიარაღებული ჯგუფი, რომლის მიზანი, 1999 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე კრწანისის რეზიდენციაში შეღწევა და მკვლელობის მიზნით პრეზიდენტზე თავდასხმა გახლდათ. აღნიშნული პირები, ყველაფერთან ერთად, სასიცოცხლო მნიშვნელობის დაწესებულებების ბლოკირებას აპირებდნენ და ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას გეგმავდნენ...“

საქმის მასალების თანახმად, გუჯარ ყურაშვილი და იგორ გიორგაძე ტერაქტის შესახებ მოსალაპარაკებლად ერთმანეთს ლიბანის დედაქალაქ ბეირუთსა და ბელარუსში, მინსკში ხვდებოდნენ. შეხვედრებს ორგანიზებას გიორგაძის ნდობით აღჭურვილი პირი, ამჟამად ძებნილი ოლეგ კუჭავა ახდენდა. საბრალდებო დასკვნაში მითითებულია სატელეფონო საუბარზე, რომელიც, თურმე ყურაშვილსა და გიორგაძეს შორის გაიმართა. სამართალდამცავებს ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, საუბრის აუდიოფირზე დაფიქსირება მოუხერხებიათ. მათი მტკიცებით, ყურაშვილი და გიორგაძე ტელეფონით 7 წუთისა და 45 წამის განმავლობაში ლაპარაკობდნენ. „... *იგორ გიორგაძე გუჯარ*

ყურაშვილს ქ. ბეირუთში დათქმული, კონსპირაციული ფსევდონიმით – „გოგი“-თ მიმართავს. იგი ყურაშვილს კატეგორიულად სთხოვს, შეთქმულთა გეგმის შესრულებისას გამოიჩინოს მაქსიმალური სიფრთხილე, ამბობს, რომ აქვს ინფორმაცია, რომ იგი, ე.ი. ყურაშვილი, მჭიდრო მეთვალყურეობის ქვეშაა და მათი მიზნის განხორციელების მოახლოებასთან დაკავშირებით, დაუფიქრებელმა ნაბიჯმა შეიძლება შეთქმულთა გეგმის ჩაშლა გამოიწვიოს. გიორგაძე ყურაშვილს ჰპირდება, რომ მომდევნო შეხვედრისას მას დაწვრილებით მოუყვება წარმატებების შესახებ“ – წერია საბრალდებო დასკვნაში.

ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით, ხმები იდენტიფიცირებულია. სახელმწიფო ბრალმდებლის თქმით, გუჯარ ყურაშვილისა და სხვა თანამონაწილეების საქმე იგორ გიორგაძისა და პარლამენტის წევრის, ბორის კაკუბავას სისხლის სამართლის საქმესთან გააერთიანეს. აღნიშნულ ბრალდებულებთან ერთად, კიდევ სამ პირს – კახაბერ და ზვიად აფციაურებსა და ოლეგ კუჭავას ადანაშაულებენ. თუმცა ისინი, ისევე როგორც გიორგაძე და კაკუბავა, ამჟამად მიმალვაში იმყოფებიან და მათზე ძებნაა გამოცხადებული.

ბრალდებულთა ადვოკატები სამართალდამცავთა მიერ მოპოვებული მამხილებელი მტკიცებულებების – აუდიოფირების იურიდიულ ძალას უარყოფენ და აცხადებენ, რომ აქ ადგილი აქვს „ბინძურ მონტაჟს“.

თემურ გოქსაძე, ბრალდებული გუჯარ ყურაშვილის ადვოკატი:

„როგორც აღმოჩნდა, უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა სატელეფონო მოსმენებს, რომელთაც აუდიოფირზე აფიქსირებდა. მიუხედავად ამისა, ეს ე.წ. „მოსმენები“ არ შეიძლება, დღეს გუჯარ ყურაშვილის საწინააღმდეგოდ გამოიყენონ, რადგან საქართველოში ექსპერტიზის სიზუსტე ხმების იდენტიფიკაციის საკითხში არ არსებობს და ამდენად, ვერც გამოძიების მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნას ვენდობით“.

დავით კორკოტაშვილი, ბრალდებულ არჩილ ფანჯიკიძის ადვოკატი:

„აუდიოფირები, რომელიც არჩილ ფანჯიკიძისა და სხვათა დაკავების მიზეზი გახდა, მტკიცებულებად არ შეიძლება ჩაითვალოს. ფანჯიკიძის ხმის ნიმუში რეალურად არ არსებობს, არც ხმის იდენტიფიკაციაა ჩატარებული, თუმცა დღეს ამ ოპერაციების ჩატარებასაც კი არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. ასეთი განცხადების საფუძველს კანონმდებლობა მაძლევს – იმ პერიოდში სატელეფონო მიყურადება და მსგავსი ოპერატიული ღონისძიების ჩატარება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ, მაშინ, როდესაც კონკრეტულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული, კანონით აკრძალული იყო. აღნიშნული აუდიოფირები კი, სწორედ ასეთ ვითარებაშია „მოპოვებული“.

უზენაეს სასამართლოში გამართულ განმწესრიგებელ სხდომაზე სახელმწიფო ბრალმდებელმა პროცესზე წარდგენილ ბრალდებულთა მიმართ აღმკვეთი ღონისძიების – ციხეში პატიმრობის, უცვლელად დატოვება მოითხოვა. ამ განცხადებას თერთმეტივე ადვოკატის პროტესტი მოჰყვა. მათგან ცხრამ სასამართლო კოლეგიას პატიმართა ციხიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობებით მიმართა.

თემურ გოქსაძე:

„ამ ეტაპზე გუჯარ ყურაშვილის ციხეში დაკავება ყოვლად დაუშვებელი და გაუმართლებელია. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არასტაბილურია. რამდენიმე ხნის წინ ძლივს გადავარჩინეთ, თორემ შესაძლოა, მასაც თემურ პაპუაშვილის დღე დასდგომოდა. სამჯერ თუ ოთხჯერ მან, ჩემთან პირადი საუბრის დროს, საკმაოდ მშვიდ გარემოში, გონება დაკარგა. წარმოიდგენია, რა შეიძლება დაემართოს მას სასამართლო პროცესებზე, როცა მისი საქმის განხილვა დაიწყება, და უდიდესი ფსიქოლოგიური დაძაბულობის პირობებში მოისმენს ყოველივე ამას. მისი ბუნებიდან, ხასიათიდან გამომდინარე, დაუშვებელია, რომ ის სადმე წავიდეს ან დაიმალოს და ამით ხელი შეუშალოს საქმის სასამართლო განხილვას. ბოლოს და ბოლოს, ასეთი თვისებების მქონე ადამიანს აღმკვეთი ღონისძიების შემსუბუქება სასამართლო კოლეგიის სამათხოვროდ არ უნდა გაუხდეს“.

ადვოკატის გარდა, გუჯარ ყურაშვილის ციხიდან თავდებით გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობით უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს – ლადო ჭანტურიას, კოდორის ხეობის მცხოვრებლებმა, სამხედრო ვეტერანებმა, დევნილთა საკოორდინაციო საბჭოსა და დევნილთა ლიგის თავმჯდომარეებმაც მიმართეს.

თუმცა, ყურაშვილის მიმართ გამოხატულმა ესოდენ დიდმა თანადგომამ სახელმწიფო ბრალმდებელზე ვერანაირი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, მან ადვოკატ გოქსაძის არგუმენტები უსაფუძვლოდ მიიჩნია და განაცხადა:

„ავადმყოფობის შემთხვევაში, სასჯელთა აღსრულების დაწესებულებებში სათანადო მკურნალობის ჩასატარებლად დღეს ყველა პირობა არსებობს. ავადმყოფობა არ არის საკმარისი საფუძველი პატიმრისთვის აღმკვეთი ღონისძიების შესაცვლელად“.

არჩილ ფანჯიკიძის ადვოკატმა **დავით კორკოტაშვილმა** მოსამართლეს ერთბაშად სამი მოთხოვნით მიმართა:

„აუდიოფირებთან ერთად, დიდი ეჭვის აღმძვრელია ფანჯიკიძის საცხოვრებელი ბინიდან ნაგანის მარკის 6 ვაზნიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და „ლიმონკის“ ამოღების ფაქტიც. იმ დროს ფანჯიკიძე მოტყუებით წაიყვანეს შსს-ში, სახლში კი ჩხრეკისას ოჯახის წევრები და მეზობლები – გეგეჭკორები იმყოფებოდნენ. ჩხრეკის ოქმს ხელს აწერს გამომძიებელი – კურტანიძე. თუმცა, როგორც გეგეჭკორები და ფანჯიკიძის ოჯახის წევრები ამბობენ, იქ სხვა, უცნობი პირებიც იყვნენ. აღნიშნული „ნივთმტკიცებაც“ სწორედ მათ „უპოვიათ“.

საინტერესოა, რატომ არაფერია ნათქვამი ამ პირების შესახებ ოფიციალურ ოქმებში? აღნიშნული საკითხის გარკვევის მიზნით, ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ ფანჯიკიძის ოჯახის წევრების ოფიციალური დაკითხვა, მაგრამ ჩვენი მოთხოვნა გამოძიების ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა. არჩილ ფანჯიკიძის დანაშაულის შესახებ მოკვლეულ მასალებს მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს სისხლის სამართლის საქმე. იგი დღეს-დღეობით უკანონო პატიმრობაში იმყოფება, ამიტომაც მოვითხოვთ მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების გაუქმებას, მტკიცებულებების გაბათილებასა და საქმის წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებას“.

ადვოკატ ვახტანგ კაპანაძის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბრალდებული მამუკა გიორგაძეც უკანონოდ არის დაპატიმრებული. იგი აცხადებს, რომ გიორგაძის წინააღმდეგ საქმის მასალებში არანაირი მტკიცებულება არ არსებობს. სწორედ ამ მოტივით, კაპანაძემ სასამართლო კოლეგიას მამუკა გიორგაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოსთხოვა. თუმცა, ვერც ადვოკატთა არგუმენტებმა და ვერც ელენე თევდორაძის შუამდგომლობებმა საქმეს ვერ უშველა. პატიმართა უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ მოსამართლეს სამი შუამდგომლობით მიმართა და დავით წოწორიას, იოსებ ნადირაძისა და არჩილ ფანჯიკიძის საკუთარი თავდებით ციხიდან გათავისუფლება სთხოვა.

მოსამართლე გიორგი ქოიავამ არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, მოტივად მათი უსაფუძვლობა დაასახელა და პატიმრები ციხეში დატოვა. ბრალდებულთა საქმის მასალების განხილვა სასამართლოში მომავალ კვირას დაიწყება.

■

კანონიერი უფლებები და რეალური უუფლებობა

თემიდას თვალები ახვეული აქვს, რათა ტყუილ-მართლის „აწონისას", პირადი განწყობა გამოირიცხოს. საქართველოში ხმაურიანად ჩატარებული სასამართლო რეფორმაც ბევრს ამის იმედს აძლევდა. მის შედეგად უპირველესად, რიგითი მოქალაქის უფლებების დაცვის სისტემა უნდა ამუშავებულიყო, მაგრამ ოპტიმისტური პროგნოზები არ გამართლდა.

მედეა გოგსაძე

მიგრანტთა და უცხოელ მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის ცენტრის იურისტი, **ძეთი როგავიძე** მოგვითხრობს:

— საქართველოს მოქალაქის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის გარანტად გვევლინება ქვეყნის კონსტიტუცია, სადაც გარკვევით არის ნათქვამი: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს" (მუხლი 42). ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქის უფლების დაცვა კონსტიტუციურ პრინციპად გამოცხადდა. მაგრამ რეალურად, ეს განუხორციელებელი რჩება. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში ჯერეოვნად არ არის გათვალისწინებული, რომ დღევანდელი საქართველოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობა მოკლებულია იმის საშუალებას, რომ გაიღოს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ" კანონით დადგენილი საბაჟო გადასახადი, რომელიც შეადგენს: პირველ სასამართლო ინსტანციაში — სადავო ქონების 2,5%-ს, სააპელაციო საჩივარზე — 3%-ს, ხოლო საკასაციოზე — 4%-ს. კანონის თანახმად, ნებისმიერი საჩივარი შეიძლება განუხილავი დარჩეს, თუ მითითებულ ვადაში სუბიექტი ამ თანხას ვერ გადაიხდის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლეს, კანონზე დაყრდნობით, შეუძლია ბაჟის გადახდისაგან მოქალაქის გათავისუფლება, მაგრამ დღეს თითქმის ყველა გაჭირვებულია და ამ შეღავათის მოთხოვნის საფუძველი ბევრს აქვს. ასევე გაჭირვებული სასამართლო კი ბაჟებით სულდგმულობს და ნაკლებად არის დაინტერესებული ხსენებული შეღავათის გაწევით.

— თქვენ ალბათ კონკრეტული მაგალითის მოყვანა შეგიძლიათ? ასე უფრო თვალნათლივ გამოჩნდება უფლება-უუფლებობის სურათი...

— მართალი ბრძანდებით. შემიძლია ერთი ყოველმხრივ თვალსაჩინო მაგალითი მოგიყვანოთ: მოქალაქე თამარ აბულაძის საქმე, რომლის რწმუნებული (ადვოკატი) თავად გახლავართ. აბულაძე სოფელ ნაფარეულში ცხოვრობს, სადაც ავადმყოფ დედას უვლის. დიღმის მასივში მას აქვს თავის სახელზე პრივატიზებული ოროთახიანი ბინა, რომელიც დროებით, უსასყიდლო სარგებლობისთვის გადასცა თავისი ნახევარდის, მზია ლობჟანიძის შვილს და მის მეუღლეს. დროდადრო ჩამოდიოდა თბილისში და აკითხავდა თავის ბინას. 1998 წლის 17 დეკემბერს თამარ აბულაძეს მიუვიდა დეპეშა მეზობლებისაგან: მზია ლობჟანიძეს ბანკისგან სესხის აღების მიზნით, ბინა გირაოდ ჩაუდია, თითქოს თავად თამარ აბულაძისგან მიღებული მინდობილობის საფუძველზე. ხსენებული ბინა ბანკმა 14 ათას დოლარად შეაფასა და ლობჟანიძეს სესხად 5 ათასი დოლარი მისცა. როდესაც გადახდის ვადა ამოიწურა, ბანკმა განაცხადა თავისი უფლებების შესახებ, რაც სასამართლომ აბულაძის დაუსწრებლად დაუდასტურა. საკასაციო საჩივრის განსახილველად აბულაძემ ბინის ღირებულების 4% უნდა გადაიხადოს, რაც 560 დოლარს უდრის. მაგრამ უუფლებობა ამით არ მთავრდება...

— ეს ხომ უფრო, სისხლის სამართლის საქმეა...

— საქმეც ეს არის, მაგრამ რატომღაც, დიდხანს ვერ მოხერხდა ხელმოწერის ექსპერტიზის ჩატარება, რაც საქმის ასეთი სახით დაყენების საშუალებას მოგვცემდა. იუსტიციის სამინისტროს კვლევითი ლაბორატორიის დასკვნით, „სავარაუდოა(!), რომ ხელმოწერა აბულაძის არც იყოს". შინაგან საქმეთა სამინისტროს ლაბორატორიამ მასალები რატომღაც არასაკმარისად(!) ჩათვალა და პასუხისგან თავი საერთოდ შეიკავა, სამაგიეროდ, როდესაც საბოლოოდ, უშიშროების სამინისტროს ლაბორატორიას მივმართეთ, იქიდან ერთმნიშვნელოვანი პასუხი მოვიდა: ხელმოწერას აბულაძესთან არავითარი კავშირი არა აქვს და იგი ლობჟანიძეს ეკუთვნის. სხვათა შორის, ამ დოკუმენტს სასამართლოში არ გვაჩვენებდნენ და ჩემი ინიციატივით, ძლივს მივაგენი. ახლა, როდესაც საქმე ხელახალ განხილვაში უნდა დაბრუნებულიყო, მისი მასალები „რატომღაც" სადღაც გაქრა.

— ეს დეტექტიური ამბავი ნათლად გვიჩვენებს, რომ მოქალაქეს თავისი კანონიერი უფლებების დაცვაში ხელს უშლის — ერთი მხრივ, რეალობასთან კანონის არაადეკვატურობა, მეორე მხრივ, სამართალდამცავთა, რბილად რომ ვთქვათ, არაპროფესიული ქმედება...

— რა თქმა უნდა! ავიღოთ კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეებში, არავითარ

მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა — სასამართლო ამ მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სხდომაზე მის ყოველმხრივ და ობიექტურ განხილვას. ამრიგად, მოსამართლის გადაწყვეტილება ემყარება მოსაზრებებს, რომელსაც საფუძვლად ედება ხსენებული შინაგანი რწმენა.

— ე.ი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ მსოფლიოში საუკეთესო ექსპერტის მიერ, ასევე მსოფლიოში საუკეთესო ლაბორატორიაში ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებიც მოსამართლემ, თავისი შინაგანი რწმენით, შეიძლება მხედველობაში არ მიიღოს?

— ყოველ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამის სრულ უფლებას ანიჭებს და როგორც პროფესიული იურისტი, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს მუხლი აბსოლუტურად არაადეკვატურია, რამეთუ საზოგადოებაში კორუფციის არარსებობასა და მართლშეგნების მაღალ დონეს მოითხოვს. მოსამართლეები ადამიანები არიან და ამით მათ დიდი ცდუნების წინაშე ვაყენებთ. კანონი უნდა ასახავდეს სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების დონეს, ხოლო როცა საზოგადოებას „წინ უსწრებს“, ის დეკლარაციულ ხასიათს ღებულობს, რჩება მხოლოდ ქაღალდზე და რეალურ რეგულაციურ ფუნქციას ვერ ასრულებს.

— აბულაძის საქმეში „შინაგანმა რწმენამ“ როგორ იმუშავა?

— ამის პასუხად გთავაზობთ ამონარიდს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის, ლ. მსხილაძის გადაწყვეტილებიდან (სტილი დაცულია): „თ. აბულაძის დაუდევრობის გამო მ. ლობჟანიძის მიერ მისი პასპორტით სარგებლობა, თ. აბულაძის თბილისში იშვიათად ჩამოსვლა და მიკითხვა ბინაზე, ბინის საჯაროდ გაყიდვაზე პრესაში გაკეთებული განცხადებების შეუტყობინებლობა, სასამართლო აღმასრულებლების შეტყობინების უარყოფა, სადავო ბინიდან მისი ახლობლების იძულებით გამოყვანა, ბინის დალუქვა და მეზობლების და ახლობლების მიერ აბულაძისთვის არაფრის შეტყობინება, მხოლოდ სამოქალაქო წესით ბინის დაბრუნების მოთხოვნა და, ფაქტობრივად, როგორც თავად აღნიშნავს, სიყალბის და დანაშაულის განუცხადებლობა შესაბამისი ორგანოებისთვის, სასამართლოს უქმნის რწმენას, რომ თ. აბულაძე არ არის კეთილსინდისიერი მხარე და არ არის გულწრფელი სასამართლოს წინაშე...“ საინტერესოა, ვინ შეიძლება მიმითითოს, ჩემს ბინას რამდენჯერ მივაკითხო! თუ მინდა, სულ დავკეტავ და წლობით არ მივალ! ანდა, საიდან აიღეს „მეზობლებისგან შეუტყობინებლობა“ (სხვათა შორის, ვალდებულნი არც იყვნენ!), როდესაც სწორედ მათი წყალობით გახდა აბულაძისთვის ცნობილი, რომ მის ბინას ბანკი დაეპატრონა?! ექსპერტიზის საკითხს კი, საერთოდ არც დაეთმო ჯეროვანი ყურადღება. საბოლოოდ, ბანკი კეთილსინდისიერ მხარედ აღიარეს... ვნახოთ, შემდგომ როგორ განვითარდება მოვლენები... ■

ტესტი ერუდიციაზე

1. რა იყო გაიერონის უკანასკნელი სიტყვები?

ა) „ახლა მე მჭირდება დაძინება“;
ბ) „აფსუს, რა მსახიობი ვკვდები“;
გ) „ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა...“

2. ვინ იყო ეროვნებით კარლ მარქსი?



ა) გერმანელი;
ბ) შვედი;
გ) ებრაელი.

3. ჩამოთვლილთაგან რას არ ჭამს ღორი?

ა) წაბლს;
ბ) სოკოს;
გ) ოხრახუშს.

4. რა აწერია ნაპოლეონის საფლავს?

ა) გმირი;
ბ) იმპერატორი;
გ) არც ერთი სიტყვა არ აწერია.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

მანოლი ლილუაშვილი

ნანა ფაჩუაშვილი: „პირველი სასიყვარულო ბარათი ბიჭს მე გავუგზავნე“

— ჩემი შვილიშვილის, ანის ტოლი ვიყავი (ანი 12 წლისაა — ავტ.), პირველი სიყვარული რომ მეწვია. წარმოიდგინეთ, ამისთვის მე უკვე, თითქოს მზად ვიყავი. მომწონდა, ფრიადოსანი, ლამაზი, კარგი ბიჭი — თამაზ სვანიძე. მისგანაც ვგრძნობდი რაღაც სიმპათიას, მაგრამ ამ ასაკში ქალს მეტი სითამამე აქვს, ვიდრე მამაკაცს. სხვისი არ ვიცი და ჩემს შემთხვევაში ასე იყო და მე გავუგზავნე პირველი სასიყვარულო ბარათი. რაღაც მინიშნებით მივწერე, რომ მიმხვდარიყო, ვინ იყო ბარათის ავტორი. ამის შემდეგ თითქოს „გაეხსნა ხელფეხი“ და ჩვენ, სკოლის პერიოდში დავდიოდით ერთად — ვიყავით შეყვარებულები. მერე ჩემი არჩევანი — თეატრალურზე რომ ვაბარებდი, არ მოეწონა და ბოლოს და ბოლოს, ერთმანეთს დავშორდით.

— რაიმე საგანში ხომ არ გეხმარებოდათ? ის ხომ ფრიადოსანი იყო.

— მხოლოდ მათემატიკაში, რადგან მათემატიკაში ძალიან სუსტი ვიყავი: მიჰქონდა ჩემი რვეული და დავალებას ორ ეგზემპლარად წერდა — ჩემთვის და თავისთვის. მასწავლებელი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა ამას, რადგან ჯერ ერთი, მე მათემატიკა არ ვიცოდი, მეორეც — თამაზის ხელს ცნობდა, მაგრამ გვიგებდა, გვპატიობდა — ალბათ პირველ სიყვარულს უწევდა ანგარიშს... მერე კალათბურთზე დავიწყე სიარული, რადგან თამაზი თამაშობდა. ერთად დავდიოდით ხოლმე „დინამოს“ სტადიონზე სავარჯიშოდ. კალათბურთელის მონაცემები არ აღმომაჩნდა...

— სხვა თაყვანისმცემლებიც გეყოლებოდათ...

— კი, სხვა სკოლებიდანაც მოდიოდნენ ჩემი თაყვანისმცემლები და სულ იმის მეშინოდა, რომ ჩხუბი არ მომხდარიყო, თანაც, ყოველთვის მიკვირდა — ჩვენს კლასში ჩემზე ლამაზი გოგონებიც იყვნენ, მაგრამ მე ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვიყავი. ალბათ ჩემში იდო რაღაც ისეთი — ეშმაკობა, ან კიდევ სხვა რამ — ამას „ევას კოდს“ ვუწოდებ...

— პირველი მეუღლე როგორ გაიცანით?

— მანამდე ტრისტანი (ყველაიძე — ავტ.) გავიცანი: თეატრალურში რომ ჩავბარე, ის იქ უკვე სწავლობდა, მეორე კურსზე იყო. მისვლის დღესვე დაიწყო ყველაფერი — როგორც ჩანს, კარგი თვალით შევხედეთ ერთმანეთს — ახალგაზრდები ვიყავით, თავისებურად ლამაზები... მესამე კურსზე ვსწავლობდი, როცა ზაფხულის არდადეგებზე ბორჯომში წავედით დასასვენებლად. ერთ დღეს, პარკში არაჩვეულებრივი ბიჭი შევამჩნიე, რომელიც საოცარი თვალებით მიყურებდა — ეს იყო თამაზ აფხაიძე. ძალიან მალე — სამ თვეში დავქორწინდით. ალბათ ბედმა შეგვახვედრა ერთმანეთს — მე ვიყავი მისი ბედისწერა და ჩემ გამო დაიღუპა, თუმცა, ღმერთია მოწამე, მე ყველაფერი გავაკეთე მის გადასარჩენად.

— როგორ დაიღუპა?

— ბაქოში ვიყავით გადაღებაზე. აიჩემა — უნდა ჩამოგაკითხოო. ბევრი ვეხვეწე, მაგრამ არ დაიშალა — მეგობრებთან ერთად წამოვიდა და ავარიაში მოყვა... მადლობა ღმერთს, თამაზისგან ბიჭი დამრჩა და მისივე სახელი დავარქვი... შემდეგ დავუბრუნდი ჩემი ცხოვრების თანამგზავრს — ტრისტანს და მანაც მიმიღო... მეტიც — ჩემი შვილი მან გაზარდა... ტრისტანთანაც შემეძინა შვილები, რომლებიც თამაზთან ერთად იზრდებოდნენ. ის პირველი სიყვარული უკვე სიზმარივით დარჩა. მაშინ 19 წლისა ვიყავი — იმ ასაკში, როცა სიყვარულს დაღვინება აკლია... მერე კი, ტრისტანთან — უკვე სხვა იყო — ასეთი სიყვარული ბევრ რამეს მოიცავს: ერთად ყოფნა, ერთი ჭირი, ჩვევა, ზრუნვა, ურთიერთგაფრთხილება... ხშირად ვფიქრობ — ოღონდ ტრისტანს ეცოცხლა და მე რამდენიმე წლის სიცოცხლეს დავთმობდი-მეთქი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ უკვე ასაკში ვიყავით და სულ რაღაც 3 წელია, ის ამქვეყნად აღარ არის, ძალიან მაკლია და გული მტკივა. ■

მწერალი ვაჟა გიგაშვილი ძალიან საინტერესო პიროვნებაა, თანაც არა მარტო თავისი დახვეწილი შემოქმედების გამო, არამედ იმითაც, რომ მისი წარსული სავსეა ნადირობის ლამაზი სურათებით, მთამსვლელებთან ერთად გატარებული დაუვიწყარი დღეებით, მწვერვალის დალაშქვრით განცდილი სიხარულით, რა თქმა უნდა, ბიჭისთვის ჩვეული ცუღლუტობა-სიცელქეთაც... ბატონი ვაჟა ახლაც ახალგაზრდა — 20-25 წლის ადამიანის შინაგანი სამყაროს მატარებელია, აი, ისეთი ბიჭისა, ყველგან რომ ძალიან უყვართ: მეგობრებში, ნათესავებში, უბანში... როგორ ხდება ეს, არ ვიცი, თვითონ ვაჟა გიგაშვილმა მითხრა:

„თბილი ლოგინიდან - ცივ ღამეში"

ლელა ჯიყაშვილი

— ალბათ იმის წყალობით, რომ დღემდე არ გამიჩნდა სიფრთხილის, რაღაცისთვის ჩაბღაუჭების, „დაკონსერვების" ინსტინქტი, ჩემი ასაკისათვის ცოტა ზერელედ ვიქცევი, რა! ეს ზოგიერთისთვის შეიძლება დასაცინია, მაგრამ ჯერჯერობით ეგრეა!

— საინტერესოა, ურჩი, მეამბოხე ქალაქელი ბიჭისგან მწერალი როგორ ჩამოყალიბდა?..

— ლიტერატურა ბავშვობიდან მიყვარდა. წერა მსიამოვნებდა, ჰობივით იყო ჩემთვის. პირველად „ცისკარი" რომ გამოვიდა, რევოლუციასავით აღიქვეს, იმდენად რთული იყო იმ წლებში ახალი ჟურნალის გამოცემა. თუმცა იქაც მხოლოდ იდეოლოგიური უნდა დაბეჭდილიყო ყველაფერი. ჩამაცივდა გურამ რჩეულიშვილი — მოთხრობები მივიტანოთო. წავიღეთ. გურამის მოთხრობების პერსონაჟები ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, კომუნისტები კი არა. ამის გამო ძალიან თამამ სიტყვად ჩათვალეს, მაგრამ მაინც დაბეჭდეს... ჩემი მოთხრობა არ მიიღეს, იმიტომ, რომ მთავარი გმირი „აცვენილი ბიჭი" იყო, რომელიც სადღაც დახეტებოდა, უწესოდ იქცეოდა. ეს 1957 წელს იყო. ამის შემდეგ რედაქციებში აღარც მივლია..

ჩვეულებრივ, ვმოგზაურობდი საქართველოს მთიანეთში, ჩრდილოეთში, შუა აზიაში. ვმუშაობდი არქიტექტურაში, მხატვრულ გაფორმებაში... 1970 თუ 71 წელს რეზო თაბუკაშვილმა ჩამოაყალიბა მწერალთა კინოგაერთიანება და იქ მიმიწვია. ეს იყო მწერლობასთან მიახლოებული ჩემი პირველი საქმე.

— მაგრამ ვიდრე იქამდე მიხვიდოდით, თქვენ თავად ჩამოყალიბდით. თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „თბილი ლოგინიდან ცივ ღამეში" მოგიწევდათ მრავალგზის გასვლა.

— სრულ განცხრომაში ბავშვი მხოლოდ დედის საშოშია. ასეთი დაცულობის შეგრძნება დაბადების შემდეგ აღარ არსებობს. ახალშობილს ხან სიცივე აწუხებს, ხან შიმშილი... გადის დრო... ბავშვს რომ ჰგონია, ყველასათვის მოსაფერებელია, უცებ სასტიკ სამყაროში აღმოჩნდება. უბრალოდ, ვიღაცა „ჭრეკავს", წაგართმევს იმას, რაც დედამ მოგცა, შენ კიდევ არ იცი, როგორ დაიცვა თავი და ასე იზრდები... სასტიკია, ხომ?

ბავშვები ვიყავით, ბოლომდე გაცნობიერებული არც გვქონდა, როგორ სახელმწიფოში, როგორ გარემოში ვცხოვრობდით, მაგრამ რაღაც წინააღმდეგობის ჭია გვყავდა გულში. ვგრძნობდით ზეწოლას: აქეთ უნდა წახვიდეთო, და ჩვენც ვეწინააღმდეგებოდით.

ჩემი პირველი დიდი პროტესტიც მახსოვს...

1956-ში ქუჩაში რომ გამოვიდა ხალხი, ჩემს თვალში ძალიან უსიმპათიოდ გამოიყურებოდნენ. გამოდიოდნენ: ზოგმა მოითხოვა — მოიხსნას წყლის და ელექტროენერგიის გადასახადიო, ზოგმა კიდევ რა... მსახიობები ჰყავდათ ჩამოყვანილი გორიდან, ლენინისა და სტალინის გრიმებით, იძახდნენ: ლენინ! აკოცე სტალინს! სტალინ, აკოცე ლენინსო!.. ასეთი გულუბრყვილო აღტყინება ბრბოსი ჩემთვის მისაღები არ იყო... ჩემი სახლიდან ჩანდა კავშირგაბმულობის სახლის სახურავი, მესამე სართულზე ვცხოვრობდი მარჯანიშვილზე. უცებ ატყდა ხმაური და სროლები. გაუთავებელი ჯერი იყო ავტომატისა. ამას მოჰყვა ღმუილი... აზროვნების უნარი დავკარგე. ერთი პატარა „ბრაუნინგი" მქონდა, სამი ტყვია მედო შიგ. რაღაც საცოდაობა იყო ეს იარაღი. დავტაცე ხელი, ჩავიტენე ქამარში. მამაჩემს უკვე ჩაეკეტა გასასვლელი კარი. არ შევკამათებივარ — აივნიდან საწვიმარ მილს ჩავყევი, ჩავსრიალდი ძირს: ერთი ინსტინქტი მამოძრავებდა: უნდა ვესროლო, რაც მოხდება — მოხდება... გარეთ იმათ გადავაწყდი, „უბნის შავებს" რომ ეძახიან. შემატყვეს სახეზე, რომ „ვერ ვიყავი", მტაცეს ხელი, გამჩხრიკეს და უცებ ამოიღეს ის „ბრაუნინგი". ხელი გადამხვიეს — წამო, ერთად წავიდეთ, ეს იარაღი რად გინდა, თავს დაიღუპავო... ეზოეზო ვიარეთ, გავედით ვორონცოვზე. ჩემი თვალით დავინახე, „გრუზავიკებში" გვამებს როგორ ტვირთავდნენ. ეს დიდი „ცივ ღამეში გასვლა" იყო — მოუნელებელი ბოღმა დამიტოვა...

— ნადირობა როგორ გახდა თქვენი საყვარელი საქმე?

— პარადოქსია: ნადირობა იმიტომ დავიწყე, რომ ცხოველები მიყვარდა. მათთვის ხელის შეხების სურვილი მქონდა, მაგრამ ხელში რომ დაიჭირო, ის უკვე მკვდარია, ხომ? მერე მონადირეს უმუშავდება საზიზღარი თვისება — ატავისტური გრძნობა. ნადირობას ხიბლიც აქვს, აზარტიც. მაგალითად, კაკაბზე ნადირობა თავისებურია: რთული სასიარულოა, ბევრი დევნა უნდა, სწრაფი სროლა. მწყერზე ნადირობა სროლის სიზუსტეა მხოლოდ... მთაში ნადირზე ასვლა სულ სხვაა...

— არასოდეს შეგცოდებიათ მოკლული ნადირი?

— ერთხელ, მე და ჩემი მეგობარი, იოსებ ციგროშვილი ენადირობდით. დიდი დათვი დავჭერით, მაგრამ გაიქცა. სისხლის კვალს მივსდიეთ. ისეთ ადგილზე გაგვიყვანა, ცალ მხარეს ხევი იყო. მოპირდაპირე მხრიდან ღრიალით გამოქანდა ჩვენკენ. ჩვენამდე რომ მოსულიყო,

აუცილებლად ხევში გადაგვყრიდა — ახლოს იყო. 2 ტყვია მოვარტყით თავში... რომ ვატყავებდით, სულ თავში მიტრიალებდა: რატომ სდიე? რა დაგიშავა?..

— მაინც არის რალაც ისეთი ამ საქმეში, თავს რომ არ დაგანებებინებს?

— ყოფილა, აზარტს მონადირე კი არა, უბრალო ადამიანი გაუტყუებია. ერთხელ ტერსკოლში იღებდა მერაბ კოკოჩაშვილი ჩემი სცენარით ფილმს. ჯგუფში ოთარ ვეფხვაძე იყო. ერთხელ დილით წავედით სანადიროდ, ორი ჯიხვი მოვკალით, ოთარიც გვახლდა. ამან ისე იმოქმედა მასზე, აზარტით დაავადდა... სულ იმას ამბობდა, წავიდეთ სანადიროდო. დრო არ გვქონდა, საშუალება არ მოგვეცა. ერთ დღეს დაიკარგა ოთარი. აუღია „გეკოს" თოფი და წასულა სანადიროდ. ისეთ ადგილზე იყო კლდეში გაჩხერილი — ვერც წინ მიდიოდა, ვეღარც უკან. დროზე მივეშველეთ...

სხვათა შორის, მთასაც დიდი მიზიდულობა აქვს. ერთხელ, მახსოვს, მეზობელ ექსპედიციაში მზარეული დაიკარგა. ღამე გაპარულა საწყალი „კომუნიზმის პიკზე", ეტყობა, გზა აერია, იგრძნო განწირულობა. შოკოლადის ფილა დაუტოვებია ერთ ადგილზე, წერილთან ერთად: „მე ალბათ ვეღარ დავბრუნდები, გამოიყენეთ, ძმებო!" ის მზარეული გაყინული იპოვეს.

— ახლა თქვენს სამწერლო საქმიანობას დავუბრუნდეთ. ვიცი, რამდენიმე წლის წინ მწერალთა კავშირი დატოვეთ...

— მწერალთა კავშირში რომ შევედი, ლაშა თაბუკაშვილი იყო მდივანი და იმან დაიჟინა. მერე დაიწყო დაპირისპირებები, ლანძღვა-გინება. ჩვენ არ გვეხებოდა, მაგრამ თუ წევრი იყავი, პასუხისმგებლობაც უნდა გაგენაწილებინა. თუ არ გინდოდა ამ ყველაფრის მონაწილე ყოფილიყავი, გვერდით უნდა გამდგარიყავი. ჩვენი ჯგუფი (დღეს რომ ჟურნალ „XX საუკუნის" ირგვლივ არიან გაერთიანებულები. — ავტ.) წევრებმა წივწივაძეს ვუთხარით: გავდივართ კავშირიდან-თქო. ძალიან შეწუხდა, გვითხრა: იმედია, კარგი ურთიერთობა გვექნებაო. მას ეგონა, იმწუთასვე მოწინააღმდეგე მხარეზე გადავიდოდით და კრიჭაში ჩავუდგებოდით. ასეთი პროვინციული შეხედულებები აქვთ... ჩვენ კი, უბრალოდ, გამოვედით კავშირიდან — ეს იყო და ეს.

— ბოლოდროინდელ ამბებზე რას ფიქრობთ — ბაკურ სულაკაურს რომ ახალი გაერთიანების შექმნა უნდა?..

— აი, ეგეთი აჩემებები აქვთ, ამ ამბის გამოც რაღაცების ეშინია ამ ხალხს... მეც ვიყავი იქ, სადაც ამ საკითხზე მსჯელობდნენ. ბაკურს შესანიშნავი იდეა დაებადა: გადაწყვიტა, გააკეთოს ალმანახი და მწერლების რამდენიმე ცნობილი გაერთიანება წარმოადგინოს თავთავისი ავტორებით. მას უნდა ოთხი სხვადასხვანაირი დაჯგუფება წარმოაჩინოს ამ ალმანახში: „ოტარიდი", „XX საუკუნე", „არილი" და „აფრა". რა არის ამაში ცუდი? უცებ გაჩნდა შიშები: რაღაცას აპირებენ, რაღაცას გეგმავენო. არავინ არაფერს არ აპირებს — ყველა თავისთვის არის, ვა!

მწერალთა კავშირმა ხომ შექმნა „ოტარიდი", აირჩია ხალხი და აძლევენ თვეში 100 დოლარს — რა მოხდა მერე?!..

ჩვენ „XX საუკუნის" ირგვლივ ვართ გაერთიანებულები. ლაშა თაბუკაშვილია იდეის ავტორი და სახსრებსაც ის შოულობს გამოსაცემად. ამიტომაც არის — როდის და როგორ გამოვა ეს ჟურნალი, ვერავინ გეტყვით...

მწერალთა კავშირი, რომელიც „ცეკას" იდეებით ხელმძღვანელობდა, ახლა აღარ არის საჭირო. ვისაც როგორ უნდა, ისე უნდა იყოს. მთელი თაობებია უკვე მწერალთა კავშირის გარეთ: ზაალ სამადაშვილი, კოტე ჯანდიერი, აკა მორჩილაძე, შოთა იათაშვილი, რეზიკო თაბუკაშვილი, ლაშა ბუღაძე. ეს არის საუკეთესო ახალი თაობა — ქართული ლიტერატურის მომავალი...

— თუ იცით, მწერალთა კავშირის ყველაზე ახალგაზრდა წევრი რამდენი წლის არის?

— ვერ გეტყვით. ისეთი ახალგაზრდა, რომელიც რამით საინტერესოა, მე იქ არ მეგულება, მიხო მოსულიშვილის გარდა. ის კი, ალბათ 35 წლისაა... მაგრამ იქ არიან ოთარ ჭილაძეც, ჭაბუა ამირეჯიბიც, რეზო ჭეიშვილიც, ანა კალანდაძეც... და იქ არის უსახო მასაც, ვისი სახელები არც მე ვიცი, არც თქვენ გეცოდინებათ.

— მწერალთა კავშირმაც რა ქნას?! ხომ ვერ ჩაატარებენ „საატესტაციო გამოცდებს", ხომ ვერავის დაითხოვენ — თქვენ მწერალი არ ხართ და ნულარ მობრძანდებითო... მით უმეტეს, რომ ლიტერატურის აღქმა ინდივიდუალურია.

— მართალია. ისინიც გამოუვალ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ხომ უნდა აღიაროს სახელმწიფომაც და ყველამაც, რომ მწერალთა კავშირის მიღმაც არსებობს ქართული მწერლობა. გასულ ზაფხულს გია ჭანტურიასთან ჩამოსულები იყვნენ ინგლისელები და ამერიკელები, რომლებსაც რატომღაც ლიტერატურა აინტერესებდათ. გიამ შესთავაზა ჟურნალი „XX საუკუნე": აქ, ჩემი აზრით, ყველაზე საინტერესო თანამედროვე ნაწარმოებები იბეჭდებაო... მოითხოვეს ბწკარედები, რომლებიც გიამ თავისი ხარჯით გააკეთა. თარგმანი თვითონ აშშ-ში გააკეთეს და გამოსცეს ალმანახი ჩიკაგოში. ამას მოჰყვა იელის უნივერსიტეტის სალიტერატურო საბჭოს რეაქცია: ჩვენ აღმოვაჩინეთ ახალი ფენომენი — თანამედროვე ქართული ლიტერატურა, რომელიც უდიდესი შენაძენია მსოფლიო ლიტერატურისთვისო. გაუგზავნეს ოფიციალური წერილი ჯაფარიძეს — ჩვენს ელჩს ვაშინგტონში. არც ერთი ამ ავტორთაგანი მწერალთა კავშირის წევრი არ ყოფილა... ესენი კი, რატომღაც აძლევენ ფულს წივწივაძეს და ითვლება, რომ ქართულ ლიტერატურას ეხმარებიან...

დრომ ყველაზე უკეთ იცის სიცრუისა და სიმართლის გარჩევა. ისიც უცილობელია, რომ როგორი წყალნიც არ უნდა წავიდ-წამოვიდეს, ქვიშანი მაინც დარჩებიან. მთავარი კი, ერთი რამ არის. ვაჟა გიგაშვილმა საუბრისას თქვა: „ყოველი მიჩვეული, მორგებული, კომფორტულად გადაქცეული სიტუაციიდან გაქცევა — სიცოცხლის ინსტინქტია. რომ შეეგუები, ჩნდება ინსტინქტი, რომ მკვდარი ხარ..." სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი — „სიცოცხლით სიკვდილიანად" არ იქცეს კაცი და არ დაეზაროს „თბილი ლოგინიდან ცივ ღამეში" გასვლა.

■

Segirdebis ostatobiT
კმაყოფილი მაესტრო

ცნობილი საოპერო მომღერალი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი ნოდარ ანდღულაძე ათწლეულების მანძილზე აჯადოებდა მუსიკის მოყვარულთ საუცხოო ხმის ტემბრითა და უზადო არტისტიზმით. მის ტენორს არა მარტო ქართველი მსმენელი მოუხიბლავს, არამედ მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგისა და ევროპის მრავალი ქვეყნის დიდი გემოვნების მქონე აუდიტორიაც დაუპყრია.

მაგრამ ბატონ ნოდარს მუდამ გამორჩეულად უყვარდა საქართველოს ქალაქებისა და რაიონების სტუმრობა, განსაკუთრებით იზიდავდა გურია — მისი მამის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის დავით ანდღულაძის მშობლიური სოფელი ბახვი. ხელოვანის დახმარებითა და მზრუნველობით გაიხსნა სამუსიკო სკოლა, რომელიც მისი მამის სახელს ატარებს.

ეს ფოტოსურათიც, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებშია გადაღებული, ოზურგეთში ბატონი ნოდარ ანდღულაძის სტუმრობის ერთ-ერთ ეპიზოდს აღბეჭდავს. ეს მოგზაურობა იმით გახლდათ გამორჩეული, რომ პედაგოგს თან ახლდა მის მიერ აღზრდილი, ნიჭიერი მომღერლებისა და კონსერვატორიის სტუდენტების ჯგუფი, რომელმაც კონცერტები გამართა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში, სოფელ შემოქმედში, ცნობილი რუსი რეჟისორისა და თეატრის რეფორმატორის, ვლადიმირ ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახლ-მუზეუმსა და სოფელ ბახვში.

სურათზე სწორედ იმ მომენტს ხედავთ, როცა ბატონი ნოდარი თავისი აღზრდილების შესახებ ოზურგეთელ ჟურნალისტებს ესაუბრება. მაესტროს სახეზე ეტყობა, რომ სტუდენტებმა ასახელეს და სიამოვნება მოჰგვარეს მასაც და საოპერო ხელოვნების ადგილობრივ მოყვარულთაც. ბატონ ნოდარის ოდნავ ღიმილიანი, ჩაფიქრებული გამოხედვა, კადრს მიღმა დარჩენილი მისი ნამოწაფრებისკენ არის მიმართული. კადრს მიღმა დარჩა აგრეთვე, ჯადოსნური მუსიკის ჰანგებიც, რომელსაც არაერთგზის მოუტანია დიდ ხელოვნებასთან ზიარების სიხარული ნოდარ ანდღულაძის მრავალრიცხოვან მსმენელთათვის...

ნინო შევარდნაძე

ლევანად წოდებული ზანგი ლეონი, დიდი ხანია ჩვენს ქვეყანაში ცხოვრობს. კარგად საუბრობს ქართულად, რუსულად და, რა გასაკვირიც არ უნდა იყოს, მეგრულიც იცის! აქვს მშვენიერი იუმორის გრძნობა, რისი წყალობითაც, თბილისის კოლორიტობას უწინასწარმეტყველებენ. თუმცა, ამ წოდებით ჯერ მხოლოდ დეზერტირების ბაზარში სარგებლობს. ვინც დაინახავს, ყველა თავისკენ იხმობს. თუ უგუნებოდ არის ან ნაბახუსევია, ყურადღებას არავის აქცევს. სიამოვნებით უერთდება მხოლოდ მათ, ვინც დასალევად დაპატიჟებს. შავკანიანის ჰობი და დარდის გაფანტვის საშუალება სპირტიანი სასმელია.

ქართულად მოლაპარაკე ზანგები, ანუ საქართველოში უამრავი დოდო დაიბადება

თამაგ ხაბეიშვილი

ლეონს დიდი საფიქრალი ჰქონია...

რა გჭირს, უგუნებოდ რატომ ხარ-მეთქი? — ვკითხე.

გუშინ ისეთი ცუდი სპირტი დავლიე, რომ ვკვდებიო — გულახდილად მიპასუხა.

— ალარ დალიო და არ მოკვდები...

— აბა, რა უნდა აკეთო ამ საქართველოში?..

— როგორ მოხვდი ჩვენთან? — კითხვა შევუბრუნე, მაგრამ არ მიპასუხა. რომ გავუმეორე, აჯაჯღანდა:

— თავი დამანებე, რა!.. თუ გინდა — წამო, დამალევინე.

ორმა ჭიქა არაყმა გუნება გამოუკეთა, მაგრამ როცა შეიტყო, მისი ამბავი ჟურნალისთვის მაინტერესებდა — გაჯიუტდა: ხან ფული მომთხოვა ინტერვიუსთვის და ხან კარგი სუფრის გაშლა — ისე არაფერს გეტყვიო. ბოლოს, მაინც დავითანხმე.

ლევანი ვინმე ვაშაკიძეს ნიგერიიდან ზუგდიდის საფეხბურთო გუნდში სათამაშოდ ჩამოუყვანია. ყოველთვიურად სოლიდურ ხელფასსაც აძლევდნენ, მაგრამ ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა: ზანგს გულში მეგრელი გოგონას სიყვარული შეჰპარვია, მისი ხათრით მეგრულიც უსწავლია, მაგრამ ქალის გული მაინც ვერ მოუგია. ცნობილი ზანგური სიჯიუტით ლეონი თურმე გოგონას იქამდე არ მოეშვა, სანამ მეგრული მუშტის სიმწარე არ იგემა. ეს მაშინ მომხდარა, როცა მოტაცებას უპირებდა ცისფერთვალა ანგელოზს. გოგონა საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილიც ყოფილა...

მოკლედ, ლეონი სამეგრელოდან გამოაძევეს, მაგრამ სპორტულმა მონაცემებმა იხსნა და ფეხბურთის სათამაშოდ სამტრედიის „ლოკომოტივში“ მიიწვიეს. თუმცა, ვერც იქ გამოიჩინა თავი: სიყვარულით გულდათუთქულმა, სმას მიჰყო ხელი და მისი სპორტული კარიერაც ამ მიზეზით დამთავრდა.

მაგრამ არც სიყვარულზე ოცნება დასრულებულა და არც საქართველოში მოღვაწეობა — თბილისში გადმოვიდა. შეძლებულ ოჯახებში მოსამსახურედ მუშაობდა.

ერთხელ ციხეშიც კინაღამ ამოუყვია თავი — ჩაბნელებულ თბილისში გაჩერებაზე მდგარ ქალბატონთან მისულა და უკითხავს: ქალბატონო, 50 თეთრს ხომ არ დახურდავებდითო (უნდოდა ეთქვა — ხომ ვერ დამიხურდავებთ)? ქალს შეშინებია, კივილი მოურთავს და გაქცეულა. ლეონი დაუკავებიათ. ქალბატონი ამოსაცნობად მიუწვევიათ. აი, ეს არის, ეჭვიც არ მეპარებაო — მტკიცედ უთქვამს „დაზარალებულს“. კარგად ნაცემ-ნაჟეჟი ლეონი გამოუშვიათ; ბრალდება — ქალის გაუპატიურების მცდელობისა, არ დადასტურდა...

— ნიგერიაში რატომ ალარ ბრუნდები?

— ფული არ მაქვს, ძმაო, ფული! ძნელი საშოვნელია. ბაზარშიც ვმუშაობ, მაგრამ მაინც არაფერი გამომდის.

— საელჩოსთვის მიგემართა, იქნებ დაგხმარებოდნენ?

— ყურადღებას არავინ მაქცევს. რაც გინდა, აკეთეო, მითხრეს.

— რას აპირებ?

— ერთი საქმის იმედი მაქვს, თუ გამიმართლა. წავალ, ოღონდ ისეთ ქვეყანაში, სადაც სინათლეა და ფულიც იშოვება.

— საბუთები წესრიგში გაქვს?

— თავი დამანებე, რა, — იფეთქა უცებ.

ერთადერთი საბუთი, რაც აღმოაჩნდა, რომელიღაც ფეხბურთის გუნდთან გადაღებული ფოტოსურათია, სადაც მისი ფიზიონომიის ნახევარი მოჩანს — ფოტო გახეულია...

ლეონს არც თავის ნათესაობაზე ლაპარაკი უყვარს. ცოტა ხანში, გული რომ მოუბრუნდა, მკითხა — რით დაგაინტერესეო?

შავკანიანი რომ ქართულად ლაპარაკობ და მეგრულიც იცი,

იმით-მეთქი.

— კარგი, რა, თუ ძმა ხარ! მარტო მე მნახე ქართულად მოლაპარაკე? ზანგებს განახვებ — სვანურად ჭიკჭიკებენ. თუ არ გჯერა, უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელში წამომყევი.

მერე მთხოვა, თუ იქ არ გინდა, აგერ, საქალაქთაშორისო ტელეფონების სადგურში მაინც წავიდეთო. გზად ნაცნობთან შევიარეთ და საოცრების მოწმენი გავხდი: სადარბაზოში ორი ზანგი, შეხვედრისას ერთმანეთს ქართულად მიესალმა და ჩვენს მშობლიურ ენაზე განაგრძო მუსაიფი.

ლეონს დავპირდი — თუ მეტყვი, რა საქმის იმედი გაქვს, სხვას არაფერს გკითხავ-მეთქი. დამთანხმდა. ოღონდ, მოქმედი პირების ვინაობას ვერ დავასახელებ, რადგან საქმე უზარმაზარ ფულს ეხება და კიდევ — ვინმე მოწილე არ გამოჩნდესო, მითხრა (სხვათა შორის, ლეონის მონათხრობი რომ სიმართლეა, ეს მწერალმა ზურაბ თორიამაც დამიდასტურა).

XX საუკუნის დასაწყისში ერთ მდიდარ გლეხს, სახელად დოდოს, როცა შეუტყვია, ქვეყანა ირევაო, მიწის მცირე ნაკვეთისა და სახლის გარდა, ყველაფერი ღირებული გაუყიდია, ოქროდ ქცეული სიმდიდრე, ანდერძთან ერთად, შვეიცარიის ბანკში მიუბარებია და სამშობლოში დაბრუნებულა. დოდო ცხოვრებით უკმაყოფილო არ ყოფილა, მაგრამ განგებას ემდუროდა — ძეს არ მაძლევსო და სულ ჯაჯღანებდა. კომუნისტებს გლეხი „ბურჟუაზიული კლასის გადმონაშთად“ შეურაცხავთ და დაუხვრეტიათ.

დოდოს სამი ქალიშვილი დარჩენია. ქალიშვილები საცხოვრებლად ქალაქში გადასულან, გათხოვილან და საკუთარ ბუდეებში დატრიალებულან. მამისეული ეზოკარი არც გახსენებიათ.

საუკუნის ბოლოს, სოფლის გამგეობაში დოდოს სახელზე შვეიცარიიდან წერილი მოსულა. ბანკი იტყობინებოდა: ამა და ამ კაცის ანგარიშზე ინახება სოლიდური რაოდენობის ოქრო, რომლის გატანის უფლება აქვს მას, ვინც დოდოს მემკვიდრეობის დამადასტურებელ საბუთებს წარმოადგენსო. სოფელს მიუკითხ-მოუკითხავს და დაუდგენია, რომ დოდოს შთამომავალი თბილისში მრავლად ცხოვრობდა.

თურმე, ოქროს ამბავი რომ მიუვიდათ, ყურები ცქვიტეს. მემკვიდრეობის დადასტურების მიზნით, სოფელს მიბრუნებიან, მიტოვებული სახლ-კარის პატრონობას თურმე ყველა იჩემებდა. ამტყდარა ვაი-უშველებელი. დავის დროს ფრიად ორიგინალური იდეა დაჰბადებიათ — მამამ თუ ფული ბანკში შეიტანა, იქნებ სახლში ან ეზოშიც გადამალაო?! სახლი აგურ-აგურ დაუშლიათ, მიწა გადაუთხრიათ, მაგრამ ამაოდ გარჯილან. ბოლოს გადაუწყვეტიათ, ადვოკატისთვის ეკითხათ რჩევა. ვექილს უთქვამს — სანამ საქმეს შვეიცარიის ან სტრასბურგის სასამართლოში შეიტანდეთ, მანამ ანდერძის გაცნობაა საჭიროო. თითოეულ ოჯახს ფული შეუკრებია და ვექილი შვეიცარიაში გაუგზავნია, საიდანაც ის არასასურველი ცნობით დაბრუნებულა: თურმე დოდოს ანდერძში ეწერა — ვინაიდან ძე არ მყავს, თანხის გამოტანის უფლებას ვაძლევ ჩემს შთამომავალს (ვინც ამას დაადასტურებს), რომელსაც ერქმევა ჩემი სახელი — დოდო. სასურველია, ვაჟი იყოსო.

დოდო იმდენ მემკვიდრეს შორის არავის ერქვა!

ლეონი დოდოს ერთ-ერთი შთამომავლის ოჯახში მსახურად მუშაობდა. ეს ამბავი რომ შეუტყვია, პატრონს სამსახურიდან დაუთხოვია და დაჰპირებია: თუ კრინტს არ დაძრავ, შვილს გავაჩენ, დოდოს დავარქმევ, იმ ფულს გამოვიტან და სამშობლოში გაგამგზავრებო...

დარწმუნებული ვარ — სხვა მოწილე ოჯახებიც დოდოს გადაუდებელ გაჩენაზე „მუშაობენ“. უნდა ვივარაუდოთ, რომ უახლოეს შვიდ თვეში საქართველოს უამრავი დოდო შეეძინება. მაგრამ არავინ იცის, გამართლება თუ არა ლეონის მიამიტური მოლოდინი.

■

ბრძენყაცის დარიგებები

● თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ თქვენი დახმარება მეგობარს ნამდვილად წაადგება, ზედმეტი ყურადღებით თავს ნუ მოაბეზრებთ.

● ოფიციალურ შეხვედრებზე წასვლისას კლასიკური სტილის ღია ყავისფერ შარვალს თამამად შეუხამეთ კონტრასტული ფერის პერანგი.

● გამოცდილი იაპონელი მეცნიერები გვირჩევენ: სანამ ხარშვას დაიწყებდეთ, ბრინჯი მთელი ღამით წყალში ჩაალბეთ — ამით მისი სასარგებლო თვისებები გაიზრდება.

● საინტერესო დეტექტივი ნელა იკითხეთ, აჩქარების გამო შეიძლება საკვანძო მომენტები გამოგრჩეთ.

● დილით, ნაბახუსევს, თქვენი იერის შესაფასებლად, სარკეში მხოლოდ დაბანის შემდეგ ჩაიხედეთ და ყურადღებით დააკვირდით საკუთარ გამოსახულებას.

● გამაგრილებელი სასმელი სასურველია საწრუპავი მილით მიირთვათ — ამით კბილებსაც დაიცავთ და სიამოვნებასაც გაიხანგრძლივებთ.

● დიდ სიხარულს, ისევე, როგორც მწუხარებას, უცებ ნუ მიახლით ადამიანს — ჯერ შეამზადეთ სიახლისთვის.

● ტელევიზორით ფეხბურთის მატჩის ყურებისას, არ დაივიწყოთ, რომ სტადიონზე არა ხართ და ემოციური შეძახილებისგან თავი შეიკავეთ: მერე რა, რომ ოჯახში ხართ და მხოლოდ სიდედრი გისმენთ... ■

მას შემდეგ, რაც 1991 წლის 21 სექტემბერს, ექიმმა გია აბესაძემ რუსთაველზე თავი დაიწვა, მისმა ოჯახმა ბევრი განსაცდელი გადაიტანა უჩუმრად და ბევრი ტკივილი ჩაიხვია გულში. დრო ყველაფერს თავის სახელს არქმევს. თუმცა, 10 წელი საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ სასოწარკვეთილი ექიმის ქმედება ერთი სიტყვით შევაფასოთ. რა იყო ეს — თვითმკვლელობა თუ მსხვერპლად შეწირვა, თავგანწირვა თუ გაუმართლებელი სიკვდილი, შეგნებულად ჩადენილი გააზრებული ქმედება თუ ერთი გულუბრყვილო, ქართველი ბიჭის აფექტური მდგომარეობის შედეგი. იქნებ გმირობა, რომელიც ლადოს ლექსზე გაზრდილმა ქართველობამ გმირობად ვერ აღიარა?..

„დაე, ეს მსხვერპლი მე ვიყო, ღმერთმა ქნას – ბოლო“

ნანა ქიბიშაური

ვინ იყო გია აბესაძე, დარღვეული ფსიქიკის მქონე ექიმი თუ ნარკომანი, მართლა უკანონოდ შობილ ბავშვთა გამშვილებელი თუ საოჯახო, გაუხმაურებელი კონფლიქტით სიცოცხლემობეზრებული კაცი? იმ დაბალულ წლებში, მომხდარით გაოგნებული საზოგადოება, ამგვარი მოარული ხმების გარჩევით უფრო დაინტერესდა, ვიდრე იმ მიზეზის გაცნობიერებით, რამაც გია აბესაძეს ეკლესიისთვის მიულებელი ქმედებისკენ უბიძგა. დღეს ეკლესიისგან მოკვეთილია ის ქორეპისკოპოსიც, რომელმაც განაცხადა – ეს თვითმკვლელობა კი არა, ქვეყნისთვის თავის მსხვერპლად შეწირვა იყოო, და მისი სული თვითმკვლელთა საუფლოსთვის ვერ გაიმეტა, გიას ცოდვები საკუთარ თავზე იტვირთა და გარდაცვლილს წესი აუგო.

თვითდაწვის ფაქტს საზოგადოება დღემდე უშედეგო და გაუმართლებელ პროტესტის ფორმად მიიჩნევს. რუსუდან მშვენიერაძის განცხადებით, ერთი კვირის შემდეგ, არც გია და არც მისი ანდერძი აღარავის ახსოვდა. სულ მალე გაჩაღდა სამოქალაქო ომი და საქართველოში უარესი ცოდ-

ვის მორევი დატრიალდა. გია აბესაძე მხოლოდ ოჯახის დასატირებელ კაცად დარჩა. შვილო, შენს გმირობას შენი სიცოცხლე მერჩივნაო – მოსთქვამდა უბედური დედა. გია აბესაძის ქვრივი ჯერ ერთ სამსახურში შეამცირეს, შემდეგ მეორე სამსახურიდანაც დაითხოვეს და აბესაძეების ოჯახი იმ 14 ლარიანი პენსიის ამარა დარჩა, ბევრი სიარულისა და ვაი-უშველებელის შემდეგ რომ დაენიშნა 10 წლის ობოლ გოგონას – ერთადერთ ადამიანს, რომელსაც მამა სიკვდილის წინ პატიებას სთხოვდა.

ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. ტკივილი კი არ ნელდება. ქალბატონი რუსუდანი იმედს არ კარგავს, რომ მომავალი უკეთ შეაფასებს მისი მეულლის თავგანწირვას. ჯერჯერობით კი გიას მოახლოებულ დაბადების დღეს ისევ მოკრძალებით აღნიშნავენ. ერთადერთი, რისი მიღწევისთვისაც ისინი იბრძვიან, არის ნებართვის მიღება, რომ გიას ნეშტი ზესტაფონიდან გადმოასვენონ და თბილისის რომელიმე სასაფლაოზე დაკრძალონ (ზესტაფონში გია ძმებმა საფლავის დარბევის საშიშროების თავიდან აცილების მიზნით გადაასვენეს). ეს კი ადვილი საქმე არ აღმოჩნდა, რადგან, გიას ნეშტისთვის ადგილის შეცვლას, „რიგი ამხანაგები“ თურმე პოლიტიკას უკავშირებენ.

— ქალბატონო რუსუდან, დროის გასვლის შემდეგ ადამიანები თითქოს უფრო მეტს ვხედავთ და უფრო ნათლად ვაფასებთ მომხდარ მოვლენებს. იქნებ კიდევ ერთხელ გავიხსენოთ 10 წლის წინანდელი ფაქტი?

— სამწუხაროდ, თბილისს ძალიან ცოტა ხანს ეყო სალაპარაკოდ გიას ამბავი. მას კი ალბათ იმედი ჰქონდა,

თაობებისთვის სამაგალითო გახდებოდა მისი თავგანწირვა. გულუბრყვილოდ დაიჯერა, რომ კოცონზე აბრიალებული თავისი სიცოცხლით ქართველებს გულებს აუდუღებდა და ერთმანეთს შეარიგებდა. ამასვე წერდა წერილში, რომელიც ბარიკადებზე დაგდებული ვიპოვეთ: „თუ ქართველთა შერიგებასა და საქართველოს აღორძინებას მსხვერპლი სჭირდება, დაე ეს მსხვერპლი მე ვიყო. ღმერთმა ქნას – ბოლო. შვილო, მაპატიე. ვიცი, რომ გამიგებ“. 1991 წლის 21 სექტემბერს კი რა დამავიწყებს.

თბილისი... რუსთაველის გამზირი...

გამსახურდიას მთავრობა და მისი ოპოზიცია სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. დენთის სუნი დატრიალდა. მოსალოდნელი იყო ყველაზე სამარცხვინო, ძმათამკვლელი ომი. გიამ გაზეთი „თბილისი“ წაიკითხა. იქ იყო ფილიპე მახარაძის სტატია – „ფიქრები ბარიკადებთან“, სადაც საუბარი იყო რომის იმპერიის პერიოდზე. როგორც იცით, იქ გავრცელებული იყო საშინელი წესების მქონე გლადიატორების ბრძოლა. ეს წესები გაუგია ერთ მოხუცს, ჩასულა რომში და მისულა არენაზე, მოედანზე გამოსულა და ხალხის შეჩერება უცდია. ხალხს ის მოხუცი ჩაუქოლავს, მაგრამ ამ მოვლენას დიდი ზეგავლენა მოუხდენია საზოგადოებაზე და ამის შემდეგ აუკრძალავთ გლადიატორების ბრძოლები... წერილის ავტორი წერდა: სადა ხარ შენ, მოხუცო, რომ ამ ბარიკადებზე გამოჩნდე და ეს ორი ერთმანეთს დაპირისპირებული მხარე შეაჩეროო? იქ იყო კიდევ ასეთი ფრაზა: ცეცხლივით აენთოო. როგორც ჩანს, ეს დიდი ხნის ნაფიქრი იყო გიასთვის, რადგან სამსახურში უთქვამს: მე ვიცი, მაგათ რაც შეაჩერებთო. იმ დღეს ბარიკადები იყო რუსთაველზე აღმართული და როგორც ჩანს, ცეცხლი და ბარიკადები მის გონებაში გაერთიანდა.

იმ დღეს, მეგობრები გვყავდა ოჯახში. 5-6 კაცი ვისხედით, ვსაუბრობდით. გია ბევრს ხუმრობდა, საერთოდ ძალიან განათლებული, გაწონასწორებული და დიდი იუმორის პატრონი იყო. მეგობრებს გარეთ უნდოდათ გავლა, მაგრამ ძალიან არეული სიტუაცია იყო. მე ცუდს მიგრძნობდა გული. წინა საღამოს ცუდი სიზმარი ვნახე: თითქოს საძინებელში ჭერი იყო ახდილი და ქურდები იყვნენ ჩამოსულები. გიას ვეხვეწებოდი და არ მშველოდა. მერე უთოს მოვკიდე ხელი და ერთ-ერთ ქურდს სახე დავუწვი (გიაც ასევე იყო დამწვარი). მერე ვითომ ჩემს ლოგინში თევზი, რაღაც უზარმაზარი და საშინელი თევზი ხელით ჩავკალი, ირგვლივ ყველაფერი სისხლით მოისვარა... ეს კარგს არაფერს მოასწავებდა და გიას ვეხვეწებოდი – სახლიდან არ გახვიდეთ-მეთქი. ისევ ხუმრობდა – ხედავთ, ჩემს ცოლს როგორ ვუყვარვარო?! მაინც წავიდა. ბარიკადებთან დამდგარს თავზე გადაუსხამს ბენზინი და სანთებელით მოუკიდებია ცეცხლი. გზაში ბენზინი ვისაც სთხოვა, ის ბიჭი შემდეგ ბარიკადებზე ყოფილა და გია რომ უცვნია, დეპრესიაში ჩავარდნილა.

მე ღამის 1 საათამდე არაფერი გამიგია. ეს ამბავი პირველად საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებმა გადმოსცეს და ასე გახმაურდა. მე რომ დამირეკეს და მაცნობეს, გია დამწვრობის ცენტრშიაო, არ გამკვირვებია, რადგან მისგან მიჩვეული ვიყავი სხვის მაგივრად მორიგეობას. მართალი გითხრათ, გავბრაზდი კიდეც და ზრდილობის გულისთვის წავედი დამწვრობის ცენტრში. როცა მითხრეს, თავი დაიწვაო, როგორ დავიჯერებდი?! თბილისში ბევრი გია აბესაძეა-მეთქი, – ვუპასუხე. მისგან ასეთ რამეს ვერავინ წარმოიდგენდა, იმდენად მშვიდი და გაწონასწორებული ადამიანი იყო. სანამ არ ვნახეთ, არავინ ვიჯერებდით. გული მტკივა, როდესაც მეკითხებიან – იქნებ ფსიქიკურად „ვერ იყოო“. ის საკვებით ჯანმრთელი და წყნარი პიროვნება იყო. უბრალოდ, ეს საქციელი თავისი ქვეყნისა და ხალხის უზომო სიყვარულმა ჩაადენინა. იმ ხალხის სიყვარულმა, რომელსაც გია დღემდე საეჭვო ფსიქიკის ადამიანად მიაჩნია. სხვა მიზეზებს ეძებენ, საქართველოსთვის სიკვდილი იმდენად წარმოუდგენელი გახდა.

— როცა ნახეთ, ცოცხალი იყო?

— მე არ მინახავს – არ მინდოდა, დამწვარი მეხილა. როცა მივედით, შუაღამე იყო. დამწვრობიდან 4 საათი იყო უკვე გასული. ის კი წამლების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ნემსები გაუკეთეს, რადგან სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა. მასთან ბოლო წუთამდე, სანამ გრძნობაზე იყო, სამების ეკლესიის მოძღვარი მამა როსტომი (ლორთქიფანიძე) იმყოფებოდა. კაცს, რომელსაც 80% დამწვრობა ჰქონდა, ერთი „მტკივა“ არ დასცდენია თურმე. გვარი რომ ჰკითხეს, უთქვამს – ქართველი ვარ და ეს ჩემი ნებით, ჩემი ერის შესარიგებლად გავაკეთეო. შემდეგ მამა როსტომთან მარტოდ დარჩენილს უკითხავს: როგორ ფიქრობ, რა მოხდება? ეს ყველაფერი ღირდაო? ისიც უთქვამს, სიკვდილის არ მეშინია – უბრალოდ მეზიზღებაო.

— ამ მძიმე ყოფაში ჩავარდნილს, ნუთუ მართლა არავინ ამოგდგომიათ მხარში?

— მე სამსახურიდან გამათავისუფლეს. სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ მიგვიღია. მხოლოდ ცალკეული პიროვნებები გვეხმარებოდნენ. ჩვენი გასაჭირი უბრალო ხალხის მეტს, გულთან არავის მიუტანია. იმ პენსიასაც კი არ გვინიშნავდნენ, რომელიც სამოქალაქო ომში დაღუ-

გია და რუსუდანი ჯვრისწერის დღეს

პულთათვის იყო განკუთვნილი.

— იმ პერიოდის დაპირისპირებული მხარეებიც არ დაგიკავშირდნენ?

— დიახ, ორივე მხარის წარმომადგენლები იყვნენ. დახმარებაც შემომთავაზეს, მაგრამ აქაც თავიანთი უნიათობა გამოიჩინეს: დაიწყეს ბრძოლა გიას სახელის „დასაკუთრებისთვის“. რომელიმე მხარე რომ დამეჭირა, შეიძლება უკეთესი პირობები შემქმნოდა, მაგრამ მე მაშინაც და ახლაც პოლიტიკოსებისაგან შორს მიჭირავს თავი: არასოდეს გავაკეთებ ისეთ რამეს, მიცვალებულის ხსოვნას ჩირქი რომ მოვცხო. მით უმეტეს, თვითონ გია, მაშინდელი პოლიტიკის არც ერთ მიმართულებას არ იზიარებდა: ის საქართველოს მხარეზე იყო და საქართველოს ტკივილი სტკიოდა. სიტყვას არ მოუსმინეს მისას და სახელის მითვისება კი მოისურვეს... მე ვფიქრობ, მისი პიროვნების ჩრდილში მოქცევა და დავიწყება იმ პოლიტიკის შედეგია, რაც დღეს ტარდება. ზოგჯერ ისეთ რაღაცას მოვისმენ, მთელი ქვეყნის გასაგონად მინდა ვიყვირო: ის შესანიშნავი ადამიანი იყო, სუფთა და კეთილი, რომელსაც თქვენ ძალიან უყვარდით-მეთქი! მე მარტო მეუღლე კი არა, მეგობარი დავკარგე, სანამ ცოცხალი ვიქნები, ვერაფერი შემივსებს მის არყოფნას. 12 წელი ვიყავით ცოლ-ქმარი. ბედს არ ვემდური, იმიტომ, რომ ჩემი ქმარი უკვალოდ არ წასულა ამ ქვეყნიდან. ბევრის ცოცხალს, ჩემი მკვდარი ქმარი მირჩევნია...

— სიყვარულით შეუღლდით?

— ჩვენ შემთხვევით გავიცანით ერთმანეთი. სექტემბერში გავიცანი, სექტემბერში შევუღლდით და სექტემბერშივე დავკარგე. რუსთავში, ჩემი ახლობლის დაბადების დღეზე მწვავე დისკუსია გაიმართა. თემა „გიორგი სააკაძე“ იყო, საკითხი კი — იყო თუ არა ის მოღალატე. მე და გია ერთ პოზიციას ვიცავდით. ამის შემდეგ 15 დღეში გავიპარეთ და დავქორწინდით. მაშინ ძალიან ბევრი ოცნება გვქონდა, დღეს კი ერთადერთი სურვილიღა დამრჩა: მისი ნეშტი თბილისში გადმოვასვენო. ჩემთან ახლოს მინდა მყავდეს. ოღონდ ამას ისე გავაკეთებ, რომ იმ ადამიანებს, ვინც მე მომეხმარება, შემდეგში პრობლემები არ ჰქონდეთ.

— ეს რას ნიშნავს? რა პრობლემები შეიძლება შეექმნათ ან ვისგან?

— არ ვიცი. მე ამას ვგრძნობ და იმასაც, რომ გიას გარშემო საზიზღარი ხმების გავრცელება შეგნებულად ხდება. როდესაც ჩეხმა პატრიოტმა მოედანზე საჯაროდ თავი დაიწვა, ის ეროვნულ გმირად აღიარეს, ძეგლი დაუდგეს. მისი სახელი და საფლავი ყველას ახსოვს. თბილისში კი მხოლოდ ერთი პატარა ქუჩაა გიას სახელობის. მე იმას არ ვამბობ, რომ მისი ქმედება ვინმესთვის მისაბაძად იქცეს. აქ მხოლოდ პატრიოტიზმის ხარისხზე შეიძლება საუბარი. როდესაც პატიმრები თვითლიკვიდაციით იმუქრებოდნენ, ძლივს შევიკავე თავი, რომ არ მივსულიყავი და არ მეთქვა მათთვის, რომ ამ საზოგადოებაში ადამიანის სიკვდილ-სიცოცხლე მხოლოდ ზედაპირულად აღიქმება. ზნეობრივ რაკურსში ამას არავინ განიხილავს და ისინი მხოლოდ საკუთარ ოჯახებს დააკლდებიან — ოჯახებს, რომლებიც უნუგეშოდ დარჩებიან. მაგრამ ვერ მივედი, ჩემი სათქმელი ვერ ვუთხარი, რადგან ჩემი ყოველი ნაბიჯი შეიძლება სხვანაირად გაიგონ, სხვა კუდი გამოაბან...

— თვითმკვლელობა დიდ ცოდვად ითვლება. შეიძლება ამიტომაც არ კეთდება აქცენტი გიას შემთხვევაზე.

— საპატრიარქომ უარი თქვა წესის აგებაზე. რაც დრო გადის, უფრო მიძლიერდება სიბრალული და სიყვარული ჩემი გარდაცვლილი მეუღლის მიმართ. ნუგეშს ჩვენი მწერლების, მოქანდაკეებისა და სხვა ხელოვანი ადამიანების დამოკიდებულებასა და გამონათქვამებში ვხედავ: ლევან სანიკიძეს აქვს ასეთი ნაშრომი — „ქართველების 309 სირცხვილი. და ერთ-ერთი მათ შორის არის 1991 წლის 21 სექტემბერი. ამ საქციელით საქართველომ თავისივე ხელით დაიმარხა საკუთარი თავი“. ანდა შოთა ნიშნიანიძის — „ჩვენ ხომ არ ვიცით, რას ამბობდნენ მაშინ ქართველნი, როდესაც ცოტნემ თაფლი წაისვა“.

ცოტნე დადიანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ლექსში ასეთი სიტყვებია: „ცოტნე გმირია, დიდებული გმირი, ოღონდაც თუ ბიჭები ვართ, ნუ ვადიდებთ მარტოოდენ ცოტნეს, ვახსენოთ სახედაღრეჯილი ლომი მონღოლიც, გმირობისა და ვაჟკაცობის უბადლო მცოდნე“. მოსისხლე მონღოლმა მაშინვე დააფასა ცოტნეს გმირობა, ჩვენ კი, გია აბესაძის თანამემამულეებს ქართული ზნეობისათვის თავის გაწირვის ამ გასაოცარი მაგალითის ჯეროვნად შეფასებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა გვიძევს წინ. ჯერ-ჯერობით კი, საქართველოში არსებობს გია აბესაძის სახელობის ქუჩა, მისი მემორიალური დაფა, სადაც გიას უკანასკნელი სიტყვებია ამოკვეთილი და გია აბესაძის სახელობის მწვერვალი, რომელიც ქუთაისელებმა დალაშქრეს (გ. ნემსიწვერიძე, შ. ბერაძე, ჯ. სირბილაძე). ეს მწვერვალი მამისონის გადასახვევიდან მარცხნივ, 3829 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მწვერვალი დაილაშქრა და გია აბესაძის სახელი დაერქვა 1996 წლის 15 ივნისს.

■

ცოლ-შვილთან ერთად

ნინო ჩიჩუა, მისი მეუღლე იური ანოშინი (მარცხნივ), სირიელი ექიმი სტაჟიორი და ინსტიტუტის დირექტორი აბდურახმანოვი

ნინო ჩიჩუა ყაზახეთის ონკოლოგიისა და რადიოლოგიის ინსტიტუტის წამყვანი ქიმიოთერაპევტი, ერთადერთი დოქტორი ქალია. ზესტაფონში დაბადებული და გაზრდილი ქალბატონი ნინო, ალმა-ათაში განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივით არის გარემოსილი. ათეულობით სამეცნიერო შრომის ავტორს, კუჭის კიბოს მკურნალობის სფეროში მიღწეული შედეგებით ცნობილ ექიმს ბევრი, მათ შორის უცხოელი პაციენტი ემადლიერება.

ალმა-ათაში ყოფნისას, ინსტიტუტში, მის კაბინეტში შევხვდი ცნობილ ექიმს. ღიმილით შემომეგება ხალისითა და სიცოცხლით სავსე ქალბატონი ნინო.

„ორმა ჩიჩუამ ერთმანეთი ფუჭეულ-ფუშთ მილიციაში გავიცანით...“

ციალა მღებრიშვილი

— როგორ მოხვდით ალმა-ათაში?

— ალმა-ათაში ექიმობაზე ოცნებამ „მომახვედრა“. დედა ექიმი მყავდა და ბავშვობიდან შემიყვარდა ეს პროფესია. მაშინ ძალიან ჭირდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში „შეღწევა“. ჩვენი ახლობელი ალმა-ათაში ცხოვრობდა და მირჩია — შენ რუსული კარგად იცი, მოდი, ამ ქალაქში ჩააბარე და ექვს თვეში თბილისში გადაყვანას მოგიხერხებთო. იმ წელსვე გავხდი სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი, მერე გადაყვანა ვერ მოხერხდა და დღემდე შემოვრჩი ამ ქალაქში. თავიდან აქ ცხოვრება ძალიან გამიჭირდა, მაგრამ თანდათან... აქ გავატარე ჩემი ყმაწვილქალობა, გავხდი მეუღლე და დედა. ეს ქალაქი ჩემი ბევრი განსაცდელისა და სიხარულის მოწმეა და ახლა ძალიან მიყვარს.

— რა შედის თქვენს სამოღვაწეო სფეროში?

— ყაზახეთის ყველა ოლქში, სტაციონართან ერთად, არსებობს ონკოლოგიური დისპანსერი. 19 სტაციონარი და ამდენივე დისპანსერია. მათ სათავეში უდგას ჩვენი ინსტიტუტი, რომელიც პირველი კატეგორიის სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს. აქვეა საბჭო, რომელიც იღებს დისერტაციებს — როგორც ყაზახეთიდან, ისე შუა აზიის სხვა ქვეყნებიდან. სხვათა შორის, აქ დაიცვეს დისერტაციები ქართველმა ექიმებმაც: ღოღობერიძემ, ნათენაძემ, ბარამიძემ, რითაც ძალიან ვამაყობ.

— თქვენც ხშირად გიწევთ საზღვარგარეთ სიარული?

— ძალიან ბევრი მიწვევა მაქვს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ყველგან ვერ მივდივარ, ამ ბოლო წლებში ორჯერ ვიყავი საერთაშორისო სიმპოზიუმებზე: ვენაში, 1996 წელს და ფლორენციაში, 1998 წელს. ამჟამად მიწვეული ვარ გერმანიასა და ეგვიპტეში.

— ამბობენ, აქ მცხოვრებ ქართველებს თუ რამ წამოსტკივდებათ, თქვენთან გამორბიანო?

— მახარებს მათი ნახვა. რითიც შემიძლია, ვეხმარები. ზოგს ჩემს შვილსა და რძალს ვუგზავნი ხოლმე — დაავადების მიხედვით.

— ისინიც ექიმები არიან?

— ჩემი ვაჟი, ვახტანგი მშობლების კვალს გაჰყვა: მამამისი, იური ანოშინი ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეა, თვითონ ტრავმატოლოგია, მისი მეუღლე კი, კანისა და ვენსნეულებათა ექიმი. სამივენი ყაზახეთის უშიშროების კომიტეტის ჰოსპიტალში მუშაობენ.

— ბოლოს როდის იყავით საქართველოში? იქ ნანახიდან რამ გაგახარათ და რამ დაგაღონათ?

— საქართველოში ბოლოს 1992 წელს ვიყავი. გავიხარე ჩემს სამშობლოსთან და ახლობლებთან შეხვედრით, მაგრამ ძალიან გულდამძიმებული წამოვედი — აფხაზეთიდან გამოდევნილი ხალხის ნახვით, შემძრა ომით გაპარტახებული რუსთაველის გამზირის ხილვამაც...

— ვინ არის ალმა-ათაში თქვენი საუკეთესო მეგობარი?

— ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოვყო გია და გულსუნდა კოვზირიძეები: სამივენი თანაქალაქელები და ბავშვობის დროინდელი მეგობრები ვართ. ახლახან გადავიდნენ საქართველოში საცხოვრებლად. ძალიან ბედნიერად მაგონდება მათთან გატარებული დრო. როცა ერთად ვიყავით, თავი ზესტაფონში გვეგონა... ერთი მეგობარი და მოგვარე მყავს — მასთან კურიოზული შემთხვევა მაკავშირებს: ერთხელ, შუაღამისას მილიცია დაგვადგა და — ჩიჩუა რომელიაო. მე ვარ-მეთქი, გაბედულად ვუპასუხე. ძმა თუ გყავთო? კი-მეთქი. მაშინ სასწრაფოდ განყოფილებაში წამოგვყევით, რაღაც შეემთხვა და ადგილზე გაგარკვევთო. მე და ჩემი მეუღლე დაფეთებულები გავყევით მილიციაში, სადაც მითხრეს: თქვენმა ძმამ რესტორანში იჩხუბა და სანამ თვითონ არ გამოცხადდება, აქ გაყურყუტებთო... „მოჩხუბარი“ კი, ჩემი ძმა კი არა — ჩემი მოგვარე, რომან ჩიჩუა აღმოჩნდა. გაიგო თუ არა ჩემი დატყვევების ამბავი, იმწამსვე მოვარდა მილიციაში. ასე გავიცანით ერთმანეთი ჩიჩუებმა... ეს ამბავი დიდი ხნის წინ მოხდა, მას შემდეგ რომანი რეჟისორი გახდა, ბაბლუანთან ერთად „უძინართა მზის“ გადაღებაზეც მუშაობდა, შესანიშნავად უკრავს და მღერის და ყველა აქაური ქართული ოჯახის სასურველი სტუმარია.

— ფიქრობთ თუ არა საქართველოში დაბრუნებაზე?

— აქ ჩამოსვლის დღიდან ეს ჩემი ოცნებაა. საქართველოში ადრე ძალიან ხშირად დავდიოდი ჩემი ოჯახით. ერთხელ გადავწყვიტე კიდეც იქ სამუდამოდ დარჩენა. მაშინ ჩემი ვახო ძალიან პატარა იყო. სამსახურიც შევიგულე, მაგრამ ჩემი მეუღლის ტელეფონის ზარმა კვლავ აქეთ მოგვაბრუნა: ასპირანტურაში ჩამრიცხეს და როგორ მოვიქცეო? ჩვენ კვლავ ალმა-ათას დავუბრუნდით...

აქ ცხოვრობენ საქართველოში დაბადებული ოსები, რუსები, ბერძნები, სომხები, ებრაელები, აზერბაიჯანელები და ჩვენ ყველას ერთი ტკივილი გვაქვს, რასაც სამშობლოს მონატრება და იქ დაბრუნებაზე ოცნება ჰქვია. სამშობლოს გარეშე სრულყოფილი ბედნიერება არ არსებობს.

რომ წარმოვიდგინო, საქართველოს სამუდამოდ დავშორდი, გული გამისკდება. ჩემი სამარე მშობლების გვერდით უნდა იყოს...

დაგერიდან „კოდაკამდე“

ძალიან საწყენია! გამომგონებლებს რომ ცოტა ეჩქარათ, ისტორია ბევრი გამოჩენილი ადამიანის ფოტოსურათს შემოგვინახავდა. პირველი ფოტოგამოსახულება 1802 წელს ფაიფურის შემქმნელის შვილმა, ბრიტანელმა ფიზიკოსმა თომას ვეჯვუდმა მიიღო. მან ქლალდი ვერცხლის ნიტრატით დაამუშავა და მასზე პროეცირებული გამოსახულება აღიბეჭდა, მაგრამ ვეჯვუდმა მისი დაფიქსირება ვერ შეძლო. 1822 წელს საფრანგეთის პატარა ქალაქ შალონ-სიურ-საონის მკვიდრმა, ჯოზეფ ნისეფორ ნიეპსმა მიაღწია იმას, რომ გამოსახულება დაეფიქსირებინა — ამისათვის მან ეგრეთ წოდებული „იუდეური ბიტუმი“ გამოიყენა. ნიეპსის მიერ 1826 წელს ფანჯრიდან გადაღებული ეზოს ხედები პირველ ფოტოგრაფიულ გამოსახულებად ითვლება. 1826 წელს პარიზის ოპერის მხატვარმა ლუი ჟაკ მანდე დაგერმა ნიეპსს თანამშრომლობა შესთავაზა: ის თავად ატარებდა ექსპერიმენტებს ვერცხლის მარილებზე. იმავე წელს პარიზელმა მბეჭდავმა ლემეტრმა უფრო მკვეთრი გამოსახულების მისაღებად ნიეპსის „ჰელიოგრაფების“ გამჟღავნება, იოდიზებულ ორთქლში დაიწყო.

და მაინც, ფოტოგრაფიის დაბადების ნამდვილ თარიღად 1829 წელი ითვლება, როცა დაგერმა ვერცხლის იოდიდის შუქმგრძნობელობა აღმოაჩინა და მასზე გამოსახულების დაფიქსირება ვერცხლის ორთქლით გახდა შესაძლებელი. ნიეპსი, რომელიც ფოტოგრაფიის შექმნაზე 1793 წლიდან მუშაობდა, თავისი იდეის საბოლოო ხორცშესხმას ვერ მოესწრო — ის 1833 წელს გარდაიცვალა და შემდგომში მის მიღწევებს მარტოდ დარჩენილი დაგერი ავითარებდა. თუმცა, 1839 წლის აგვისტოში, როცა „დაგეროტიპის“ დაბადება საზეიმოდ ამცნეს ფართო საზოგადოებას, ინგლისელმა უილიამ ფოქს-ტოლბოტმა განაცხადა, რომ ის თავის, როგორც თვითონ უწოდებდა, „კალოტიპებს“ უფრო ადრე ამზადებდა და ვერცხლის ქლორიდს, ჩვეულებრივ მარილსა და იოდიდის პოტარიუმს იყენებდა. გარკვეული თვალსაზრისით, თანამედროვე ფოტოგრაფიის „წინაპრად“ სწორედ „კალოტიპი“ ითვლება, რადგან ტოლბოტის ტექნიკა ითვალისწინებდა „ნეგატივს“ (ეს ტერმინი 1840 წელს გაჩნდა), რომლისგანაც შეიძლებოდა პოზიტივების ასლების ნებისმიერი რაოდენობით დამზადება — მაშინ, როდესაც „დაგეროტიპი“ ყოველთვის უნიკალურია. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, გამჟღავნების ახლანდელი პროცესი იმ მეთოდის „შთამომავლია“, რომელიც 1851 წელს ინგლისელმა არქიტექტორმა სკოტ არჩერმა შეიმუშავა.

ფოტოგრაფიამ სოციალური მნიშვნელობა ოთხიოდე წლის შემდეგ, ომის პირობებში შეიძინა: ყირიმის ომი ფოტოსურათებზე დოკუმენტურად ასახული პირველი ომი გახდა. 1855 წელს „ილუსტრეიტედ ლონდონ ნიუსმა“ ფოტოგრაფ როჯერ ფენტონის ფოტოებიდან გადაღებული გრავიურების ბეჭდვა დაიწყო. სულ მალე ამერიკაში დაწყებულმა სამოქალაქო ომმა ფოტოგრაფიის იდეოლოგიური მნიშვნელობა წარმოაჩინა: ორივე მხარე საკუთარი გმირების გამოსახულებებს ამრავლებდა, და მაინც, იმ დროის ადამიანებს ყველაზე საჭიროდ სხვა რამ ეჩვენებოდათ. პოეტი ჯეინ კარლაილი 1859 წელს წერდა: „დღეგრძელი იყოს ფოტოგრაფიის გამომგონებელი! ის ჩემთვის უფრო მაღლა დგას, ვიდრე თვით ქლოროფორმის შემქმნელი! ხელოვნების ამ დარგის მეშვეობით ღარიბსაც კი შეუძლია თავისი გარდაცვლილი ახლობლების გამოსახულებები იქონიოს“. იმავე წელს სხვა პოეტი — შარლ ბოდლერი, უფრო პესიმისტურად აღნიშნავდა: „ადამიანთა უმეცრების გამო, მალე ფოტოგრაფია სავსებით განდევნის ხელოვნებას!..“

მომდევნო ათწლეულების მანძილზე ფოტოგრაფია სრულყოფას განიცდიდა, სანამ 1881 წლის 11 ოქტომბერს ამერიკელმა გამომგონებელმა დევიდ ჰიუსტონმა „ფოტოგრაფიული აპარატი“ არ დააპატენტა. 80-იან წლებში „აპარატი“ სპეციალისტებისთვის განკუთვნილი ხელსაწყოდან მოყვარულთათვის ხელმისაწვდომ გართობის საშუალებად იქცა. პატარა, მსუბუქი „კოდაკის“ აპარატი სულ რაღაც 25 დოლარი ღირდა, მისი საშუალებით ასი სურათის გადაღება შეიძლებოდა, რის შემდეგაც ის ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში უნდა გაეგზავნათ: იქ „კოდაკის“ შემქმნელი ჯორჯ ისტმანი სურათებს ამჟღავნებდა და ბეჭდავდა, შემდეგ კი, ახალი ფირით აღჭურვილ აპარატთან ერთად, კვლავ კლიენტს უგზავნიდა. აღსანიშნავია, რომ „კოდაკიც“ სრულიად შემთხვევითი, „ჰაერიდან აღებული“ სიტყვაა. როგორც მისი ავტორი აღნიშნავდა, „ის მოკლე, სხარტი და გამომსახველია, თუმცა არაფერს აღნიშნავს“.

ფოტოაპარატის რეპორტიორული ფუნქცია მკვეთრად გაიზარდა XX საუკუნის 20-იან წლებში, როცა გერმანიაში მისი პირველი მსუბუქი მოდიფიკაცია დაამზადეს. 1930 წლიდან, როცა ფოტოსანათი („ფოტოელვა“) გამოიგონეს, ნებისმიერი სენსაცია უკვე ფოტოსანათების მრავალრიცხოვანი „აფეთქებების“ ასოციაციასთან იყო გაიგივებული. ნებისმიერი ჟურნალისტის დარად, პაპარაცის ნამოქმედარი კი არ აფიქსირებს სინამდვილეს, არამედ მის ფორმირებას უფრო ახდენს: ფოტოაპარატი ხომ ცხოვრებიდან წამიერ მომენტს ჰგლეჯს და მისი ინტერპრეტაციის მიზნით, მაყურებელმა ან სხვა ინფორმაცია, ან კიდევ საკუთარი გამოცდილება და წარმოსახვა უნდა დაიხმაროს. სწორედ ეს გვაძლევს საშუალებას „შევიცნოთ“ ის, თუ რა არის გამოსახული, ან შევიცნოთ ის, რომ სინამდვილე შეცნობას არ ექვემდებარება...

■



მითხარი, როგორ გძინავს

მითხარი, როგორ გძინავს
მითხარი, როგორ გძინავს

...და გეტყვი, როგორი ადამიანი ხარ. დიდი ხანია მეცნიერებს ძილის საიდუმლოს ამოხსნა სურთ და ამ თემას მრავალი გამოკვლევაც მიეძღვნა. ეს სავსებით მართებულია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი თავისი სიცოცხლის დაახლოებით მესამედს ძილში ატარებს. გამოთვლილია, რომ 72 წლის ადამიანს ძილში საშუალოდ 70000 საათი აქვს გატარებული. ძილის პრობლემებს იკვლევდა ამერიკელი ფსიქიატრი სემუელ დენკელი, რომელმაც მძინარე ადამიანის პოზასა და მის ხასიათს შორის დამოკიდებულება დაადგინა.

ადამიანები, რომლებსაც გვერდულად და ოდნავ მუხლებმოხრილებს უყვართ ძილი გაწონასწორებულნი და დამყოლნი არიან, იშვიათად აქვთ კონფლიქტი გარშემომყოფებთან, ხშირად მიდიან გონივრულ კომპრომისზე და განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ეგუებიან სხვადასხვა ყოფით სიტუაციებს, თუმცა მათ არ ახასიათებთ საკმაო სიმამაცე, ენერგიულობა და მიზანსწრაფულობა, არ არიან პატივმოყვარენი, არ უყვართ საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნა და არ ელტვიან ლიდერობას. უმეტესად, ჩრდილში ყოფნას ამჯობინებენ, განსაკუთრებით, თუ ეს იმ ადამიანის ჩრდილია, რომელიც მათ უყვართ და პატივს სცემენ.

ისინი, ვისაც ზურგზე, თავზემოთ შემოწყობილი ხელებით უყვართ წოლა, როგორც წესი, კომუნიკაბელური, გულითადი ადამიანები არიან, იცნობენ თავიანთ ნაკლოვან მხარეებს, თუმცა ამჯობინებენ, არ იფიქრონ ამაზე. ეს ნათელი გონების მქონე ხალხია, მეგობრულად არიან განწყობილნი გარშემომყოფთა მიმართ და სამყაროს საკმაოდ რეალურ ფერებში აღიქვამენ, თუმცა ეს ზოგჯერ იმით არის გამოწვეული, რომ ცხოვრების გართულება არ სურთ. ძილში ამგვარი მდგომარეობა ისეთ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც ბავშვობაში მშობლების საყვარელი შვილის სტატუსით იზრდებოდნენ.

მათ, ვისაც „მოკუნტული“ წოლა უყვართ, დენკელი პირობითად „კოკორს“ უწოდებს. ასეთ ადამიანებს არ სურთ „გახსნა“ და „ყვავილად გადაქცევა“. ფსიქიატრის აზრით, ეს ის ხალხია, რომელთაც ქვეცნობიერად ბავშვობასთან გამოთხოვება უჭირთ. ისინი ძლიერი ხასიათის მქონე ადამიანის მფარველობის ქვეშ ყოფნის მოთხოვნილებას განიცდიან და სიამოვნებთ, როცა მათზე ზრუნავენ. უჭირთ გადაწყვეტილების მიღება, არ არიან დარწმუნებულნი საკუთარ თავში. ხშირად ასეთი ადამიანები პასუხისმგებლობას გაურბიან, კარგი და ცუდი ზეგავლენის ქვეშ ერთნაირად იოლად ექცევიან. პრინციპში, ისინი მგრძნობიარენი და იმპულსურები არიან, თავიანთი ქმედების დროს უფრო მეტად წუთიერი განწყობილებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე გონიერებით.

ისინი, ვისაც მუცელზე გართხმულებს სძინავთ, ხელები მთელი საწოლის სიგანეზე აქვთ გაშლილი და ერთი ფეხი ოდნავ მოხრილი, როგორც წესი, საკუთარ თავში დარწმუნებული, პუნქტუალური, ლოგიკური მსჯელობის უნარის მქონენი არიან. უყვართ წესრიგი, არ უყვართ მოულოდნელობები, ახასიათებთ ანგარიშიანობა, წინდახედულობა. მათ ხშირად ადანაშაულებენ პედანტურობასა და წარმოსახვის უნარის არქონაში. მათ უყვართ თავიანთი აზრის სხვისთვის თავზე მოხვევა, ხელმძღვანელობა და უფროსობა.

ვისაც ადრე ადგომა უყვარს...

მელატონინი — ადამიანის ორგანიზმის მიერ გამოყოფილი ჰორმონია. ბევრი მედიკოსი თვლის, რომ ეს ნივთიერება ახლო მომავლის ყველაზე სენსაციური პრეპარატი გახდება. ცდებმა ცხადყო, რომ მელატონინი ამცირებს კიბოთი დაავადების რისკს, ამაღლებს გუნება-განწყობას, ანელებს დაბერების პროცესს...

ჩვენს ორგანიზმს აქვს უნარი, დამოუკიდებლად გამოიმუშაოს აღნიშნული ნივთიერება მზის სხივების ზეგავლენით. ასევე დადასტურებულია, რომ ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსივობით განთიადის სხივების ქვეშ, ადრეული დილის საათებში მიმდინარეობს. ასე რომ, ყველა ძველი გამოთქმა თუ ანდაზა, რომელიც იწყება სიტყვებით — „დილას ადრე ამდგარი...“, და უამრავ სიკეთეს ჰპირდება ადრე ამდგარ ადამიანს, მართებულად უნდა მივიჩნიოთ.

მიეჯიჯთეთ თუ აჯა

ხშირად გაიგონებთ აზრს, რომ სოკო მძიმე და სახიფათო საკვებია. სინამდვილეში, სოკო ტყის დელიკატესია, მას მცენარეულ ხორცს უწოდებენ და მართლაც, სოკოს თამამად შეუძლია როგორც ხორცის, ასევე თევზის შეცვლა. მინერალური ნივთიერებების შემცველობით სოკო ხილს უტოლდება, გარდა ამისა, სოკოში შედის ლეციტინი, რომელიც ორგანიზმში ქოლესტერინის დაგროვებას უშლის ხელს.

შორეული ოკეანიის კუნძულების აბორიგენები სოკოს ავსტრალიურ პურს უწოდებენ. როგორც გამოირკვა, ცილის შემცველობით სოკო ხორცსაც სჯაბნის (ცილა სოკოს ქუდში კონცენტრირდება, ამიტომ ქუდი უფრო ღირებულია, ვიდრე ფეხი). შეუდარებელი შერონ სთოუნი თაყვანისმცემლებს ურჩევს – შეიტანონ სოკო თავის რაციონში, ეს განსაკუთებით ვეგეტარიანელებს ეხებათ.

სოკო ბევრი გურმანის საყვარელი ნუგბარია, მაგრამ მასში საკმაო საფრთხეც იმალება. სოკო საშიშროებას სოლიდური რესტორნების სტუმრებს არ უქმნის, საფრთხე უფრო უბრალო მყიდველებს და სოკოს მაძიებლებს ემუქრება.

თუ დარწმუნებული არ ხარ – არ აიღო! ასე ეღერს სოკოს მოყვარულთა მთავარი დევიზი. თითქმის ყველა „კეთილშობილ“ სოკოს თავისი ბოროტი ტყუპისცალი ჰყავს. საჭმელად ვარგისი სოკო ხშირად ერევათ მის მსგავს შხამიან სოკოში, რადგან უმეტესად ეს სოკოები ერთმანეთის გვერდიგვერდ იზრდებიან. საშინლად შხამიანი ღია ფერის სოკო ქამა სოკოს ემსგავსება, – მას ფორმის შეცვლის საოცარი უნარი აქვს.

სპეციალისტებმა ბოლო გამოკვლევების საფუძველზე ზოგიერთი სოკო საკვები კატეგორიიდან შხამიან სოკოებში გადაიტანეს, რადგან ისინი მავნე ნივთიერებებს შეიცავს და ადვილად აგროვებს ტოქსინებს, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ კი უმძიმეს მოწამვლას იწვევს, თანაც ეს შეიძლება მოხდეს არა მაშინვე, არამედ გარკვეული პერიოდის შემდეგ.

საავტომობილო გზების გასწვრივ და ქალაქის ტერიტორიაზე სპეციალისტები სოკოს მოგროვებას არ გვირჩევენ, რადგან ისინი იქ არახელსაყრელ პირობებში იზრდება. ასევე არ არის სასურველი დიდი ზომის სოკოს მოწყვეტა – ბებერ სოკოში მავნე ნივთიერებები მეტია, ვიდრე სასარგებლო.

და მაინც, ჭეშმარიტ გურმანს წინ ვერაფერი დაუდგება. საჭმელად ვარგისი ორასამდე ჯიშის სოკო მოიპოვება, მათგან კი ინტენსიურად სულ ოციოდე სახეობის სოკო მოიხმარება. ყველაზე საინტერესო კი ის ფაქტია, რომ ზოგი სოკო რიგ ქვეყნებში უვარგისად ითვლება, რიგ ქვეყნებში კი მას საჭმელად ვარგისად მიიჩნევენ.

აღმოსავლეთში ყველაზე პოპულარულია სოკო შიიტაკე, ანუ შავი ტყის სოკო, რომლის მოშენებაც 2 ათასი წლის წინ დაიწყეს. ამჟამად გამხმარი შიიტაკე ექსპორტის სახით ევროპასა და ამერიკაში იგზავნება, იქ კი სულ უფრო იხვეჭს პოპულარობას. ამ სოკოს შეკვეთა განსაკუთრე-







ბით ჰოლივუდის რესტორნებში უყვართ — მელ გიბსონისა და უმა თურმანის მიბაძვით.

ევროპაში უძველესი დროიდან ერთ-ერთ ყველაზე დიდ დელიკატესად სოკო ტრიუფელი ითვლება — „სინორჩის ფუფუნება". ძველი რომაელები ხანდახან ამ სოკოს შესაძენად მთელ ქონებას თმობდნენ, რადგან სჯეროდათ, რომ იგი ადამიანს განვლილ ახალგაზრდობას უბრუნებდა. გურმანები განსაკუთრებით შავ ტრიუფელს აფასებენ მისი მწკლარტე არომატის გამო. ბუნებრივ პირობებში შავი ტრიუფელი მხოლოდ საფრანგეთსა და შვეიცარიაში გვხვდება.

მაგრამ უდავოა, რომ დღეისათვის ყველაზე პოპულარული მაინც ქამა სოკოა. ის ძალზედ ნაყოფიერია: ერთი ქამა 18 მილიარდ სპორას იძლევა, ამიტომ ის ყველგან გვხვდება — შპიცბერგენიდან პამირამდე. ამ სოკოს შესაშური სიცოცხლისუნარიანობა ახასიათებს: ქამას ასფალტის ნაპრალშიც შეუძლია გაიზარდოს. ბევრგან დღეს ცივი საუზმით გაწყობილი სუფრის წარმოდგენა სოკოს გარეშე შეუძლებელია.

ჩვენი წინაპრები სოკოს სამკურნალოდაც იყენებდნენ. ცდებისა და შეცდომების საფუძველზე ეჭიმბაშებმა დაადგინეს, რომ, მაგალითად, საჭმელში თეთრ სოკოს სისტემატური გამოყენება ზოგიერთი ნაწლავური დაავადების გავრცელებას უშლის ხელს. თეთრი სოკოს ექსტრაქტს აგრეთვე მოყინვის სამკურნალოდ იყენებდნენ. ბუნებაში ასევე არსებობს სოკოს სალბუნი. ერთ-ერთი სოკოს თეთრ გულს ანტიბაქტერიული მოქმედება აქვს და სისხლს აჩერებს. შხამა სოკოს კი ხანდახან ნერვული და ფსიქიკური დაავადებების, რევმატიზმისა და გაფანტული სკლეროზის სამკურნალოდ იყენებენ.

უდავოა, რომ სოკო ბუნების ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი ქმნილებაა. მისი მთავარი საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ არავინ, მათ შორის სოკოს შემსწავლელმა სპეციალისტებმა — მიკოლოგებმაც კი არ იციან, რა არის სოკო, მცენარე თუ ცხოველი? ერთი მხრივ, სოკო მცენარეა, მაგრამ ძალზედ უცნაური — არც სიმწვანე აქვს, არც ფოთლები, არც ყვავილი, არ გამოიმუშავებს ქლოროფილს. მეორე მხრივ, სოკოები, ისევე როგორც ცხოველები, იკვებებიან, იღებენ გარემოსგან ვიტამინებს და ზრდისთვის აუცილებელ ნივთიერებებს. სოკოებს გადაადგილების უნარიც შესწევთ, ასე რომ, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ! ■

აშშ-ის შტატი	კაკბის მსგავსი ფრინველი	~~კონტინენტი~~	იტალიელი ფეხბურთელი ანჯელო ...	ბ. კრავეიშვილის კინოროლი	არხის ჩამკეტი მოწყობილობა
ა ლ ა ს კ ა		ა ნ ტ ა ტ ი კ ა		ფ ა ი ი ნ ი	

გაცივებით შესქელებული ნახარში	დეკორატიული ყვავილოვანი მცენარე	გუფთა ანუ...	ვიოლინოს წინაპარი	სასიგნალო მოწყობილობა ~~კარზე~~	აბო თბილელის ეროვნება

ღვაწლით შემოსილი ზეციური მხედარი

წმინდა გიორგი – ეს სიტყვები ჭეშმარიტი მართლმადიდებლისათვის უფლისადმი რწმენასთან, იმედთან, ღმერთსა და ადამიანს შორის მდგომ შუამავალთან არის გაიგივებული. იგი საქართველოს მფარველად და დიდ ქრისტიან წმინდანად ითვლება. ქართული ლეგენდის თანახმად, მოწამის სხეული ხომ 360 (ან 363, 365) ნაწილად აკუწული მიმოუბნევიათ მთელ საქართველოში და სადაც წმინდა ნაწილი მოხვდა, ყველგან ეკლესია აუგიათ (აქედან მოდის გამოთქმა: „365 წმ. გიორგი შეგეწიოსო“).

წმ. გიორგი III, საუკუნის მეორე ნახევარში დაიბადა კაბადოკიაში, მდიდარ ქრისტიანულ ოჯახში. მამამისი გერონტიოსი მოწამებრივად აღესრულა ქრისტიანობისთვის. დედამ – პოლიტრონიამ თავის სამშობლოში – პალესტინაში განაგრძო შვილის აღზრდა. ახოვანი, მამაცი მეომარი რომის ლაშქარში ჩარიცხეს. მალე იმპერატორ დიოკლეტიანეს ყურადღება მიიპყრო, რომელმაც იგი თავის პირად მცველად დანიშნა და მხედართმთავრის მაღალი წოდებაც უბოძა.

წმ. გიორგი 30 წლის ასაკში ეწამა. მისი სახელი მრავალ სასწაულთან არის დაკავშირებული.

ერთი ქალაქის, ლასიას მახლობლად, ტბიდან საშინელი გველეშაპი გამოდიოდა, რომელიც ყოველდღე ჭამდა მოსახლეობას. ქურუმების გადაწყვეტილებით, თითოეულ ოჯახს რიგრიგობით უნდა შეეწირა თითო შვილი გველეშაპისათვის. ბოლოს ჯერი მეფის ერთადერთ ასულზეც მიდგა. ტბასთან მჯდომ ქალწულს წმ. გიორგი მოევლინა, თეთრ ცხენზე ამხედრებული და შუბით შეიარაღებული. როცა გველეშაპი ქალს უახლოვდებოდა, წმ. გიორგიმ გადაისახა პირჯვარი, შუბით ეკვეთა გველეშაპს და მოკლა. გველეშაპის ლეში ხალხმა ქალაქში წაიღო და დაწვა. მაშინ, 15 დღის განმავლობაში 45000 კაცმა ნათელიღო. ხალხი ფეხებს უკოცნიდა წმინდანს და ადიდებდა ღმერთს, მეფემ ღვთის სადიდებლად და მოწამის პატივსაცემად ტაძარი ააშენა. წმ. გიორგიმ ტაძარში შესვლისას, ეკლესიის საკურთხეველში იესო ქრისტეს სახელის ძალით მაკურნებელი წყალი მოუვლინა მორწმუნეთ.

ერთხელ, ეშმაკმა მოინდომა წმ. გიორგის გამოცდა, რადგან შეშურდა მისთვის მიცემული მადლი და განიზრახა წმინდანის შეცდენა. მაშინ წმ. გიორგიმ შესთხოვა უფალს, გაენადგურებინა არაწმინდა. იქვე მდგარ კლდეს ჯვარი გადასახა და თქვა: „ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სახელით განიღოს ეს კლდე“. ასეც მოხდა. წმ. გიორგიმ ხელი ჰკრა ეშმაკს და ცეცხლის ორმოში ჩააგდო. ქრისტიანთაგან ვინც ეს იხილა, მადლობა შესწირა ღმერთს და წმ. გიორგის.

ერთხელ, იმ ტაძარში, სადაც წამების ღვაწლით შემკული მოწამის წმინდა ნაწილები იყო დასვენებული, სარკინოზები შეიჭრნენ. ღრეობის შემდეგ ისრების სროლა დაუწყეს იქ დასვენებულ დიდებულ ხატებს. ერთმა ტყვემ ისინი გააფრთხილა და უჩვენა მოწამის ხატი, რომელზეც გამოსახული იყო მეომარი ჯაჭვის პერანგით, წელზე ოქროს ქამრით, ხელში კი საბრძოლო შუბით. ერთმა ურჯულომ ისარი სტყორცნა ხატს, რომელიც იმწამსვე უკუიქცა და მტყორცნელს გული გაუგმირა. დანარჩენები კი შეშინებულები გაიქცნენ და გზად ყველას მოუთხრეს სასწაულის შესახებ.

ზემოთ ნახსენებ ტაძარში, რომელიც დაბა ფატარშია აშენებული, არაბებმა ახალგაზრდა ჭაბუკი, ამ ტაძრის მნათე დაატყვევეს და თავიანთ ქვეყანაში მონად გაამწესეს. ტყვეობაში ყოფნისას, ჭაბუკს წმ. გიორგი გამოეცხადა, რომელმაც იგი აიყვანა, ცხენზე წინ შემოისვა, მოსხლიტა და გააჭენა ცხენი. ცოტა ხნის შემდეგ კი იგი იმ ტაძარში დააბრუნა, საიდანაც პირველად გაიტაცეს.

სასწაულები ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდა. ამან წმ. გიორგი „ტყვეთა განმათავისუფლებელ და გლახაკთა ხელის აღმპყრობელ, სნეულთა მკურნალ და მეფეთა უძლეველ წინამბრძოლ, ღვაწლით შემოსილ, დიდ მოწამედ“ აქცია. წმ. გიორგის სთხოვდნენ მფარველობას და ვედრებას ქრისტე ღმერთის მიმართ, თავიანთი სულების შეწყალებისათვის.

წმ. გიორგიმ ვერ აიტანა იმპერატორ დიოკლეტიანეს მიერ ქრისტიანთა დევნა, სენატში გამოცხადდა და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა. მას კარგად ესმოდა ის, თუ რა მოჰყვებოდა ამას, მაგრამ მისი სული უფალი იესოს მიერ იყო გასალკლდევებული: „ნუ შეგეშინდებათ მათი, რომელნიც მოსპობენ თქვენს ხორცს, ხოლო სულის მოკვლა მათ არ შეუძლიათ“. წმ. გიორგიმ

თავისი ნებით აირჩია გოლგოთა, რათა შემდეგ სამუდამოდ ეხარა ანგელოზებთან ერთად. მან მთელი თავის ქონება ღარიბებს გაუნაწილა, კერპთმსახურებს და იმპერატორს კი მოუწოდა ეცნოთ ჭეშმარიტი ღმერთი – იესო ქრისტე.

მაშინ განრისხდა მეფე და ბრძანა წმ. გიორგის ჩამოკიდება, ლახვრით დაკოდვა იქამდე, სანამ ნაწლავები მიწაზე არ დასცვივდებოდა. როცა ლახვარი ჩასცეს, ის იმწამსვე უკუიქცა, ხოლო მოწამის სხეული სისხლმა დაცვარა. ამან უფრო გაამხეცა მეფე და წმინდანისათვის ფეხებზე ხუნდების, მკერდზე – ქვის ლოდის დადება და საპყრობილეში ჩაგდება მოითხოვა. დილით, დიდმოწამე მბრუნავ ბორბალზე დააკრეს, რომლის ქვეშაც წვერბასრი რკინის მახვილიანი ძელები იდო. წმ. გიორგის ხორცი ნაკუწ-ნაკუწ დაიფლითა. მეფემ ბრძანა, დაეტოვებინათ იგი ბორბალზე და თვითონ სადილად წავიდა.

იქნებოდა დილის ათი საათი, როცა ზეციდან ხმა გაისმა: „მხნედ იყავ, გიორგი, და ნუ დაეჭვდები, ვინაიდან მრავალს ვარწმუნო შენ მიერ“. მცველებს ამ ხმის გაგონებისას შეეშინდათ და გაიქცნენ. მოვიდა უფლის ანგელოზი და გამოიყვანა გიორგი სატანჯველისაგან. ასე უთხრა: „გჯეროდეს შენი ძალის მომცემისა, ველით, სანამ არ მოგეცემა შენ მოწამეობის სრული გვირგვინი“. მაშინ ადგა გიორგი, მადლობა შესწირა თავის უფალს და მეფესთან გამოცხადდა, რომელმაც კვლავ არ ირწმუნა ქრისტე და ვერ შეელია თავის კერპებს, განსხვავებით მისი მეუღლე ალექსანდრასგან. მეფემ ახლა წმ. გიორგი ახალგამომწვარი კირის ორმოში ჩააგდო და მცველები დაუყენა. სამი დღის შემდეგ კი თქვა: ამოკრიბეთ იმ წარწყმედილი მკვდრის ძვლები და დამარხეთ მიწაში, რომ არავინ წაიღოსო. წავიდნენ და ნახეს წმ. გიორგი უვნებელი. მეფემ ახლა ბრძანა წმინდანისათვის რკინის სანდლები ჩაეცმიათ, რომელსაც შიგნიდან ჩამაგრებული ექნებოდა გახურებული ლურსმნები და ასე ერბენინებინათ. ასე ათრიეს იგი. მაგრამ კვლავ განმეორდა სასწაული: ანგელოზმა ახლა წმინდანის ფეხები განკურნა.

ამის შემდეგ მეფის მეგობარმა – მაგნეტიოსმა უთხრა წმ. გიორგის: თუ გვიჩვენებ სასწაულს, გააცოცხლებ ერთ მკვდართაგანს, რომელიც დამარხულია, მაშინ ვიწამებთ შენს ღმერთსო. მართლაც, შეისმინა უფალმა წმ. გიორგის ლოცვა და მკვდარი გააცოცხლა. როცა ხალხმა ეს ამბავი შეიტყო, ყველამ ირწმუნა ღმერთი, მეფემ კი გრძნეულობა დასწამა წმინდანს და საპყრობილეში ჩააგდო. ხალხი ქრთამს აძლევდა მცველებს, რათა წმინდანთან შეეყვანათ სნეულები. ერთმა კაცმა წმ. გიორგის თავისი ხარის გაცოცხლება სთხოვა და როცა შინ დაბრუნდა, ხარი ცოცხალი ნახა.

დიოკლეტიანე კარგად ამჩნევდა, რომ მისი კერპები უძლურნი იყვნენ, რასაც დაემატა მისი ცოლის გაქრისტიანებაც. ამიტომ კვლავ მოითხოვა წმ. გიორგის აკუწვა. ამ დროს ზეციდან მოესმა ხმა, რომელმაც აუწყა, რომ დასრულებული იყო მისი წამება. ბოლოს მეფემ გადაწყვიტა, წმ. გიორგისათვის თავი მოეჩვენებინა, თითქოს შეინანა, რათა თავის კერპებთან მიეყვანა. მაგრამ მოხდა სასწაული: კერპებმა შიგნიდან ხმა გამოსცეს და ჭეშმარიტ ღმერთად იესო ქრისტე აღიარეს, შემდეგ კი ნამსხვრევებად იქცნენ.

საბოლოოდ შეურაცხყოფილმა მეფემ წმ. გიორგის და თავისი მეუღლის – ალექსანდრასათვის თავის მოკვეთა ბრძანა.

ასე დასრულდა წმ. გიორგის წამება 303 წლის 23 აპრილს (ახალი სტილით – 6 მაისს), პარასკევ დღეს, დღის 7 სთ-ზე. მისი წამება კი აღწერა მონა ბასიქარტოსმა.

ეკლესია წმ. გიორგის ხსენებას დღესასწაულობს ორჯერ: 6 მაისს – წმინდანის აღსრულების დღეს და 23 ნოემბერს, რომელიც თვითონ წმინდა ნინომ დააწესა ურმის თვალზე წმ. გიორგის ტანჯვის მოსახსენებლად.

წმ. გიორგის სახელი – გეორგიოს, ბერძნულად მიწათმოქმედს ნიშნავს. ერთ-ერთი თქმულების თანახმად, წმ. გიორგი მიჩნეულია მეცხვარეთა ღმერთად. სვანეთში მისი სახელობის ერთი ეკლესია გარედან მორთულია ცხვრებისა და ცხოველების ბარელიეფებით. დღესასწაულს კი სვანეთში საფიცარია (ჯგირაგლო) ჰქვია.

აღმოსავლეთ საქართველოს მთაში დღემდე შემორჩა ღვთაებები, რომელთაც გარდა თავიანთი სახელებისა, გიორგისაც უწოდებენ (ლაშარი, ლომისი, ხახმატი და ა.შ.).

წმ. გიორგის კულტის გაძლიერება დაიწყო IX საუკუნიდან, როცა წმ. გიორგის წამების ბიზანტიური თხზულებები თარგმნეს. ამ დროიდან გიორგის სახელი მკვიდრდება ქართველ მეფეთა სახელებად. ქართულად თარგმნილია წმ. გიორგის ოთხი „წამება“, სამი „შესხმა“, შვიდი „საგალობელი“ და სასწაულების რამდენიმე ციკლი. გარდა ამისა, ქართველებმაც შექმნეს წმ. გიორგის შესახებ პოეტური და პროზაული თხზულებები, რაშიც კარგად გამოჩნდა სიყვარული თავიანთი მფარველის, ღვაწლით შემოსილი, ზეციური მხედრის მიმართ.

მოამგაზა ნინო შევარდნაძემ

ჯეიმს 007-ის

sayvareli qaldi

პირს ბროსნანს ხშირად უმართლებდა და ხშირად არ უმართლებდა. მის ცხოვრებაში იყო დამთხვევები, საბედისწერო შეხვედრები, ვარსკვლავური აღმაფრენა და დანაკარგით გამოწვეული დიდი ტკივილიც. ყველა დარტყმისა და წარმატების ღირსეულად მიღებაში მას ოჯახი ეხმარებოდა – მისი ცხოვრების ყველაზე დიდი ბედნიერება და სატკივარი.

პირს ბროსნანი ირლანდიურ პატარა ქალაქში დაიბადა. ჯერ სულ პატარა იყო, როცა მამამ ოჯახი მიატოვა. პირსმა მისი სახელიც კი არ იცოდა. პირველად მამა-შვილი ერთმანეთს მაშინ შეხვდა, როცა ბროსნანს 30 წელი შეუსრულდა და უკვე სახელმოხვეჭილი მსახიობი გახდა. მათ შორის საუბარი ვერ აეწყო, პირსს დიდხანს ედო გულში წყენა, მაგრამ შემდეგ მამას აპატია და თავის უმცროს შვილს უღირსი ბაბუის სახელიც კი დაარქვა.

პირსის დედამ – მეტისმეტად თავდაჯერებულმა და გაბედულმა ქალმა, შვილი მშობლებს დაუტოვა და ლონდონში, მედდის პროფესიის დასაუფლებლად გაემგზავრა. და შინ წელიწადში ერთი-ორჯერ თუ ჩადიოდა. ბებია და ბაბუა ადრე მოუკვდა, ბიჭი ბიძასთან და ბიცოლასთან გადავიდა, რომელთაც, სხვისი შვილებისთვის სულაც არ სცხელოდათ. მათ ბიჭუნა ქრისტეს ძმების სკოლაში მიაბარეს. პირსი, რომელიც ყოველთვის თბილად იგონებს ბავშვობასთან დაკავშირებულ ყველა ადამიანს, დღესაც უსიამოვნოდ კრთება თავისი რელიგიური მასწავლებლების გახსენებაზე. ურჩობისა და „უხამსი აზრებისათვის“ მას მათრახით სჯიდნენ. ამიტომ პირსს ყოველთვის უხდებოდა იმის დამალვა, რასაც ფიქრობდა და თავს ყოველთვის ისე აჩვენებდა, რომ გაკვეთილი იცოდა. მოკლედ, ის ბავშვობიდანვე „თამაშობდა“.

როცა ათი წელი შეუსრულდა, დედამისი გათხოვდა და პირსი თავისთან – ლონდონში გადაიყვანა. იმ დღეს ინგლისში იან ფლემინგი გარდაიცვალა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ დედამ და მამინაცვალმა პირსი პირველად წაიყვანეს კინოში. ის თვალს ვერ აშორებდა ეკრანს: მან ნახა მომხიბლავი ქალები (ერთი შიშველიც კი იყო), უშიშარი მამაკაცი, რომელიც ყოველთვის იმარჯვებდა, შორეული ქვეყნის ეგზოტიკა, თვალისმომჭრელი ფერები, არაჩვეულებრივი მუსიკა... ეს იყო ფილმი საიდუმლო აგენტ 007-ზე – ჯეიმს ბონდზე, რომლის როლსაც შეუდარებელი შონ კონერი ასრულებდა. მაშინ პირსი თვალუწვდენელ ოცნებაშიც ვერ წარმოიდგენდა, რომ ოდესმე ამ როლს თავად შეასრულებდა, მაგრამ კინომ უკვე დაიპყრო მისი გონება. მან მსახიობობა გადაწყვიტა.

ის ბრწყინვალედ ხატავდა და სკოლის დამთავრებისთანავე HARRODS-ის დიზაინერულ განყოფილებაში დაიწყო მუშაობა. ერთ-ერთმა მეგობარმა ავანგარდულ სათეატრო სტუდიაში მიიყვანა და პირსი მიხვდა, რომ ეს მისი საქმე იყო. შემდეგ ლონდონის დრამის სკოლაში გააგრძელა სწავლა. ფული არ ჰყოფნიდა, ამიტომ ღამღამობით



მუშაობდა რესტორნებში ჭურჭლის მრეცხავად, ოფიციანტად, დამლაგებლად, ფაბრიკაში — მუშად.

სცენა მისთვის ცხოვრება იყო, ყველაფერი დანარჩენი — ცუდი სიზმარი. პირსმა, თითქმის ყველა კლასიკური როლი შეასრულა — დაწყებული შექსპირიდან, დამთავრებული თენესი უილიამსით. პრემიერის შემდეგ უილიამსმა ახალგაზრდა მსახიობს დეპეშა გაუგზავნა: „ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ შენ არსებობ, ჩემო ბიჭო". ჩარჩოში ჩასმული ეს რელიკვია დღემდე საპატიო ადგილზე ჰკიდია პირს ბროსნანის სახლში.

აი, ტანმაღალ, მზით გარუჯულ ქერათმიან ქალბატონზე, ავსტრალიელ მსახიობ კასანდრა ჰარისზე კი, რომელიც მან 1970 წელს, ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნო, პირს ბროსნანს განსაკუთრებული შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მით უმეტეს, რომ იმხანად პირსმა რომელიღაც როლისათვის ათი კილოგრამი მოიმატა და თმა გადაიპარსა. თუმცა, იმ მომენტისთვის კასანდრას ყურადღების მიქცევას ალბათ ვერც ერთი მამაკაცი ვერ მოახერხებდა — ის ცოტა ხნის წინ ქმარს გაეყარა, წარსული ცხოვრებიდან კი კარგი, მხოლოდ ორი შვილი — ქალ-ვაჟი დარჩა.

პირსს სიჯიუტე ახასიათებდა. კასის სახლის კართან ყოველდღე ყვავილებსა და შამპანურს ტოვებდა, აჩრდილივით უკან დაჰყვებოდა. ქალს გული მოულბა. მალე ერთად დაიწყეს ცხოვრება. პირსმა თვალის დახამხამებაში შეიძინა დიდი ოჯახი, რომელიც ასე აკლდა ბავშვობაში, — ცოლი და ორი შვილი. მან შეძლო ბავშვებისთვის მამობის გაწევა, ჯერ „მამა პირსი" გახდა, მოგვიანებით — უბრალოდ „მამა". შემდეგ ბროსნანსა და კასის საერთო შვილიც შეეძინათ, რეპორტიორებმა დაწერეს, რომ ეს მესამეა. თუმცა ბროსნანმა არ იუარა, რადგან მართლაც თვლიდა, რომ სამივე, მისი ღვიძლი შვილი იყო.

ძეფირელის „ფილუმენას" შემდეგ პროდიუსერებმა ბროსნანი შენიშნეს და ტელესერიალში როლი შესთავაზეს. ტელევიზიაში მოღვაწეობდა კასიც. იგი სერიაში — „მხოლოდ შენი თვალებისთვის", ჯეიმს ბონდის მეგობარი ქალის როლზე მიიწვიეს. შინ აგენტ 007-ს ბროსნანი ცოლისთვის ასახიერებდა — ეს წყვილის საყვარელი ხუმრობა იყო. იმხანად ბონდის როლზე პირსი სერიოზულად არც დაფიქრებულა.

ორივეს გაუჩნდა სტაბილური შემოსავალი. ცოლ-ქმარმა სესხი აიღო და უიმბლდონის რაიონში პატარა მყუდრო სახლი შეიძინა. სახლი საფუძვლიან შეკეთებას საჭიროებდა. ისინი ყველაფერს საკუთარი ხელით აკეთებდნენ: ბუხარს აპირკეთებდნენ, შპალერს აკრავდნენ. ავეჯის ფული არ ჰქონდათ და პირდაპირ იატაკზე იძინებდნენ, და მაინც ბედნიერები იყვნენ — რადგან ერთმანეთი უყვარდათ. კასის საოცარი ნიჭი ჰქონდა (სამსახიობო ნიჭის გარდა): მას შეეძლო ცხოვრების ყოველი წუთი დღესასწაულად ექცია. კიდევ, მან იცოდა გასაოცარი მხარდაჭერა და თანადგომა. ის ძალიან ენერგიული ქალი გახლდათ. „ჰოლივუდში წავიდეთ", — უთხრა კასიმ ქმარს სერიალის პრემიერის შემდეგ.

ეს წმინდა წყლის ავანტიურა იყო. ბროსნანებმა გასამგზავრებელი ბილეთის ფულიც კი ისესხეს. პირსმა ბანკი დაარწმუნა, რომ ფილმის გადაღებებზე იწვევდნენ, სინამდვილეში ეს ტყუილი იყო — ამერიკაში მას არავინ ელოდა.

ბროსნანმა თავისი საუკეთესო კოსტიუმი ჩაიცვა, მანქანა იქირავა და სტუდიებში ხეტიალს შეუდგა. ოცდაათი გასაუბრება გაიარა — ყველა კრახით დამთავრდა. ტელესერიალ REMINGTON STEEL-ის პროდიუსერთან შეხვედრის შემდეგ, მანქანაც დაამტვრია და ეს გამაფრთხილებელ ნიშნად ჩათვალა — შინ დაბრუნება გადაწყვიტა.

ლონდონში ბარგის ამოლაგებაც ვერ მოასწრეს, რომ დეპეშა მოვიდა: „ჩამობრძანდით სინჯებზე". ბროსნანმა მაშინვე გაყიდა უიმბლდონის სახლი და მთელი ოჯახით ამერიკისაკენ გაემართა. ის ორჭოფობდა, ეშინოდა, მაგრამ კასი თავისას არ იშლიდა, ქმარს არწმუნებდა: სამსახიობო კარიერის შექმნა მხოლოდ ჰოლივუდში შეიძლება, ამის გულისთვის კი ღირს რისკზე წასვლაო. პირსი ისევ ახლიდან იწყებდა ცხოვრებას, ისევ უსახლკაროდ, მეგობრების გარეშე, უცხო ქვეყანაში. სამაგიეროდ, ახლა მას ჰყავდა ოჯახი, რომელიც მხარში ედგა.

სერიალმა, რომელიც წარმატებით გაღიოდა ოთხ-ნახევარი წელიწადი, ბროსნანს პოპულარობა და ფული მოუტანა. მან და კასიმ შეიძინეს სახლი ბევერლი-ჰილზზე და ვილა მალიბუში. ბევრს მოგზაურობდნენ. შეეძინათ ვაჟიშვილი — შონი. ბროსნანმა შეიყვარა სიგარა EL REY DEL MUNDO (კუბიდან კონტრაბანდით შემოტანილი ერთი კოლოფი 800 დოლარი ღირს), მარტინი და თავის ძველ გატაცებას — ფერწერას დაუბრუნდა.

ამ დროს მის ცხოვრებაში ისევ გაჩნდა აგენტი 007. პირსმა წარმატებით გაიარა სინჯები და ის იყო, ბონდის მორიგი სერიის გადაღებებში როჯერ მური უნდა შეეცვალა, რომ REMINGTON STEEL-ის გადამღებმა სტუდიამ პროტესტი გამოთქვა — ბროსნანთან დადებული კონტრაქტი, კიდევ რამდენიმე გამოშვებას ითვალისწინებდა. პირსმა ბონდის როლის დაკარგვა ძალიან გან-

კილი შეისმიგთან ერთად

ოჯახი მსახიობის უმთავრესი დასაყრდენია: პირს ბროსნანი ვაჟიშვილებთან

იცადა. როლზე დალტონი დაამტკიცეს. ამ ამბავს მეორე, გაცილებით მძიმე დანაკლისი მოჰყვა: ინდოეთში მოგზაურობის დროს კასანდრა შეუძლოდ გახდა, დაღლილობას უჩიოდა, თავბრუ ეხვეოდა და რაღაც უცნაურ ტკივილს გრძნობდა. ის სრულებით აღარ ჰგავდა ენერგიულ და ხალისიან კასის. ექიმმა დაუყოვნებლივ საავადმყოფოში დაწოლა ურჩია. დიაგნოზი თავზარდამცემი იყო: კიბო. პირველი ოპერაცია, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე... ქიმიოთერაპია... ოთხი წელი ისინი ერთად იბრძოდნენ კასის სიცოცხლისათვის. პირსმა მთელი ძალა მას შეალია. იგი გადაღებების განრიგს ცვლიდა, რომ ყოველთვის ცოლის გვერდით ყოფილიყო, რადგან ახლა ყოველი წამი შეიძლებოდა უკანასკნელი გამხდარიყო. თუკი კასი თავს უკეთ იგრძნობდა, ისინი ზღვაზე მიემგზავრებოდნენ. როცა მდგომარეობა უარესდებოდა, პირსს გადაღებებზე მიჰყავდა ბავშვები, რომ იქიდან ყველანი ერთად წასულიყვნენ საავადმყოფოში. პირსი ბიბლიით ხელში ცოლის საწოლის გვერდით იჯდა უკანასკნელ ღამესაც. კასიმ რაღაც ჩაიჩურჩულა. „ვერ გავიგე," — მის ტუჩებთან დაიხარა პირსი. „ბოლომდე მსახიობად დარჩი", — გაიმეორა კასანდრამ. ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იყო.

პირსი ძალიან ნელა მოდიოდა გონს.

ერთადერთი, რისთვისაც სიცოცხლე ღირდა, შვილები იყვნენ. იგი ახლა დედაც გახდა მათთვის და მამაც.

და აი, ბოლოს და ბოლოს, ჯეიმს ბონდის ჯერიც დადგა. ორმოცი წლის ქვრივი, მარტოხელა მამაკაცი, რომელსაც არაფრის ეშინია, რადგან მის ცხოვრებაში უკვე ყველაფერი იყო — დიდი სიყვარული, უზარმაზარი ბედნიერებაც და წარმოუდგენელი გამართლებაც. ბროსნანისეული ბონდის წარმატებამ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, მან ყველა წინამორბედი მსახიობი დაჩრდილა და პოპულარობით თვით კონერის გაუტოლდა. „ოქროს თვალი", „ხვალინდელი დღე არასოდეს მოკვდება", „ლიცენზია მკვლელობაზე" — ამ ფილმებმა უზარმაზარი შემოსავალი მოუტანა სტუდიებს, ხოლო პირსის ჰონორარები ყოველ ახალ სერიაში ორმაგდებოდა.

მას იწვევდნენ ყველაზე შემოსავლიან ფილმებში ჰოლივუდის ცნობილ ვარსკვლავებთან ერთად. ბროსნანმა ითამაშა „სასიყვარულო ამბებში", „მეოთხე პროტოკოლში", სურათში — „სარკეს ორი სახე აქვს", ზედიზედ ორჯერ ამერიკის ულამაზეს მამაკაცად აღიარეს, „ოქროს გლობუსის" ნომინაციაზეც წარადგინეს. ბოლოს, საკუთარი კინოკომპანიაც ჩამოაყალიბა და თავისი პროდიუსერობით, შექმნა ფილმები — „ძმისწული" და „ტომას კრაუნის თაღლითობა". ის PORSCHE 911-ით დადის, დედას სახლი უყიდა, ლონდონის ბინა შეალამაზა, თუმცა თავად კვლავ მალიბუს ვილას ანიჭებს უპირატესობას — იმ სახლს, სადაც ასე ბედნიერი იყო კასისთან ერთად. ცოლის სიკვდილის შემდეგ, იქ არაფერი შეუცვლია: ეს გახლავთ ნათელი, მყუდრო სახლი, რომლის სასტუმრო ოთახის ბუხართან ხშირად იკრიბება მთელი ოჯახი, საცურაო აუზში კი, პირსთან ერთად მხიარულად ჭყუმპალაობენ ბავშვები, სტუდიაში კი მსახიობი ხატვით გატაცების წყურვილს იკლავს.

— სიგარები და ნახატები — ეს განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა, — ამბობს პირს ბროსნანი. — ხშირად მეკითხებიან — ძნელია თუ არა ბონდის თამაში? მე ვიცვამ ელეგანტურ კოსტიუმს, ვიღებ პისტოლეტს და მორიგ სერიაში ვთამაშობ. შემდეგ ყველაფერს ვიშორებ და შინ მივდივარ. საიდუმლო აგენტობა ისეთივე იოლია, როგორც ერთი ნაჭერი ტორტის შეჭმა. ამქვეყნად უფრო რთული რაღაცებიც არსებობს — მაგალითად, მამობა.

ბროსნანს ერთხელ კიდევ გაუმართლა: რამდენიმე წლის წინ შეხვდა ჟურნალისტ კილი შეი სმიტს. პირსი ამ ქალმაც (კასის მაგვარად) პირველი ნახვისთანავე მოაჯადოვა. მას შემდეგ ისინი ერთად არიან, შვილიც კი გაუჩნდათ — დილან ტომასი. თუმცა, ჯერჯერობით დაქორწინებაზე არ ფიქრობენ — თითოეული მათგანი მეორის თავისუფლებას სცემს პატივს. „კილის არ სწამს ქორწინების, ან კიდევ რა საჭიროა ფორმალობა?! ჩვენ კარგად ვგრძნობთ ერთად თავს, მაგრამ ორივეს უკვე გვაქვს ჩვენ-ჩვენი საქმე, ჩვენ-ჩვენი სახლი და ჩვენ-ჩვენი ცხოვრება", — ამბობს პირსი. როგორც ჩანს, ბროსნანს ისევ ჭკვიანი ქალი შეხვდა, რომელმაც იცის, რომ არ უნდა იჩქაროს სახლში იმ ქალის ადგილის დაკავება, რომელიც სამუდამოდ წავიდა. მთავარია, საყვარელი მამაკაცის გულში გამოიძებნოს მისთვის ადგილი, დანარჩენი კი თავისთავად მოგვარდება.

მოამზადა
ნატო ჩხაიძემ

ამ ცოტა ხნის წინ საფრანგეთში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს სანავთობო კომპანიის — ELF AQUITAINE-ის ყოფილი დირექტორი საერთო საკითხებში ალფრედ სირვენი. „ELF-ის საქმედ“ წოდებული პოლიტიკური თრილერის მთავარი გმირები, ხნიერი პოლიტიკოსი, მისი საყვარელი და ყოვლისშემძლე ფინანსისტი კვლავ ერთად შეიყარნენ: ამჯერად საბრალდებო სკამზე.

დაპატიმრებული სირვენი მანილის აეროპორტში

როგორ იმართებიან

მთავრობის წევრები

პატივისცემა

ამბავი, რომელიც ფანტასტიკური მხილებებით სხვადასხვა ქვეყნის ათეულობით წამყვან პოლიტიკოსს ემუქრება, ჩვეულებრივი სატელეფონო ზარით დაიწყო. სახელმწიფო სანავთობო კომპანიის დირექტორმა საერთო საკითხებში, ალფრედ სირვენმა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს როლან დიუმას დაურეკა.

ეს მათი პირველი საუბარი როდი იყო. ELF AQUITAINE ნავთობისა და გაზის მოპოვებას საზღვარგარეთ აწარმოებდა და, ბუნებრივია, არაერთგზის დასჭირვებია საგარეო უწყების დახმარება. მეორე მხრივ, მთავრობასაც ხშირად მიუმართავს კომპანიისთვის. ELF-ის თავკაცებს საფრანგეთის მთავრობასა და სხვა სახელმწიფოების ხელმძღვანელებს შორის საშუამავლო მისიაც კი უკისრიათ. სწორედ ამ კომპანიის მეშვეობით ხორციელდებოდა უამრავი ისეთი საქმის დაფინანსება, რომელზეც პარიზს დაუფარავად არ შეეძლო თანხების გამოყოფა: უცხოეთში მიმდინარე საარჩევნო კამპანიები, მეამბოხე მოძრაობები... სწორედ ამგვარი ქმედებები შედიოდა იმ „საერთო საკითხებში“, რომელსაც ალფრედ სირვენი განაგებდა.

მაგრამ 1989 წლის მარტის იმ დღეს გამართული საუბრისას საქმე არა საფრანგეთის, არამედ ბატონი სირვენის პირად ინტერესებს შეეხებოდა. მაშინ ELF-ის მეთაური ახალი გადამდგარი იყო და მთავრობა მის შემცვლელზე ფიქრობდა. სირვენის შეხედულებით, ამ ადგილს საუცხოოდ მოერგებოდა ქიმიური გიგანტის – RHONE-POULENE-ის თავკაცი ლოიკ ლე ფლოშ-პრიჟანი, რომელიც ადვილად სამართავი იყო და მორჩილებითაც გამოირჩეოდა. და თუ სირვენი ამ საკითხში დიუმას მხარდაჭერას მიაღწევდა, საქმე „გაჩარხულად“ შეიძლებოდა ჩათვლილიყო: საგარეო საქმეთა მინისტრის გავლენა ოდენ საგარეო პოლიტიკით არ შემოიფარგლებოდა. ცნობილი იურისტი, როლან დიუმა თავის დროზე პიკასოს, შაგალისა და სარტრის ადვოკატი, საფრანგეთის პრეზიდენტის – ფრანსუა მიტერანის მეგობარი და თანამებრძოლი, სახელმწიფოში მეორე კაცად ითვლებოდა.

მოლაპარაკება სწრაფი შეთანხმებით დასრულდა: დიუმა არ ეწინააღმდეგებოდა ფლოშ-პრიჟანის დანიშვნას, თანაც სირვენმა მიანიშნა, რომ თავადაც შეიძლებოდა გამოსდგომოდა მინისტრს... ლოიკ ლე ფლოშ-პრიჟანის სანავთობო კომპანიის შეფად დანიშვნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ კი ELF-ის შტატში ახალი ერთეული და, შესაბამისად, ახალი ფიგურაც გაჩნდა: თანამშრომელი საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში კრისტინა დევიე-ჟონკური. მისი მოვალეობანი არ იყო ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრული, მაგრამ გასამრჯელოს თვალსაზრისით მას ყველაფერი საუცხოოდ ჰქონდა: 5 წლის მუშაობის მანძილზე კრისტინა დევიე-ჟონკურმა 64,5 მლნ ფრანკი (დაახლოებით 9 მლნ დოლარი) ისე მიიღო, რომ ELF-ის შტაბბინაში არც ერთხელ არ გამოცხადებულა. მთელი მისი „შრომითი მოღვაწეობა“ მდინარე სენის სანაპიროზე მდებარე მდიდრულ ბინაში მიმდინარეობდა, რომელიც მასა და მის საყვარელს – საგარეო საქმეთა მინისტრს როლან დიუმას კომპანია ELF-მა უსახსოვრა.

ვნება

ყოვლისშემძლე როლან დიუმას კრისტინა მშობლებმა გააცნეს. ეს მორიგი საპარლამენტო არჩევნების კამპანიის დროს მოხდა. როლან დიუმამ წამოაყენა თავისი კანდიდატურა ქალაქ პერიგორიდან, დევიე-ჟონკურის მშობლები კი მისი წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები იყვნენ და გამარჯვებაც მოუტანეს. იმ დროიდან მოყოლებული, როლანი და კრისტინა, ფაქ-

ექსდირექტორი...

... და მისი თანამონაწილე კრისტინა

ტობრივად, განუყრელნი იყვნენ.

როლან დიუმა საერთოდ ცნობილი იყო თავისი სასიყვარულო თავგადასავლებით, იმდენად, რომ არავინ, მათ შორის მისი ცოლიც კი აღარ აქცევდა ყურადღებას მის რომანებს. და მაინც, კრისტინასთან ურთიერთობა სრულიად გამორჩეული იყო. „ყველაფრით ჩანდა, რომ როლანი სრულიად გადარია ამ ქალბატონმა", — იგონებდა მოგვიანებით ექსმინისტრის ერთ-ერთი ნაცნობი.

ყოფილმა მანეკენმა და სამხატვრო გალერეის არცთუ ისე იღბლიანმა მეპატრონემ, კრისტინა დევიე-ჟონკურმა, ფაქტობრივად, ქალბატონი დიუმა შეცვალა: ის საზოგადოებაში გამოდიოდა მინისტრთან ერთად, ხოლო როცა დიუმა უცხოელი პოლიტიკოსების პატივსაცემად წვეულებებს აწყობდა, დიასახლისადაც კი ევლინებოდა სტუმრებს: ასე იყო, მაგალითად, საბჭოთა კავშირის იმდროინდელი პრეზიდენტის მიხაილ გორბაჩოვისა თუ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის ჰანს დიტრიხ გენშერის მიღების დროს.

გარიგება

სირვენი იმთავითვე მიხვდა, რამდენად სასარგებლო იქნებოდა მდამ დევიე-ჟონკურთან დაახლოება და მას პირველსავე შეხვედრაზე გარიგება შესთავაზა: ELF-ი უზარმაზარი ქვაბია, რომელშიც ყველას შეუძლია ის მოხარშოს, რაც მოესურვება, — იგონებდა შემდგომ კრისტინა, სირვენის ნათქვამს. — თუ მოინდომებ, შენს ხელში ოქროს კოვზი აღმოჩნდება".

თავად სირვენმა უკვე იცოდა, რა კერძს მოამზადებდა ELF-ის მეშვეობით. თავისი დანიშვნის სანაცვლოდ, გამოძიების მასალების თანახმად, ფლოშ-პრიჟანი სირვენს თითოეული სარფიანი გარიგებიდან სოლიდურ საკომისიოს ჰპირდებოდა. მთავარი ის იყო, რომ საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა, რომელსაც მაშინ დიუმა განაგებდა, ELF-ის ინტერესების თანხვედრი ყოფილიყო. სწორედ ამისთვის უნდა ედევნებინა თვალი კრისტინა დევიე-ჟონკურს.

გამოძიების თანახმად, საქმე უმალ აეწყო. კრისტინა სირვენის მითითებებს მინისტრს გადასცემდა, ის კი პრეზიდენტს „ახუჭუჭებდა". ყოველი გარიგების შემდეგ კრისტინა სოლიდურ გასამრჯელოს იღებდა, რომელსაც დიუმას უყოფდა.

ძნელი არ არის მის საყვარელზე და, შესაბამისად, საფრანგეთის პოლიტიკაზე კრისტინას გადაჭარბებული გავლენის შეფასება. მაგალითად, ერთხელ სირვენმა მას აუწყა, რომ ერთ ქვეყანაში კონტრაქტის გასაფორმებლად, თვით პრეზიდენტ მიტერანის ვიზიტი იყო საჭირო. საფრანგეთის სახელმწიფოს მეთაურის საზღვარგარეთული ვიზიტების განრიგში, რომელიც წინასწარ დგება, ის ქვეყანა შეტანილი არ იყო. მაგრამ კრისტინას ეს ნაკლებად ანაღვლებდა და იმანაც არ შეუშალა ხელი, რომ მინისტრი იმ დროს ნიუ-იორკში იმყოფებოდა მნიშვნელოვან მოლაპარაკებებზე. ქალბატონი პირველივე რეისით გაფრინდა ამერიკაში და მანამდე დასდევდა დიუმას, ვიდრე საწადელს არ მიაღწია. გარკვეული ხნის შემდეგ საფრანგეთის პრეზიდენტი იმ ქვეყანაში წავიდა, სადაც ELF-ის ინტერესები მოითხოვდა...

თანდათან სირვენმა ყოვლისშემძლე ადამიანის სახელი მოიხვეჭა. ახალი დავალებები, რომლებსაც ის კრისტინას აძლევდა, კომპანია ELF-ს გასცდა. როგორც საგამოძიებო მასალებშია ნათქვამი, 1991 წელს სირვენს მიმართა მისმა კოლეგამ კომპანია THOMSON-CSF-იდან, რომელიც ტაივანისთვის სამხედრო გემების მიყიდვას აპირებდა. საფრანგეთის მთავრობა და პირადად დიუმა, ამ გარიგების კატეგორიულად წინააღმდეგენი იყვნენ და კომპანია ძალზედ მომგებიან საქმეს კარგავდა. სირვენი დახმარებას დაჰპირდა კოლეგას და კრისტინას დაუკავშირდა. სულ რამდენიმე დღის შემდეგ, ქვეყანა გააოცა როლან დიუმას პოზიციის მკვეთრმა ცვლილებამ: მინისტრმა, რომელიც უპირობოდ ეწინააღმდეგებოდა გარიგებას, მხარი დაუჭირა მას მთავრობის სხდომაზე.

ბოლოს და ბოლოს, ELF AQUITAINE-მა უზარმაზარ წარმატებას მიაღწია აღმოსავლეთ ევროპაში. 1992 წელს კომპანიამ დაისაკუთრა ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმსხვილესი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და ამ გარიგებაშიც მონაწილეობდა დიუმა, რომელმაც სირვენს უკარნახა, დაესპონსორებინა გერმანიის კანცლერის ჰელმუტ კოლის საარჩევნო კამპანია. ამ ოპერაციისთვის პირადად სირვენმა 30 მლნ დოლარი მიიღო.

1993 წელს ალფრედ სირვენის ბედნიერი ცხოვრება დასრულდა. საპარლამენტო არჩევნებში სოციალისტური პარტია, რომლის წევრი იყო როლან დიუმა, სასტიკად დამარცხდა. ხელისუფლებაში მოვიდნენ მემარჯვენე ძალები, რომლებმაც სახელმწიფო კომპანიებისა და მათ შორის ELF AQUITAINE-ის დენაციონალიზაცია გადაწყვიტეს. ფლოშ-პრიჟანთან ერთად, ELF-იდან სირვენიც წავიდა. იმ ოთხი წლის მანძილზე, რომელიც ყველაზე ნაყოფიერი აღმოჩნდა, მან კომპანია 250 მლნ დოლარით გაძარცვა.

სამი წლის შემდეგ — 1996-ში კი სკანდალი სამზეოზე გამოვიდა. ფლოშ-პრიჟანს კორუფცია და საფინანსო დანაშაულობანი წაუყენეს ბრალად, ქალბატონი დევიე-ჟონკური ციხეში აღმოჩნდა, სირვენი კი ქვეყნიდან გაიქცა. და მხოლოდ როლან დიუმა, რომელიც იმ დროს საკონსტიტუციო საბჭოს ხელმძღვანელი იყო, კატეგორიულად უარყოფდა სირვენის მაქინაციებში მონაწილეობას.

სწორედ ამან მოუღო მას ბოლო. ექვსთვიანი პატიმრობის შემდეგ კრისტინამ

ექსმინისტრი როლან დიუმა

არა მარტო ჩვენების მიცემა დაიწყო, არამედ წიგნიც გამოუშვა – „რესპუბლიკის მეძავი“, რომელშიც დაწვრილებით აღწერა მისი, დიუმასა და სირვენის მონაწილეობით განხორციელებული თაღლითობა.

დევნა

და მაინც, ELF-თან დაკავშირებული პროცესის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა. საგამოძიებო მასალებში 3649-ჯერ იყო მოხსენიებული სირვენის სახელი, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი საიდუმლოდ რჩებოდა. თუმცა პოლიციამ იცოდა, რომ 1997 წელს სირვენის მსგავსი კაცი გაფრინდა მანილაში: მას მხოლოდ ცალმხრივი ბილეთი და რობერ ლაპიერის სახელზე გამოწერილი პასპორტი ჰქონდა. მისი გაქრობიდან ცოტა ხნის შემდეგ კი, მისი პარიზელი მოსამსახურის ოჯახმა, რომელიც ფილიპინებში ცხოვრობდა, ავტომობილების, სახლების, ფერმებისა და ქოქოსის უზარმაზარი პლანტაციების შეძენას მიჰყო ხელი. მდგომარეობა მხოლოდ მაშინ შეიცვალა, როცა ფრანგულმა პრესამ პირდაპირ დაადანაშაულა ფრანგული მართლმსაჯულება იმაში, რომ ის არავის დაჭერას არც ცდილობს.

მანილაში სირვენის დაპატიმრების ორდერი გაიგზავნა. მაგრამ მისი დაპატიმრება არც ისე ადვილი აღმოჩნდა: ფილიპინურმა პოლიციამ ათიოდეჯერ სცადა მისი დაჭერა, მაგრამ ის ყოველთვის უსხლტებოდა ხელიდან.

საინტერესოა, რომ მანილის პოლიციამ ეს მხოლოდ მაშინ მოახერხა, როცა თავისი პარიზელი კოლეგები არ ჩააყენა დაგეგმილი აქციის საქმის კურსში... მის კვალზე პოლიცია გაიყვანა ვინმე რობერტო არაზამ, რომელიც სირვენთან მძღოლად მსახურობდა.

სირვენის სახლს სპეცდანიშნულების რაზმელებმა ალყა შემოარტყეს, მაგრამ მათდა გასაკვირვად, იქ არანაირი დაცვა არ დახვდათ. როცა პოლიციელები სახლში შევიდნენ, სირვენი მობილური ტელეფონით საუბრობდა. მათ დანახვაზე სირვენმა ტელეფონიდან სიმბარათი ამოიღო, პირში ჩაიდო, დაღეჭა და გადაყლაპა.

ის ძალიან მშვიდად გამოიყურებოდა. თუმცა, მუქარისგან თავი არ შეუკავებია: „ჩემი სამუშაო პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული... შემიძლია ასობით პიროვნება დავასახელო, მაგრამ ეს ახლა არ მაინტერესებს“.

შემოწმება

როცა სირვენის დაპატიმრების შესახებ პარიზში შეიტყვეს, ELF-ის საქმის გამო, შვიდი ბრალდებულის პროცესი (ამ შვიდეულში, კრისტინა დევიეჟონკური, როლან დიუმა, ლოიკ ლე ფლოშ-პრიჟანი და თვით სირვენის გარდა, კომპანიის კიდევ სამი მაღალჩინოსანი შედიოდა) სასწრაფოდ შეწყვიტეს: ყველა ერთ-ერთ უმთავრეს დამნაშავეს ელოდებოდა.

მაგრამ პარიზში ის დაპატიმრებიდან მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ ჩაიყვანეს. ფილიპინელი პოლიციელები აღარ დაელოდნენ პარიზულ რეისს და ის ევროპაში გერმანული ლაინერით გაამგზავრეს, რომელიც რამდენიმე საათში ფრანკფურტის აეროპორტში დაეშვა. აქ კი სირვენს გაჩერება მოუხდა: გერმანიის ხელისუფლებამ ხელიდან არ გაუშვა შანსი, რაც შეიძლება მეტი შეეტყო ჰელმუტ კოლის პარტიის საარჩევნო კამპანიის დაფინანსების შესახებ.

საბჭოთა დელეგაციის მასპინძელი როლან დიუმა (მარცხნივ) კოლეგებთან – ედუარდ შევარდნაძესა და ჯეიმს ბეიკერთან ერთად

როგორც ჟურნალისტები ამბობენ, ეს დაყოვნება საკმარისი აღმოჩნდა ზოგიერთი ფრანგი პოლიტიკოსისთვის, რათა ზოგი დოკუმენტი მოესპო, ზოგი – „გაესუფთავებინა“ და საერთოდ, მოსალოდნელი დაკითხვისთვის მომზადებულიყო. მთავარი კი ის არის, რომ სირვენმა შემოწმება გაიარა: მან არაფერი უთხრა გერმანელ გამომძიებლებს, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც მათ ფრანგ კოლეგებს გადაუშლიდა გულს.

ამასობაში, პროცესზე მორიგი შესვენება გამოცხადდა: სირვენმა და მისმა ადვოკატებმა დრო მოითხოვეს საგამოძიებო მასალების გასაცნობად. თუ ბედმა გაუღიმა, 74 წლის ალფრედ სირვენი, შესაძლოა, ვერც მოესწროს სასამართლოს გადაწყვეტილებას. ეს კი საუკეთესო გამოსავალია მათთვის, ვისაც ოდესმე რაიმე საქმე ჰქონდა მასთან. ■

აკაკი გეგენავა

ვენიზელი ოლი ვეიკა ლუნაგოს შეკრებელ ოთხლოვე

PARIS

პარიზი

როგორც იქნა, ევროპაში სამწლიანი ხეტიალის შემდეგ სამშობლოში დავბრუნდი. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს მეორედ დავიბადე. ისეთი სითბო და სიყვარული ვიგრძენი ნათესავებისა და მეგობრებისგან, რომ ჩემზე ბედნიერი კაცი დედამიწის ზურგზე არ მეგულებოდა. მონატრების შემდეგ მშობლიური ქალაქი უფრო ლამაზი და მშვენიერი გეჩვენება...

მაგრამ გავიდა გარკვეული დრო და მეც იმავე პრობლემამ შემაწუხა, რამაც ათასობით გამწარებული ქართველი, რომელიც ამაოდ ეძებს სამსახურს. სად არ ვიყავი, ვინ არ შევაწუხე, უცხოურ კომპანიებსა და ორგანიზაციებში ათასგვარ რეკლამას ვუკეთებდი საკუთარ თავს — ვეუბნებოდი: ვიცი ინგლისური ენა, მესმის ესპანური, შემიძლია კომპიუტერზე მუშაობა, მიცხოვრია და მიმუშავია უცხოეთში... ყველაფერი უშედეგოდ: სამსახურს ვერა და ვერ ვშოულობდი.

იყო მომენტები, როცა დეპრესიაც კი მიპყრობდა,ძალიან არ მინდოდა,ჩემი ჰოლანდიელი მეგობრის წინასწარმეტყველება ახდენილიყო, ყველანაირად ვცდილობდი, არ შევპუებოდი სიძნელეებს და მიზნისთვის მიმეღწია... ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ ჩემი ახალგაზრდული ენერგია, ბოლოს და ბოლოს, ბაზრობაზე სავაჭრო საქმიანობაზე უნდა დამეხარჯა, ანდა კვლავ უცხოეთში გავმგზავრებულიყავი...

საერთოდ, არასოდეს ვუჩიოდი ბედს. ამჯერადაც გამიმართლა და ჩემი ძმაკაცის მამის, უსაყვარლესი ადამიანის მურმან შუბითიძის რეკომენდაციით, ბროკერად დავიწყე მუშაობა თბილისის ცენტრალურ უნივერმაღში. დავიწყე კომერციული საქმიანობა, რომელმაც უამრავი პრობლემისა და საზრუნავის გარდა, სასიამოვნო მოგონებებიც დამიტოვა. საქონლის გულისთვის ხშირად მიწევდა უცხოეთში წასვლა. მართალია, ყოველ ასეთ მოგზაურობას დიდი ენერგია მიჰქონდა, მოგებასთან ერთად, ხშირად წამიგია კიდეც, დიდ ვალშიც ჩავვარდნილვარ, მაგრამ მოგზაურობის სიყვარული და ჟინი, რომელიც ჩემში ყოველთვის იყო, ყველაფერ ამას ამართლებდა... ერთმა ასეთმა მივლინებამ წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე...

უნივერმაღ „თბილისის“ საპარფიუმერიო განყოფილების გამგე შემომიჩნდა: გინდა თუ არა, ფრანგული სუნამოები ჩამოიტანე — კარგად გასაღდება და თბილისელი მანდილოსნებიც შენი მადლიერნი დარჩებიანო. ერთ-ერთი კომერციული ბანკი დავითანხმე „სდელკაზე“ და პარიზში გავემგზავრე.

„ზეიმი, რომელიც მუდამ შენთან არის“ — ჰემინგუეის ეს სიტყვები ნამდვილად მიესადაგება პარიზს. ის ადამიანებიც კი, ვინც ამ ქალაქში არასოდეს ყოფილან, მასზე ამავეს ფიქრობენ, ხოლო ვისაც მასთან შეხვედრის ბედნიერება ჰქონია, მართლაც ზეიმში მიუღია მონაწილეობა.

პარიზის დაარსება იულიუს კეისრის სახელს უკავშირდება, რომელმაც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე 53 წელს ააშენა ციხესიმაგრე მდინარე სენის ერთ-ერთ კუნძულზე, სადაც დღეს პარიზის ღვთისმშობლის ტაძარია აღმართული.

შუა საუკუნეების პარიზი დიდად არაფრით გამოირჩეოდა. მისი მოსახლეობა 200 ათასს აღწევდა. მეფე ფრანც პირველიდან მოყოლებული, რომელმაც ლუვრის პავილიონები ააშენა, თითქმის საფრანგეთის რევოლუციამდე, ქალაქი ნელი ტემპით ვითარდებოდა.

სწრაფი ზრდა ქალაქმა ნაპოლეონ პირველის პერიოდში დაიწყო. მის სახელთან არის დაკავშირებული ქალაქის ბევრი ღირსშესანიშნაობა, მათ შორის „ტრიუმფალური თაღი“ და „ინვალიდთა სახლი“.

მაგრამ უფრო დიდი კვალი ნაპოლეონ მესამემ დატოვა და კიდევ, მისმა პრეფექტმა — ოსმანმა, რომელმაც გაიყვანა ფართო პარიზული ბულვარები, საფუძველი ჩაუყარა სამ ძირითად პარკსა და უამრავ ლამაზ სკვერს. გარდა იმისა, რომ პარიზი „ზეიმისა და ოცნების ქალაქია“, ის პარიზის კომუნის, ბარიკადული ბრძოლებისა და რევოლუციური მოძრაობის ქალაქიც არის.

რამდენიმე საუკუნე პარიზი არაოფიციალურად, „მსოფლიოს დედაქალაქის“ სახელსაც ატარებდა. XX საუკუნეში ამ წოდებას მას ნიუ-იორკი ეცილება. პარიზელებს დიდი სურვილი აქვთ შეინარჩუნონ ეს სახელი, მაგრამ, სამწუხაროდ, არ გამოსდით. სამაგიეროდ, პარიზი ყოველთვის იყო და არის მოდის, მუსიკისა და კულტურის უპირველესი ცენტრი მთელ მსოფლიოში...

ბიზნესმენები ყველგან ერთნაირები არიან...

მართალია, პარიზში პირველად ვიყავი, მაგრამ საკმაოდ თავისუფლად ვგრძნობდი თავს: რამდენიმე ქვეყანაში ყოფნამ და ბიზნესში ტრიალმა სპეციფიკური ჩვევების გამომუშავებაში შემიწყო ხელი. აეროპორტშივე ტაქსის მძღოლს მოველაპარაკე, საშუალო დონის, იაფფასიან სასტუმროში მივყვანე და დილიდან ყველაზე კარგი სუნამოების დილერი გაეცნო ჩემთვის. სასტუმროს ადმინისტრატორს კი ქალაქის ცნობარი გამოვართვი და მეორე დღეს, რომელი სადილერო კომპანიის სახელიც მომეწონა, სხვადასხვა დროისთვის შეხვედრაზე შევუთანხმდი.

აზიური ქვეყნებისგან განსხვავებით, ევროპაში პროდუქციის მწარმოებელთან დაკავშირება საკმაოდ ძნელია: ეს დროს მოითხოვს, რაც ხარჯთანაც არის დაკავშირებული, თანაც, ყველა მწარმოებელს თავისი დილერი ჰყავს, რომლის საშუალებითაც აწარმოებს მოლაპარაკებას კლიენტთან. ასეთი სისტემა მყიდველს საშუალებას აძლევს, საკმაოდ ოპერატიული გადაწყვეტილება მიიღოს და სასურველ ფასებში შეიძინოს პროდუქცია. მთავარია, არ მოგატყუონ და მოლაპარაკებისას რაიმე შეცდომა არ მოგივიდეს: მყიდველის გამოუცდელობა და მიამიტობა დილერს კარგი მოგების საფუძველს აძლევს.

ფრანგულ სუნამოზე მსოფლიოში დიდი მოთხოვნილებაა. მწარმოებლებს შორის სერიოზული კონკურენციაა, რაც, ცხადია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეალიზაციაზე. ეს სიტუაცია საკმაოდ კარგად ვიცოდი და აუჩქარებლად ვადარებდი დილერების მიერ შემოთავაზებულ ფასებს. დილერებიც განსხვავებულნი შემხვდნენ: უმეტესობა თავაზიანი იყო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, საკმაოდ უზრდელი ტიპიც შემხვდა.

დღის 11 საათი იყო, როდესაც სასტუმროს ნომერში ორი შავგვრემანი ფრანგი მეწვია. დილერებად გამაცნეს თავი და გასაყიდი სუნამოების კატალოგი შემომთავაზეს. თავიდანვე სახეზე შევატყვე, რომ არც ჩემი საცხოვრებელი ბინა და არც ჩემი ჩაცმულობა არ მოეწონათ (არასდროს მიზიდავდა „ოფიციალური“ ტანსაცმელი, იმ დღესაც ჯინსები მეცვა). იგივე საქონელი, რაც სხვებსაც ჰქონდათ, საკმაოდ ძვირად დამიფასეს. უკმაყოფილება შემეტყო.

— მაინც, რამდენ ვაგონზე გავაკეთოთ შეკვეთა? — ცინიკურად მკითხა.

— პირველ რიგში გეტყვით, რომ სუნამოების ვაგონებით წაღებას არ ვაპირებ, რაც შეეხება ფასს, საკმაოდ დიდია, — ზრდილობიანად ვუპასუხე.

— ჩვენი ფირმა მაღალი დონის კლიენტებს ემსახურება... რაც შეეხებათ რუსებს — მათ ყოველთვის ვაგონებით მიაქვთ ხოლმე საქონელი...

— უკაცრავად, მაგრამ მე რუსი არა ვარ — ქართველი ვარ... — გაღიზიანებულმა ვუთხარი.

— რა მნიშვნელობა აქვს?! ჩემთვის ყველა ერთი ხართ... გასაყრელები ხართ ყველა აქედან. წადით, თქვენს მოსკოვში იბაირამეთ... — ეს თქვა და კარისკენ გაემართა. პირველად გავშრი — ხომ არ მომესმა, ან ინგლისურად კარგად ვერ გავუგე-მეთქი... სამწუხაროდ, არ შევმცდარვარ. სანამ ოთახიდან გავიდოდა, დავუძახე: შენ ეი, პიჟონო, ბედი გქონია, საფრანგეთში რომ ცხოვრობ, თორემ ისე მიგბეგვავდი, დედაშენი ასი წელი ვერ გიცნობდა-მეთქი...

— აბა, მოდი, თუ ბიჭი ხარ, დამარტყი, ვინ ვინ არის, მერე გამოჩნდება... — ეს თქვა და ენა გამომიყო...

რა თქმა უნდა, თავი შევიკავე: კარგად ვიცოდი — ევროპაში პირველად ვინც დაარტყამს, მას ამტყუნებენ: ფიზიკურ შეურაცხყოფას აქ არავითარი გამართლება არა აქვს. თანაც, აშკარად ეტყობოდა, მთლად ნორმალური ფსიქიკა არ უნდა ჰქონოდა... ათიოდე წუთში მისი მეწყვილე ჩემთან მობრუნდა და ჩვენ შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

— მუსიე, დიდ ბოდიშს გიხდით — ჩემი მეგობრის საქციელმა ყველა საზღვარს გადაჭარბა...

— გულახდილად გეტყვით, არ მოველოდი... რა დავაშავე ისეთი, ასე რომ გამლანძღა?! — გაოგნებულმა ვიკითხე.

— მუსიე, ერთ რამეს გეტყვით და ამის შემდეგ ალბათ შეუნდობთ: ორი დღის წინ ჩემს მეგობარს მეუღლემ უღალატა,ის ტიპი კი რუსი აღმოჩნდა... იმაზე გაჯავრებულმა, თქვენზე იყარა ჯავრი...

— მერე თქვე მამაცხონებულებო, რაღა ჩემთან მორბოდით — ის ვერ დასაჯეთ?! — გაოცებულმა ვუთხარი.

— საქმეც ის არის, რომ გაგვექცა — რომ დაგვეჭირა, მიწასთან გავასწორებდით...

ქალაქში

პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, პარიზისა და საფრანგეთის სიმბოლო, გოთიკური სასწაული, საფრანგეთის ისტორია და ტაძართა ტაძარი... ის აშენებულია კუნძულ სითიზე, რომელიც მდინარე სენის შუაში მდებარეობს. ეს ქალაქის უძველესი რაიონია. ტაძარი შენდებოდა 1163-1250 წლებში.



ტაძარი საკრე-კერი

მოედანზე, სადაც საფრანგეთის ყველა გზა იწყება, ბრინჯაოს მემორიალური დაფაა, რომელზეც აწერია ციფრი — „0 კმ“. ტაძრის სიმაღლე 90 მეტრს აღწევს, გუმბათში კი დამონტაჟებულია ზარი, რომელიც 15 ტონას იწონის. მისი ხმა მხოლოდ დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს ჟღერს. ტაძარი რომ სრულყოფილად დაათვალიერო, ორი კვირა არ გეყოფა, თუმცა ორი საათიც საკმარისია იმისთვის, რომ მიღებული შთაბეჭდილება მთელი ცხოვრება გაგყვეს..

სენ-ჟერმენის ბულვარსა და სენის სანაპიროს შორის მდებარე უბანს, სადაც სორბონის მოედანი და ლუქსემბურგის ბაღია, ლათინურ კვარტალს ეძახიან. ლათინური იმიტომ დაარქვეს, რომ სტუდენტებს, რომლებიც აქაურ უნივერსიტეტში სწავლობდნენ (უნივერსიტეტი 1221 წელს დაარს-

აკაკი გეგენავა მონმარტრზე

და), ლათინურად უნდა ესაუბრათ. აქაური სტუდენტები ყოველთვის ლოთობდნენ, მხიარულობდნენ და ერთმანეთში ლათინურად ბაასობდნენ, რათა სხვებს მათი ლაპარაკის შინაარსი არ გაეგოთ. თუ უცხოელი პარიზში ცხოვრებას დააპირებს, აუცილებლად იქ უნდა დასახლდეს: ბინაც იაფია, ბევრი გასართობი ადგილიც არის და კეთილი ხალხიც ცხოვრობს.

ერთ საღამოს ამ უბანში ვსეირნობდი და ქუჩის მუსიკოსებს ვუსმენდი. ვიგრძენი, რომ ვიღაც ლამაზი მანდილოსანი მითვალთვალებდა. ქალებში განსაკუთრებული პოპულარობით არასოდეს ვსარგებლობდი და გულმა რეჩხი მიყო... მშვენიერი არსება მომიახლოვდა და გამიღიმა:

— უკაცრავად, ქართველი ბრძანდებით?

— აა... დიახ, საიდან მიხვდით? — დავიბენი, არ ველოდი ქართველთან შეხვედრას.

— სიარულში შეგატყვეთ... — ორივეს გაგვეცინა...

ასე გავიცანი თბილისელი ელა ლეკიშვილი, რომელიც სტუდენტური პროგრამით თავის მეგობრებთან ერთად, პარიზში იმყოფებოდა. სამწუხაროდ, პარიზში ჩემი ყოფნის დრო იწურებოდა და ელასთან ერთად ბევრის ნახვა ვერ მოვასწარი.

მონმარტრი და ეიფელის კოშკი

მონმარტრი ის ადგილია, სადაც ცხოვრობდნენ და მუშაობდნენ ბალზაკი, ჰიუგო, მოპასანი... თავიანთ ნამუშევრებს პუბლიკას აცნობდნენ პიკასო, ვან-გოგი... აქ ცხოვრობდნენ და სწავლობდნენ დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი... ამ უბნის თითოეული ქუჩა და სახლი ხელოვნებით სუნთქავს... დღეს ხელოვანთ უჭირთ აქ ცხოვრება, ვინაიდან ყველაფერი საკმაოდ ძვირია. ფაქტობრივად, ყველა შენობა ტურისტულმა ბიზნესმა დაიპყრო. თუმცა, მხატვრებს აქ მაინც რა გამოლევს?! ასე რომ, მონმარტრი მაინც მონმარტრია...

„საშინელი, სამარცხვინო და უშნო ნაგებობა“ — ასე ნათლავდნენ ეიფელის კოშკს, რომელიც 1889 წელს აიდგა. გუსტავ ეიფელმა კონკურსში გამარჯვების შემდეგ მიიღო კოშკის დადგმის ნებართვა, რომელსაც ხელოვანთა წრეებში „ჭანჭიკების კოშკად“ მოიხსენიებდნენ. მისი სიმაღლე 320 მეტრს აღწევს, ის 18000 რკინის ნაჭრისაგან შედგება. თავპირველი გადაწყვეტილების თანახმად, კოშკი 20 წელიწადი უნდა მდგარიყო. 1910 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით, ეს ვადა 70 წლით გაგრძელდა. 1980 წელს კი, აზრად აღარავის მოსვლია რაიმე ვადაზე ლაპარაკი.

პირველად კოშკი რომ დავინახე, მირაჟი მეგონა: ნუთუ ეს არის?!.. თანდათან მას თვალი ეჩვევა, ვინაიდან კოშკი ქალაქის ყოველი მხრიდან ჩანს. ის რაღაცით ნავთობის ჭაბურღილს მოგაგონებს. განსხვავება ის არის, რომ ნავთს კი არა — ფულს „ქაჩავს“. კოშკის ლიფტამდე რომ მიხვიდე, რიგში სულ ცოტა ორი საათი დგომა და 65 ფრანკი დაგიჯდება. ზემოდან მთელი პარიზის პანორამა, 70 კმ რადიუსში მოჩანს. ზემოთვე არის ეიფელის სამუშაო კაბინეტ-მუზეუმი და რესტორანი, სადაც აუცილებლად შამპანურის ერთ-ორ ბოკალს მიირთმევ (აბა, პარიზის თავზე მოხვედრილი, სხვაგვარად როგორ უნდა მოიქცე?!), რომელიც აქ ფანტასტიკურად ძვირია...

ელისეს მინდვრები და „ვეტერანთა სახლი“

ელისეს მინდვრებზე საფრანგეთის პრეზიდენტის რეზიდენციაა. მინდვრების სიგრძე 2,5 კილომეტრს აღწევს: ის „თანხმობის მოედნიდან“ „ტრიუმფალურ თაღამდეა“ გაჭიმული. ეს ადგილი იმისთვის არის, რომ მშვიდად ისეირნო, მაღალ მატერიებზე იფიქრო და... ბევრი ფული ხარჯო. ფულის სახარჯავი ადგილი აქ უამრავია და ამ საქმეში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ ჯიბეში რამდენი გიდევს...

„ვეტერანთა სახლი“ განსაკუთრებული ადგილია იმ ჯარისკაცთათვის, ვინც სამშობლოს დაცვისას, ჯანმრთელობა დაკარგა ბრძოლებში. ეს არის 500 მ სიგრძისა და 400 მ სიგანის უზარმაზარი კომპლექსი, რომელიც ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს, 1670 წელს აშენდა. XVII საუკუნის დამლევს „ვეტერანთა სახლი“ მინიატურულ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც 4000 მეომარი ცხოვრობდა. ისინი რაზმებად იყვნენ გაერთიანებულნი და ოფიცრების ხელმძღვანელობით, სხვადასხვა საამქროში მუშაობდნენ. დღეს აქ მოქმედებს სამხედრო ჰოსპიტალი, რომელიც ტრადიციების გამგრძელებელია... საერთო ჯამში, კომპლექსი, საფრანგეთის სამხედრო დიდების მუზეუმს წარმოადგენს...

კომპლექსის ცენტრალური ნაგებობაა ვეტერანთა ტაძარი. მისი სიმაღლე 107 მეტრს აღწევს, ხოლო გუმბათი მოოქრულია: მასზე 100 კგ ოქროა დახარჯული. ტაძრის ეზო სამხედრო ნეკროპოლია, სადაც დაკრძალულნი არიან: ნაპოლეონი, მარშალი ტიურენი, ვობანი, ჟოზეფ და ჟერომ ბონაპარტები.

დეფანსის რაიონი სიმბოლოა არა მარტო თანამედროვე პარიზისა, არამედ მთელი საფრანგეთისა — იმ საფრანგეთისა, რომელიც ამაყობს არა მხოლოდ თავისი წარსულით, არამედ თანამედროვე მიღწევებითაც — უახლეს ტექნოლოგიებში, ტრანსპორტისა თუ კოსმოსურ სფეროებში... დეფანსის მშენებლობა 50-იან წლებში დაიწყო, როდესაც ქალაქის განვითარებამ ახალი არქიტექტურული მიმართულება მოითხოვა. მაშინ აშენდა პირველი ცათამბჯენები... 70-იან წლებში სამშენებლო ბუმის მეორე ტალღამ გადაიარა: მაშინ აშენდა წამყვანი ფრანგული კომპანიების შტაბბინები... 80-იან წლებში კი გამოჩნდა ულტრათანამედროვე ტიპის, წარმოუდგენელი გეომეტრიული ფიგურების ფორმის ნაგებობები, რომლებმაც წარმოშვა უბანი, გრანდიოზულობის შეგრძნებას რომ იწვევს...

ერთი სიტყვით, პარიზის დათვალიერებისთვის ორი კვირა ნამდვილად არ მეყო. როგორ ვინატრე, ელასა და მისი მეგობრების დარად, მეც სტუდენტი ვყოფილიყავი და პარიზში გამეგრძელებინა ყოფნა...

როგორც იქნა, სასურველი სუნამოებიც შევარჩიე. თბილისიდან ფული გადმომირიცხეს და კონტეინერით გამოვგზავნე. ჩემი წამოსვლის დროც დადგა. იმ ორმა კვირამ, რაც პარიზში გავატარე, წარუშლელი შთაბეჭდილება დამიტოვა...

■

ელისეის მინდვრების ერთ-ერთი კუთხე

შეუწყვეტელი შეწყვეტა

ბესიკ კეკელიძე

დასაწყისი იხ. „გზა“ №№13-17

***

გვირაბში პირველი ნიკელა, შემდეგ — ზურა და ბოლოს აჩიკო ჩაძვრა. ყოველ წინ წაწეულ მეტრთან ერთად, უფრო და უფრო გემრიელად ისუნთქებოდა თავისუფლების ჰაერი. გვირაბიდან ამოძვრნენ. თავიდან ფეხებამდე შავ ტანსაცმელში ჩაცმულები, ზამთრის კუნაპეტ ღამეს ისე შეერწყნენ, რომ მათი გარჩევა შეუძლებელი იყო. რამდენიმე კილომეტრი სირბილით გაიარეს და დათქმულ ადგილას მივიდნენ. ორი მანქანა ელოდათ. ბიჭები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თავიანთ მანქანებში ჩასხდნენ.

— ჯიგარი ხარ, მერაბ, — გადაეხვია ზურა თანაკლასელს.

შავ ანაფორაში გამოწყობილი მღვდელი საჭესთან იჯდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ძალიან ნერვიულობდა. პირჯვარი გადაიწერა:

— გადაიცვი, — მიაწოდა შვინდისფერი სტიქარი ზურას.

ზურამ უსიტყვოდ ჩაიცვა:

— დაქოქე ახლა, წავედით, თორემ, თავზე დაგვათენდა. ნუ ნერვიულობ, ყველაფერი კარგად იქნება.

მერაბმა მანქანა დაძრა და გეზი თბილისისკენ აიღო. გარეთ ისეთი სიცივე იდგა, რომ გზაში არც ერთი პოლიციელი არ შეხვედრიათ. ერთ საათში დიღომში შევიდნენ.

— ზურა, ცუდი ამბავი უნდა გითხრა, — მანქანის სვლა შეანელა მერაბმა.

— რა მოხდა?! დედაჩემს რამე ხომ არ მოუვიდა?! — ფერი წაუვიდა ზურას.

— ნონა ალარ არის, გუშინ წნევამ დარტყა, — ძლივს ამოღერღა მღვდელმა.

ზურამ სიმწრისგან შუბლზე ხელი იტკიცა და ისე დაიბღავლა, რომ მერაბს გააჟრჟოლა.

— ჩემი დედიკო, ჩემი დატანჯული დედიკო. როგორ ვერ გაიხარა, მაგ უბედურმა, — მოსთქვამდა ზურა. გრძნობდა, რომ გული დაუცარიელდა და მხოლოდ და მხოლოდ სისხლის ტუმბოს ფუნქციას ასრულებდა. სულიერი ტკივილისგან მოიკუნტა, ერთ მუჭად იქცა, თავი მუხლებში ჩარგო და პატარა ბავშვივით აქვითინდა.

სახლთან გამატარე, — შესთხოვა თანაკლასელს.

— არა, ზურა, არ გვინდა...

— ჯერ არავინ იცის, რომ „პაბეგში“ ვარ. გეხვეწები, გამატარე.

მერაბმა რუსთაველიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე აუხვია, იქიდან არსენაზე გავიდა.

— ერთი წამით გააჩერე, — სახლზე უჩვენა ზურამ.

— არ გადახვიდე, — მერაბმა სადარბაზოსთან გააჩერა მანქანა, — მეზობლები, ნათესავები და მთელი უბანი თავს დასტრიალებს. სახლში ბევრი ხალხია და არ ახვიდე, ნონას ვერაფერს უშველი და შენს საქმეს კი გაიფუჭებ.

ზურა მანქანიდან არ გადასულა. რამდენიმე წუთი სადარბაზოს კიბეს შეჰყურებდა, შემდეგ ცრემლი მოიწმინდა.

— წავედით, — ოხვრასავით აღმოხდა, — ოღონდ არ ვიცი, სად წავიდე, სად ჯანდაბაში ვიცხოვრო.

— დროებით, ეკლესიის სატრაპეზოს უკან, ჩემს ოთახში გაცხოვრებ. მერე, ღვთის წყალობით, რაღაც გამოჩნდება, — ტვერელის ეკლესიასთან ჩაუხვია მერაბმა. ზურას მანქანიდან გადმოსვლაში მიეხმარა. ოთახის კარი გაუღო და სინათლე აანთო:

— აქ იცხოვრებ, საწოლში ახალი თეთრეულია, ელექტროღუმელი ჩართულია, მაცივარში საჭმელია, მოკლედ, შენი თავი ხელში აიყვანე და დამშვიდდი. აი, ეს იკითხე, — მიაწოდა ფსალმუნები, — სანთელი დაანთე და ნონას სულზე იფიქრე. მე შენთან ჩავალ, გამოვჩნდები, ვინმემ რამე რომ არ იფიქროს.

— კარგი, — ამოილუღლუღა ზურამ.

მერაბი წავიდა.

ზურა საწოლზე მოცელილივით დაენარცხა და მოთქმა-გოდება მორთო. საკუთარ ბედზე საშინლად გამწარებული იყო. არ იცოდა რა ექნა, რა წყალში ჩავარდნილიყო. თავი ეზიზღებოდა. კარგა ხნის ტირილის შემდეგ წამოდგა, სანთელი აანთო და ფსალმუნების კითხვა დაიწყო. პირველი კანონი ჩაიკითხა. ოდნავი შვება იგრძნო. მეორე კანონიც ჩაამთავრა, პირჯვარი გადაიწერა და არც გაუხდია, ისე გაიშხლართა საწოლზე. ძლივძლივობით ჩაეძინა.

დილით მერაბმა გამოაღვიძა:

— ტელევიზორში გამოუცხადებიათ.

— რა? — ვერ გაერკვა ზურა.

— შენი გაქცევის შესახებ. ძებნაა გამოცხადებული. მთელი მთაწმინდის პოლიცია შენს სახლთან ტრიალებს.

— ერთი მაგათი დედაც... ფეხებზე მკიდია. აწი, გინდ დამიჭირონ, გინდ არა, ჩემთვის სულერთია. დედაჩემს როდის კრძალავთ?

— ზეგ.

— გასვენების დღეს, რამენაირად სახლთან ჩამიყვანე.

— დაგიჭერენ, ბიჭო, როგორ ჩაგიყვანო?

— სულ ხუთი წუთით. გამოსვენებისას უკანასკნელად ვნახავ, — ცრემლი მოადგა ზურას.

— რაღაცას მოვიფიქრებ, — დაამშვიდა მერაბმა, — საჭმელი ჭამე?

— არა, ლუკმა არ გადამდის.

— მოდი, ერთად ვჭამოთ, — მერაბმა კარადიდან თეფშები და პური გამოალაგა და მაგიდაზე დააწყო. მაცივრიდან თეფშებსა და ჯამებზე მოთავსებული კერძები გამოიღო და ზურა მიიპატიჟა.

— ღვინო გაქვს? ერთი ჭიქა დამისხი.

მერაბმა ჩამოასხა.

— ეჰ, დედაჩემის ხსოვნა იყოს, უფალმა გაანათლოს მისი სული, — ზურამ შესვა.

— ამინ! — დაეთანხმა მღვდელი, — შენ და ცხონებული დათო ჩემთან რომ იყავით, გახსოვს?

— კი, — თავი დაუქნია ზურამ.

— რომ გამლანძღე, გახსოვს?

— კი.

— იმ დღის შემდეგ, ტაძარში ფულის აღება ავკრძალე. ვისაც რამდენი შეუძლია, შესაწირ ყუთში აგდებს, შენ ცამდე მართალი იყავი, — გაუღიმა თანაკლასელმა.

— მამა ალექსი, დამეხმარე, რომ ცოდვები მოვინანიო. ძალიან აფორიაქებული მაქვს სული, დამშვიდება მჭირდება.

— აუცილებლად, — წამოდგა მოძღვარი. ლოცვების წიგნი აიღო და ზურას გაუწოდა, — ხვალიდან დაიწყებ დილის და საღამოს ლოცვებს, ყოველი ლოცვის შემდეგ, ფსალმუნების თითო კანონს წაიკითხავ და გააკეთებ ას მეტანიას. მარხვასაც დაიცავ.

— დავიცავ, მამაო, აბა, რას ვიზამ, — დაეთანხმა ზურა.

დაკრძალვის წინა ღამეს, ზურას თვალი არ მოუხუჭავს. მაგიდასთან იჯდა და თავი მკლავებზე დაედო. გარეთ კი ზამთრის ღამე, ზურას სულივით გაყინულიყო. უჩვეულო სიჩუმე ფიქრს დიდ გასაქანს აძლევდა. მთელი ცხოვრება გონებაში მიმოდიოდა.

— რა არის ადამიანის განვლილი გზა? არაფერი, — თავის თავს ეჩურჩულებოდა, — ერთი ღამის ნაფიქრალიც კი არ სჭირდება,

ერთი ცუცქნაა ცხოვრება. სად, როდის გიმუხთლებს ბედი, არავინ იცის. ბოროტება, როგორც მრუში დედაკაცი, გეთვალთმაქცება, ისე ჩაგითრევს თავის ბინძურ სხეულში, ისე გაგახვევს შავ სუდარაში, როგორც ღამე შთანთქავს დღეს. თვალს გაახელ და არ გჯერა, რომ ეს შენ ხარ, ეს ის გზაა, რომელიც შენ გაიარე. გინდა რაღაც შეცვალო, მაგრამ უსუსური ხარ. ვიღაც მატლი ხარ, რომელიც საკუთარი ინტერესების ირგვლივ უნიათოდ იკლაკნები. გვიან, ძალიან გვიან ხვდები ყველაფერს, მაგრამ რას იზამ, როგორც წყალზე კვალს ვერ დატოვებ, ასევე ვერ შეცვლი წარსულს.

— ზურა, — ოთახში შემოვიდა მერაბი.

ზურას თავი ისე დამძიმებოდა, თითქოს დამდნარი ტყვია ჩესხათ, ძლივს ასწია. უძილობისა და დარდისგან თვალები ჩასისხლიანებოდა.

— მოხვედი?

— ვახოს ველაპარაკე, ჩვენს კლასელს, შენ გვერდით რომ ცხოვრობს...

— მერე? — სმენად იქცა ზურა.

— არაფერი, გასვენებამდე რამდენიმე საათით ადრე ვახოს სახლში მიგიყვან და ცხონებულ ნონას ფანჯრების წინ გავასვენებთ. სხვა ვერაფერი მოვიფიქრე. ალბათ, იქაურობა პოლიციელებით იქნება სავსე.

— კარგი, — დაეთანხმა ზურა. თერთმეტი ხდებოდა, როცა მერაბმა ვახოს სახლთან მიიყვანა. ქუჩა დაკვირვებით შეათვალიერა და საეჭვო რომ ვერაფერი ნახა, ზურას მიმართა:

— გადადი, ვახო სახლში მარტოა და გელოდება.

ზურა სწრაფად გადავიდა და სადარბაზოში შევიდა. კარი ვახომ გაუღო. თანაკლასელები ერთმანეთს გადაეხვივნენ. შემდეგ მასპინძელმა გარედან ჩაკეტა და ზურას სახლისკენ წავიდა.

სამი იყო დაწყებული, როდესაც ნონა გამოასვენეს. ვახოს და მერაბს სასახლე მხრებზე ედოთ და წინ მიუძღვებოდნენ. ვახოს სახლთან რამდენიმე წამით შეჩერდნენ.

ზურა ფანჯარასთან, ფარდის უკან იდგა. ქვედა ტუჩი კბილებს შორის მოექცია, და რომ არ ეღრიალა, ყბებს მთელი ძალით უჭერდა. სახე ცრემლით ჰქონდა დასველებული. გაშეშებული შესცქეროდა დედამისის უსულო სხეულს:

— მშვიდობით, დედა, — წაილუღლუღა, ოთახში შებრუნდა და სავარძელში ჩაენარცხა.

***

დედის ორმოცის წინა დღეს, მოძღვარმა ზურა აზიარა. მეორე დღეს ტაძარში ნონას პანაშვიდი გადაუხადეს.

„აქ როდემდე უნდა ვიჯდე? მოქმედებაა საჭირო“, — ზურა მაგიდას მისჯდომოდა, თავი ხელებში ჩაერგო და ფიქრს მისცემოდა, — „რა ვქნა? ფაქტია, ქვეყნიდან უნდა წავიდე, მაგრამ როგორ, სად?“ — მოულოდნელად გონებაში მალვინა ამოუტივტივდა, — მალვინა, — ჩაიჩურჩულა.

ოთახში მოძღვარი შემოვიდა:

— ზურა, სახლში მივდივარ, რამე ხომ არ გჭირდება?

— მერაბ, ამაღამ შენი მობილი დამიტოვე.

— რაში გჭირდება?

— მჭირდება, ერთი-ორ ადგილას მაქვს დასარეკი.

მერაბმა ჯიბიდან ტელეფონი ამოიღო და გაუწოდა:

— ამ ღილაკით ბლოკირებას მოხსნი, დანარჩენი იცი.

— კი, — აპარატი გამოართვა ზურამ.

— აბა, ხვალამდე, — დაემშვიდობა მოძღვარი და ოთახიდან გავიდა.

ზურა საწოლზე წამოწვა. ცნობათა ბიუროში დარეკა და ბიწაძის ტელეფონი გაიგო, შემდეგ ნომერი აკრიბა.

— გისმენთ, — უპასუხა ქალმა.

— მარინას სთხოვეთ.

— მარინა ვარ, — ჩაფიქრებულმა უპასუხა ქალმა, — ზურა ხარ? — გონს მოეგო მარინა.

— ჰო, ზურა ვარ. როგორ მიცანი?

— მე ველოდებოდი შენს ზარს.

— ძალიან ბევრს ფიქრობ ჩემზე, არა? — ირონიულად ჩაეცინა ზურას.

— შენთან საქმე მაქვს, მინდა გნახო.

— „პაბეგში“ ვარ, ქუჩაში ვერ გადავადგილდები...

— ვიცი, — მოკლედ მოუჭრა ქალმა, — ხვალ როგორმე შევხვდეთ.

— სად? — გაიკვირვა ზურამ.

— ჩემთან, სახლში...

— რას ამბობ, გოგო? მაგ სახლთან რა მომიყვანს?! გაგიჟდი?

— მარტო ვარ სახლში, ბავშვები ჩემმა მშობლებმა ორი კვირით ბაკურიანში წაიყვანეს.

— მერე?

— რა მერე, რვა საათზე უკვე ბნელა. ქვემოთ ვიდგები და სახლში მე აგიყვან. შეძლებ, რომ მოხვიდე?

ზურა ჩაფიქრდა:

— რამეს ხომ არ მიპირებ, გოგო?!

— არა, ზურა, გეხვეწები, ცუდი არაფერი იფიქრო. უბრალოდ, აუცილებელი საქმე მაქვს. მოხვალ?

— კარგი, რვა საათზე ქვემოთ იყავი, — გათიშა ტელეფონი ზურამ.

მეორე დილით ყველაფერი მერაბს უამბო.

— ბიჭო, რას ამბობ?! ციხეში გინდა დაბრუნება? — განცვიფრდა მღვდელი, — ქალს ქმარი მოუკალი და იმას უნდა შეხვდე?

— იმას არასოდეს ევასებოდა თავისი ქმარი.

— ევასებოდა თუ არ ევასებოდა, შვილების მამა იყო.

— მოიცა, რა?! აბა, რა ვქნა? მთელი ცხოვრება ამ ოთახში ვიჯდე? ამას, უკან დაბრუნება მირჩევნია.

— ქუჩაში პოლიციამ რომ დაგიჭიროს?

— ვინ უნდა დამიჭიროს? — გაიკვირვა ზურამ, — მშიერი და გაძვალტყავებული პოლიცია თავისი კუჭის მეტზე ვერაფერზე ფიქრობს. ჩემი „პაბეგის“ ამბავი უკვე მიწყნარდა. აგერ, თვე-ნახევარი გავიდა, სულ ბუზივით, ცხვირწინ რომ ვუბზუილო, აზრზეც ვერ მოვლენ, ვინ ვარ. დაბრედილ ქვეყანაში, ყველაფერი დაბრედილია.

— მაგაში კი გეთანხმები, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

— ჩემო მერაბ, რაღაც უნდა ვქნა, თორემ ამ ოთახში ობი მომეკიდა.

— მერე, იმას რომ შეხვდები, რა?

— ასე მითხრა, საქმე მაქვსო. ვნახოთ, რა გამოვა.

— ღმერთმა ქნას, ყველაფერი მოგვარდეს, — პირჯვარი გადაიწერა მოძღვარმა.

რვა სრულდებოდა, როდესაც მერაბმა ზურა „თი-ბი-სი“ ბანკთან ჩამოსვა. ზურა აუჩქარებლად გაუყვა ნახევრად ჩაბნელებულ ქუჩას. მაღაზია „დავითთან“ მარინა იდგა. რამდენიმე წამით შეჩერდა, იქაურობა დაკვირვებით შეათვალიერა. ქალმა შეამჩნია და მისკენ გამოემართა.

— გამარჯობა, ზურა, — გადაკოცნა, ხელკავი გაუყარა და სადარბაზოსკენ წაიყვანა.

ბინაში უპრობლემოდ შევიდნენ. ქალმა კარი გადარაზა და ზურას მიუბრუნდა:

— რა არაკაცი გამოდგა ჩემი ქმარი. ეს რა იკადრა?

— თენგოს განსაკითხად დამიძახე? — თვალებში მიშტერებოდა ზურა.

— არა, მეშინია ამხელა ცოდვა ჩემს შვილებზე არ გადავიდეს.

— მერე, მე მღვდელი ვარ თუ მამაღმერთი, იმ ახვარს ცოდვები რომ მივუტევო? — ჩაეცინა ზურას.

— დაჯექი, — სავარძელზე მიუთითა ქალმა და სასტუმრო ოთახიდან გავიდა.

ზურა ჩამოჯდა. რამდენიმე წუთში მარინა მიუახლოვდა, ხელში შავი ცელოფანის პარკი ეკავა.

— რა არის? — გაკვირვებულმა იკითხა ზურამ.

— ეს შენ გეკუთვნის, — გაუწოდა პარკი.

ზურამ გახსნა და ხელი ჩაყო. ასდოლარიანების ექვსი შეკვრა, რომელიც მის სისხლში იყო ამოსვრილი, ამოიღო. ერთიორი წამით ჩაფიქრდა, მისი და დათოს ჩაცხრილვის სცენა გაახსენდა, შემდეგ, მოღიმარ და კმაყოფილ ქალს შეხედა:

— საიდან გაქვს ეს ფული?

— თენგოს სიკვდილის შემდეგ, საწ-



ერი მაგიდის უჯრაში ვიპოვე. მივხვდი, რომ ამ ფულის გულისთვის გაგწირათ, შენ და შენი მეგობარი. სასამართლოზე კი, ყველაფერი ჩემი ყურით მოვისმინე. ის ღორი საბოლოოდ შემზიზღდა და გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს ფული შენთვის დამებრუნებინა.

ზურამ შვებით ამოისუნთქა. ეჭვი განვლილი დღეებივით შემოეფანტა. წამოდგა და ქალს ჩაეკრა:

— მარინა, ჯიგარი ხარ, — აალებულ ლოყებსა და თბილ, გემრიელ ტუჩებს უკოცნიდა. მარინა აჰყვა, ალერსზე ალერსით პასუხობდა და უაზროდ ჩურჩულებდა:

— მე მაპატიე, მე მაპატიე იმის საქციელი.

ზურამ მხრებში ხელი ჩაავლო და თვალებში ჩააშტერდა. ამ ხნის მანძილზე, ძლივს იგრძნო, რომ მისი იღბალი რაღაც მანათობელი წერტილისკენ შემობრუნდა და ეს წერტილი ბედნიერება იყო.

— შამპანური გვაქვს?

— გვაქვს, — წამოდგა ქალი, — რას მიაყოლებ? — თვალებში შესციცინებდა.

— შენ, შენ მიგაყოლებ, — მოეხვია ზურა და აკოცა, — ოღონდ, ჯერ აბაზანაში შემიშვი, მოვწესრიგდები, წვერს გავიპარსავ.

— კი, — წელზე ხელი მოხვია მარინამ და აბაზანისკენ წაიყვანა.

ზურას თბილი წყლის ჭავლი ესიამოვნა, კარგა ხანს იდგა გაშეშებული. სახეზე ღიმილი შეჰყინვოდა და გულის სიღრმეში, ღმერთს მადლობას უთვლიდა. ბანაობის შემდეგ წვერი გაიპარსა, მარინას მიცემული ხალათი გადაიცვა და აბაზანიდან გამოვიდა. ქალი შეეგება, სამზარეულოში გაიყვანა. მაგიდაზე შამპანური დაედო.

— მოიცა, სანამ დავიწყებთ, ერთ ადგილას მინდა დავრეკო.

— აგერ არის ტელეფონი, — ხელით უჩვენა ქალმა.

ზურამ ნომერი აკრიბა:

— მერაბ, მე ვარ. ყველაფერი კარგად არის. დღეს აქ ვრჩები, არ ინერვიულო. დაგირეკავ, ყურმილი დაკიდა და ქალს მიუბრუნდა, — შეძლებ, რომ ამ ღამეს ყველაფერი დამავიწყო? ყოველგვარი ტკივილი, დარდი და ნაღველი მიმიძინო?

— კი, — მოეხვია მარინა, — შევძლებ რომელია.

ზურამ შამპანური გახსნა და ჩამოასხა:

— გაგიმარჯოს მარინა, ჯიგარი ხარ.

ქალმაც შესვა.

— წამოდი, — ხელი ხალათის სახელოზე წაავლო და საწოლი ოთახისკენ მოჰქაჩა.

თენდებოდა, როდესაც ჩაიძინეს. ზურას ასეთი მშვიდი ძილი დიდი ხანია არ სტუმრებია. როდესაც გაიღვიძა, ქალი ამდგარი დაუხვდა.

— მარინა, — დაუძახა.

— სამზარეულოში ვარ, საუზმეს ვამზადებ.

ზურა წამოდგა, ხალათი გადაიცვა და სამზარეულოსკენ გააბიჯა. ქალს მოეხვია:

— მაგარი ხარ, — შეაქო და სკამზე ჩამოჯდა, — რუსეთში როგორ გადავიდე? — საკუთარ თავს დაუსვა კითხვა.

— რუსეთში რა გინდა? — გაიკვირვა მარინამ.

— აბა, აქ დავრჩე?

— არა, — ჩაფიქრდა ქალი, — საპასპორტოში ნაცნობი მყავს. სხვა გვარსა და სახელზე აფხაზეთიდან ლტოლვილის საბუთს გაგიკეთებ, საზღვარგარეთის პასპორტს აგიღებ და ესპანეთში, ჩემს შორეულ ნათესავთან გაგიშვებ. ამ ფულით დასახლდები კიდეც და პატარა საქმესაც დაიწყებ. როგორია?

— კარგია, მაგრამ ეს ყველაფერი რეალურია?

— კი, — თავი დაუქნია ქალმა. შემდეგ თავიდან ფეხებამდე აათვალიერ-ჩაათვალიერა, — რა ზომის ფეხი გაქვს?

— ორმოცდაორი, — ვერ გაერკვა ზურა, რაში სჭირდებოდა მისი ფეხის ზომა.

— მე ახლა მაღაზიებში წავალ და შენთვის „შმოტკებს“ შევიძენ. გამოგაწყობ, მერე პასპორტისთვის სურათსაც გადაგიღებ.

— იმ ფულიდან მიყიდე, — ზურას ესიამოვნა ასეთი დამოკიდებულება.

— არა, ის ფული შენია. ყველაფერ ამას, საჩუქრად გიკეთებ. ერთადერთი, რაც იმ არაკაცისგან დამრჩა, ეს შვილები და ქონებაა. ასე რომ, მისი ჩასვრილი საქმე მე უნდა გამოვასწორო. გარედან ჩაგკეტავ, ტელეფონს არ უპასუხო, ერთ-ორ საათში დავბრუნდები, — მარინა ჩასაცმელად საწოლი ოთახისკენ წავიდა.

— საბუთები რამდენ ხანში იქნება?

— მაქსიმუმ ერთ კვირაში მზად მექნება.

— ესპანეთის ვიზაც?

— კი.

— მოიცა, — სკამიდან წამოდგა ზურა და ოთახიდან გამავალ ქალს დაეწია, — ინგლისის გავლით გამიკეთე ესპანეთის ვიზა.

— რად გინდა? — გაიკვირვა მარინამ.

— მჭირდება, ლონდონში შვილი უნდა ვნახო.

— ცოტა გართულდება, მაგრამ გავაკეთებ, — დააიმედა მარინამ.

— შენ მანქანა გყავს? — თვალებში მისჩერებოდა ზურა.

— კი, „ტოიოტას ჯიპი“ მყავს.

— მაშინ, საღამოს სასაფლაოზე გავიდეთ.

— წავიდეთ, — დაეთანხმა ქალი.

ზურამ მარინას მობილური ტელეფონიდან მერაბს დაურეკა:

— მერაბ, მე ვარ. საღამოს ცხრა საათზე ჩემი მშობლების საფლავზე შევხვდეთ. კარგი, საღამომდე, — გათიშა აპარატი.

— მე წავედი, — გამოვიდა ქალი ოთახიდან, — არ მოიწყინო, მალე დავბრუნდები.

დასასრული შემდეგ ნომერში

1985 წელს „სოთბის“ აუქციონზე გაიყიდა ავტომობილი, რომელიც ოდესლაც ჯონ ლენონს ეკუთვნოდა. ექსტრავაგანტურად მოხატულ (ყვითელ ფონზე ცისფერი და წითელი ყვავილებია „მიმოფანტული“) მანქანაში კერძო კოლექციონერმა 2 მილიონ 299 ათასი დოლარი გადაიხადა (საწყისი ფასი 300 ათასი დოლარი იყო). აქ, რასაკვირველია, გადამწყვეტი როლი ლეგენდარული მუსიკოსის სახელმა შეასრულა, მაგრამ ავტომანქანაც უბრალო არ გახლდათ — ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული „როლს-როისი“, PHANTOM V მოდელი იყო.

ავტომობილების და მეფეების ერთადერთი ავტომობილი

„როლს-როისი“ – წარმატებისა და ფუფუნების სიმბოლოა, ავტომობილი, რომელიც გასაოცრად ითავსებს ჭეშმარიტად ბრიტანული კონსერვატიზმის სულს, თანამედროვე საავტომობილო მოდის მოთხოვნებს და ტექნოლოგიის უახლეს მიღწევებს. ეს ის ავტომობილია, რომელშიც უცნაურად არის გადახლართული ლეგენდები და ტრადიციები.

ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია, რომლის წყალობითაც „როლს-როისი“ მაშინვე შეიცნობა – თითქმის 97 წლის განმავლობაში სახეშეუცვლელი დამახასიათებელი რადიატორის ცხაურია, რომელიც კლასიკური ძველბერძნული ტაძრის მსგავსად არის სტილიზებული. ტრადიციულია აგრეთვე ფირმის მიერ ისეთი მნიშვნელოვანი პარამეტრის გაუმჯობესებლობა, როგორიცაა ძრავის სიმძლავრე. ჩვეულებრივ, ფირმა მხოლოდ მოკრძალებულად იტყობინება, რომ სიმძლავრე „საკმარისია“. კიდევ ერთი ტრადიცია, ყველაფერში სრულყოფილებისაკენ სწრაფვაა. „აიღეთ საუკეთესო უკვე არსებულიდან და სრულყავით“ – ამბობდა ფრედერიკ ჰენრი როისი. მისი მემკვიდრეები სწორედ ასე იქცევიან.

ინჟინერ-ელექტრიკოსი ჰენრი როისი ორმოცი წლის ასაკში წარმატებული ბიზნესმენი და ელექტროტექნიკური მოწყობილობების მწარმოებელი ფირმის მფლობელი გახდა. 1903 წელს მან პატარა და ხმაურიანი ავტომანქანა „დეკოვილი“ (DECAUVILLE) შეიძინა. მალე გაირკვა, რომ საიმედოობისა და კომფორტის თვალსაზრისით, მანქანა არასრულყოფილი იყო. როისმა საკუთარი ავტომობილის შექმნა გადაწყვიტა.

უკვე 1903 წელს როისის პირველმა ძრავამ გაიარა გამოცდა სტენდზე, გაზაფხულზე კი, ქარხნის ჭიშკრიდან ახალთახალი, 10 ცხ. ძალიანი ორცილინდრიანი ძრავით აღჭურვილი ავტომობილი გამოვიდა. მცირე ზომის, ღიაძარიანი მანქანა უხმაურო, ნარნარი სვლით, მაღალი საიმედოობითა და მანევრირებით გამოირჩეოდა. ძრავა ყოველგვარი რეგულირების გარეშე სწრაფად ავითარებდა უძრაობიდან წუთში 1000 ბრუნს და ეს იმ დროისთვის დიდ იშვიათობას წარმოადგენდა.

პირველ სანიმუშო მოდელს კიდევ ორი მოჰყვა. ახალ მანქანებზე მაშინვე ალაპარაკდნენ, ამ ხმებმა 27 წლის ჩარლზ როლსამდე მიაღწია. როლსი ბარონის შვილი იყო, განათლება ყველაზე პრესტიჟულ – იტონისა და კემბრიჯის სასწავლებლებში ჰქონდა მიღებული და წარმატებით უთავსებდა ერთმანეთს იმპორტული ავტომობილებით ვაჭრობასა და მრავალრიცხოვან სპორტულ გატაცებებს – მოტო და ავტორბოლებს, თავიდან საჰაერო ბურთით, მოგვიანებით – აეროპლანით ფრენას. ავტორბოლაში მას ბრიტანეთის კუნძულებზე ბადალი არ ჰყავდა.

ინჟინერი და ავტომრბოლელი ერთმანეთს 1904 წლის 4 მაისს შეხვდნენ. ასე დაიბადა ცნობილი მარკა „როლს-როისი“.

1904 წლის დეკემბერში მათმა პირმშომ პარიზის ავტოსალონის ოქროს მედალი და მსოფლიო პრესის აღტაცებული გამოხმაურება დაიმსახურა. სპორტულმა მიღწევებმაც არ დაახანა: 1906 წელს ოთხცილინდრიანი, 20 ძალიანი ძრავის მქონე ავტომობილით კუნძულ მენზე გამართულ „ტურისტ ტროფი“-ს რბოლაში პირველობას ჩარლზ როლსმა მიაღწია. უახლოესი მოწინააღმდეგე მას 27 წუთით ჩამორჩა!

იმავე წელს შეიქმნა მანქანა, რომელსაც პირველ ნამდვილ „როლს-როისად“ თვლიან – მოდელი 40/50. ექვსცილინდრიანი 7 ლიტრი მოცულობის ძრავის მქონე ტონანახევრიანი ლიმონის, ხის, ტყავისა და რეზინის „ნაერთი“ ადვილად ავითარებდა 132 კმ/სთ სიჩქარეს. ამ მანქანით „როლს-როისმა“ მანქანათმშენებლობაში ახალი სტანდარტები დაამკვიდრა და კონკურენტებისთვის მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა საიმედოობა, მართვადობა და სიმძლავრე, რომელიც უბრალოდ, უსაზღვრო ჩანდა. განსაკუთრებით გამოგნებელი იყო ხმაურისა და ვიბრაციის არარსებობა – ძრავის ამუშავებისას რადიატორზე გვერდულად



დადებული მონეტაც კი არ ვარდებოდა! უხმაურობა იმ დროიდანვე ყველა „როლს-როისის“ კიდევ ერთი ტრადიციული დამახასიათებელი ნიშან-თვისება გახდა. ფირმა დღესაც ამაყობს იმით, რომ 100 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი ავტომობილის სალონში ხელის საათის წიკწიკი ისმის.

1907 წელს სამეფო საავტომობილო კლუბმა სხვადასხვა მარკის ავტომობილების გამძლეობის გამოცდა მოაწყო. როცა „როლს-როის 40/50“-მა ყოველგვარი რემონტის გარეშე 14371 მილი (1 მილი – 1852 კმ) გაიარა, გამოცდა შეწყვიტეს – „როლს-როისმა“ ადრინდელ მსოფლიო რეკორდს ორჯერ და უფრო მეტად გადაჭარბა.

მრავალი წლის შემდეგაც ჰენრი როისი 40/50 მოდელს თავის საუკეთესო ქმნილებას უწოდებდა. მისმა კომპანიონმა კი, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ იცოცხლა.

ავტოსპორტში მიღწეულმა მრავალმა წარმატებამ ჩარლზ როლსი ვერ დააკმაყოფილა და მისთვის დამახასიათებელი აზარტით ის ახალ, მოდურ გატაცებას – ავიაციას დანებდა. ეს კი საბედისწერო აღმოჩნდა. 1910 წელს მისი თვითმფრინავი დაჯდომისას დაიმტვრა. ჩარლზ როლსი ავიაკატასტროფაში მოყოლილი პირველი ინგლისელი გახდა.

საოცარია: „როლს-როისის“ ადრეულ მოდელებზე საუბრისას, მათი არაოფიციალური სახელები უფრო გავრცელებულია, ვიდრე ქარხნის მიერ მიღებული. 40/50 მოდელის 7876 ავტომობილიდან მხოლოდ ერთმა, ძარის ვერცხლისფერი შეფერილობის, მოვერცხლილი დეტალების სიმრავლისა და უხმაურო სვლის გამო, მიიღო სახელი „ვერცხლისფერი მოჩვენება“ (SILVER GHOST), მაგრამ ეს სახელი ამ სერიის ყველა ავტომობილს უწოდეს. როცა 1913 წელს „მოჩვენების“ უფრო სრულყოფილმა ვერსიამ, რომელსაც ოფიციალურად „კონტინენტალი“ უწოდეს, ავსტრიის ალპებში გამართულ ყოველწლიურ რალიში გაიმარჯვა, ხალხმა მაშინვე „ალპების არწივი“ შეარქვა.

10-იანი წლების დასაწყისისთვის „როლს-როისის“ მფლობელთა შორის რატომღაც უცნაური მოდა გავრცელდა: თავიანთი მანქანების რადიატორებზე სხვადასხვა ფიგურას ათავსებდნენ, რომელიც არცთუ ისე შვენოდა ძარის გამოკვეთილად მკაცრ ხაზებს, გამორჩეული პოპულარობით პოლიციელებისა და... შავი კატების ფიგურები სარგებლობდა. დირექტორთა საბჭომ გადაწყვიტა ამისთვის ბოლო მოეღო და „საფირმო“ ემბლემა შეექმნა, რომელიც ჰარმონიულად შეერწყმოდა ავტომანქანის დახვეწილ სტილს.

ავტომობილების ცნობილი შემფასებლის, ლორდ მონტეგიუს რჩევით, სკულპტორმა ჩარლზ საიკსმა ფრთიანი ფიგურა – „ექსტაზის სული“ (SPIRIT OF EXTASY) შექმნა, რომელიც 1911 წლიდან ყველა „როლს-როისის“ რადიატორს ამშვენებდა. 1920 წელს ფიგურას ავტომობილის საუკეთესო ემბლემის მსოფლიო კონკურსზე ოქროს მედალი მიენიჭა.

ფიგურებს ხელით ამზადებენ, იმ ტექნოლოგიის მიხედვით, რომელიც ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინ ჩინეთში გამოიგონეს. სანთლის ფიგურა ცეცხლგამძლე მასალით იფარება, შემდეგ სანთელი დნება და მის მაგივრად გამდნარი ლითონი ისხმება. გაცივებულ ფორმას ამტვრევენ, ლითონის ფიგურას კი ხელით აპრიალებენ. მოდელებსაც, რასაკვირველია, ხელით ძერწავენ, ამიტომ ორი აბსოლუტურად იდენტური ფიგურა უბრალოდ არ არსებობს.

40/50 მოდელი გამუდმებით მოდერნიზაციას გადიოდა და წარმოებაში 1925 წლამდე გაძლო. პირველი მსოფლიო ომის დროს დაჯავშნული ავტომობილებისთვის საუკეთესო, „როლს-როის 40/50“-ის შასი აღმოჩნდა. დაჯავშნული მანქანის სიმძიმის მიუხედავად, რომელიც გათვლილ დატვირთვას ორჯერ აღემატებოდა, „როლს-როისის“ მოდელი 96 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებდა და საოცარი გამძლეობით გამოირჩეოდა. ასეთი მანქანები საკმაო რაოდენობით, ეგვიპტის უდაბნოშიც მოხვდა, სადაც ათასობით კილომეტრი სრული უგზოობის პირობებში, ყოველგვარი რემონტის გარეშე გაიარეს. ზოგიერთმა დაჯავშნულმა მოდელმა მეორე მსოფლიო ომის ბრძოლებშიც მიიღო მონაწილეობა...

1925 წელს ადრეული მოდელი „ფანტომ I“-მა (PHANTOM I) შეცვალა. მას სხვა მოდელები მოჰყვა, რომელთაგან ყოველი შემდგომი წინას ჩრდილავდა.

1933 წელს, ჰენრი როისის სიკვდილის შემდეგ, რადიატორზე მოთავსებული ორი წითელი ასო R შავი ფერის ასოებმა შეცვალა. იმ დროისთვის მარკა უკვე ლეგენდარული გახდა, რასაც გარკვეულწილად, ორიოდე წლით ადრე მის მიერ ცნობილი ინგლისური კომპანიის – „ბენტლი“-ს (BENTLEY) შეძენამაც შეუწყო ხელი.

„როლს-როისი“ – ავტომობილების მეფე და მეფეების ავტომობილია. საზეიმო გასვლისთვის მონარქები და პრეზიდენტები ყველაზე ხშირად, „როლს-როისებს“ ირჩევენ. მათ მაგალითს მისდევენ უგვირგვინო მეფეები – სამრეწველო, საფინანსო მაგნატები, კინო და შოუბიზნესის ვარსკვლავები.

სამწუხაროდ, კომპანია „როლს-როისის“ დიდებული ისტორია ალბათ მთლიანად გასული საუკუნის კუთვნილება გახდება. ახალი ათასწლეულის დასაწყისში ფირმამ დამოუკიდებლობა დაკარგა და გერმანულ კონცერნ BMW-ს კონტროლის ქვეშ გადავიდა. შარშან წარმოდგენილი მოდელი „ვერცხლისფერი სერაფიმი“ (SILVER SERAPH) – უკანასკნელი „სუფთა სისხლის“ „როლსია“. მეპატრონეთა შეცვლა, რა თქმა უნდა, გამოშვებული ავტომობილების ხარისხს არ გააუარესებს, მაგრამ ლეგენდარული მარკის სახე კი ცოტათი გახუნდება.

და მაინც, რადიატორზე ორი R ასოთი დამშვენებული მანქანები მსოფლიო ავტოინდუსტრიაში სრულყოფის მუდმივ ნიმუშად დარჩება. „როლს-როისზე“ უკეთესი მხოლოდ სხვა „როლს-როისი“ შეიძლება იყოს.

P.S. ფირმის არსებობის მანძილზე გამოშვებული 110 ათასი „როლს-როისიდან“ ნახევარზე მეტი (დაახლოებით 60%) დღესაც აბსოლუტურად გამართულ მდგომარეობაშია.

■

ლელა ჯიყაშვილი

ავტოპორტრეტი

შალვა ქიქოძე: მზადა ვარ მთელი ევროპა ვანაცვალო ჩემს პატარა ბახვს

1895 წლის 27 მაისს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბახვში გერასიმე ქიქოძესა და მატრონე კალანდარიშვილს ვაჟი შეეძინათ, რომელსაც შალვა დაარქვეს. გერასიმე კოლეგიის რეგისტრატორი იყო, ერთხანს მასწავლებლადაც მუშაობდა. მისი მეუღლე საკმაოდ სუსტი ჯანმრთელობისა იყო, ხშირად ავადმყოფობდა და ახალგაზრდა გარდაიცვალა. შალვა ქიქოძე ბებიასთან იზრდებოდა. უდიდესი სიყვარული ჩაუნერგა ამ ქალმა პატარა შვილიშვილს. ისედაც საოცრად მგრძნობიარე ბიჭი ბახვში გატარებულმა წლებმა ადამიანების, ბუნების ტრფიალით აავსო და მანაც გზა მისცა საკუთარ განცდებს – ხატვა დაიწყო. მისი ბიძაშვილი – გერონტი ქიქოძე იხსენებდა: „... შალვა ქიქოძემ ხატვა თითქმის ლაპარაკთან ერთად დაიწყო. ის ფანქრით ხატავდა ყველაფერს, რასაც შეეძლო შთაბეჭდილება მოეხდინა ამ პატრიარქალურ და იდილიურ გარემოში აღზრდილ ბავშვზე... იგი ჯერ კიდევ ორი-სამი წლის იყო, როდესაც მარჯვენა ხელზე დამბლა დაეცა და იძულებული გახდა, მარცხენა ხელით ეხატა...“

1902 წელს შალვა ქიქოძე თბილისის ქართულ სათავადაზნაურო გიმნაზიაში შევიდა; მას საოცარი იუმორის გრძნობა ჰქონდა და შესანიშნავად გამოსდიოდა რეაქციონერი მასწავლებლების კარიკატურები. 1914 წელს თავისი პირველი შარჟი „ქართველი ღარიბი მოწაფე და ქართველი ღარიბი სტუდენტი“ სატირულ-იუმორისტულ ჟურნალ „ლახტში“ გამოაქვეყნა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გააგრძელა. მთავარი მიზანიც არ ავიწყდება: მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სამხატვრო სასწავლებლის დირექტორის სახელზე განცხადებას წერს, რომ გამოცდებზე დაუშვან. როგორც ჩანს, მხატვარს უარი უთხრეს და მხოლოდ ორი წლის შემდეგ ახერხებს ამ სასწავლებელში ჩარიცხვას.

როგორც თანამედროვეები იხსენებენ, მის სახელოსნოში იკრიბებოდნენ მოსკოვში მყოფი ქართველი სტუდენტები. ღამეები გადიოდა მსჯელობასა და ხელოვნების საკითხებზე კამათში. თვითონ შალვა, ჯანმრთელობაშერყეული და ხელოვნებაში სულით-ხორცამდე ჩაფლული, ბევრს მუშაობდა საკუთარ თავზე. სერგო კლდიაშვილი წერდა: „შალვა ქიქოძე ღრმად ერუდირებული ახალგაზრდა გახლდათ. არაჩვეულებრივად ერკვეოდა ხელოვნების ისტორიაში. შესანიშნავად იცნობდა იმდროინდელ ფრანგულ ხელოვნებას. განსაკუთრებით გატაცებით საუბრობდა იგი ვან-გოგზე და გოგენზე...“

შალვა ქიქოძე და სერგო კლდიაშვილი ვიბორგის მხარეში მოგზაურობდნენ. გაზაფხულის პირი იყო. ძალიან ციოდა. მათ კი ფული ცოტა ჰქონდათ. რა თქმა უნდა, სასიამოვნო მოგზაურობისათვის ეს დიდი დაბრკოლება იყო, მაგრამ შალვა ქიქოძე ნახულობდა იმას, რისი გადატანაც ფურცელზე უნდოდა... თუმცა არც ერთი იმდროინდელი ჩანახატი არ შემონახულა – ისევე, როგორც მისი ნამუშევრების თითქმის ნახევარი...

1918 წელს თბილისში დაბრუნდა. თანამშრომლობდა თეატრთან, აფორმებდა სპექტაკლებს. ვერიკო ანჯაფარიძის მოგონებიდან, ერთ-ერთი პიესის – „სარწმუნოების“ ირგვლივ: „სარწმუნოება“ ეგვიპტური მითოლოგიიდან იყო. მე, მთავარი მოქმედი პირის, იაუმას შემსრულებელს, უნდა მცმოდა ისტორიულად დაცული ეგვიპტური მძიმე სამოსი, ერთიმეორეზე ჩაცმული რამდენიმე კაბა. ამას მოითხოვდა გიორგი ჯაბადარი. შალვა ქიქოძე, როგორც ჩანს, არ ეთანხმებოდა მას. მე კი, თითქოს რაღაცა ხელს მიშლიდა, ვერ ვიგრძენი იაუმას როლი. გვიან მივხვდი, თურმე ჩაცმულობა მბოჭავდა... გავიხადე ჯერ ერთი, მერე მეორე კაბა და ბოლოს დავრჩი თხელ სამოსში – მხოლოდ მაშინ ვიგრძენი შვება... შევუთანხმე შალვას, იმასაც მოეწონა...“

რეჟისორისაგან განსხვავებულმა აზროვნებამ, მხატვარს 2 წლის შემდეგ დაატოვებინა სათეატრო სტუდია.

შალვა ქიქოძეს მოგზაურობა იტაცებდა. ცხენითა და ფეხით შემოუვლია ხევსურეთი, თუშეთი, კახეთი, აჭარა... 1919 წელს კი, ლადო გუდიაშვილსა და დავით კაკაბაძესთან ერთად, პარიზში სასწავლებლად გააგზავნეს. ძალზედ მეტყველია წერილი, რომელიც შალვა ქიქოძემ შუაგულ ევროპიდან მისწერა გამზრდელ ბებიას: „ძვირფასო ბებიკო, ჩემო ბებიკო, როგორ მენატრები, რომ იცოდე, ყველაფერს მირჩევნია ახლა შენთან პატარა სასადილო მაგიდასთან დამსვა. ერთი ბოთლი მაჭარი, პატარა წიწილა შემწვარი, ცხელი მჭადი, პატარა კვერი ყველით – ბავშვობაში რომ მიკეთებდი... შენ ვერ წარმოიდგენ, ბებიკო, როგორი ძვირფასია ჩემთვის ბახვის ყოველი კუნჭული... აქაური ცხოვრება უფლებას არ მაძლევს, რომ ხშირად ვიფიქრო ამაზე. მაგრამ როდესაც დავფიქრდები, მზადა ვარ, მთელი ევრო-

პა ვანაცვალო ჩემს პატარა ბახვს, ეზოს, ჭიშკარს, ქათმებს, გოჭებს, ვინ მოთვლის. შენ, ჩემო ბებიკო, ჩემი ნაზი სიყვარული და პირზე კოცნა. იცოცხლე და იყავ ჯანმრთელად. შენი შალვა“.

იშვიათია მსგავსი სინაზე... ევროპის ფეიერვერკულმა სილამაზემ ვერ მოხიბლა ისე, რომ საქართველოსთან განშორების ტკივილი განელებოდა. პირიქით, სამშობლოსაგან განშორება ექცა იმ სატანჯველად, რომელმაც შემდეგში მხატვარი ჩამოაყალიბა ისეთად, როგორიც დღეს ჩვენს წარმოდგენაში ცოცხლდება მისივე წერილებით: „მაშინ პირველად ვიგრძენი, თურმე რა ძნელი ყოფილა სამშობლოს მიწასთან განშორება. მე მთელი ჩემი ნებისყოფის მოკრება მომიხდა, რომ არ დამეყვირა. მეჩვენებოდა, რომ მე კი არ ვტოვებ სამშობლოს, არამედ მე მგლეჯენ მისგან...“

პარიზი სავსე იყო მხატვრებით, რომლებიც თითქმის ევროპის ყველა ქვეყნიდან (და არა მარტო ევროპიდან!) მისწყდომოდნენ მაშინდელი კულტურის მჩქეფარე ცენტრს. ქართველი მხატვრები უკვე საკმაოდ საინტერესო ხედვისა და ხელწერის ხელოვანნი იყვნენ. მათ დიდი გეგმებიც ჰქონდათ, მაგრამ მრავალი გეგმა არ განხორციელებულა, რადგან მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლებს უფრო და უფრო უჭირდათ სტიპენდიანტთა საფრანგეთში შენახვა. ქართველები შიშველი ენთუზიაზმის ამარა რჩებოდნენ... მაინც თავდაუზოგავად იღვწოდნენ. 1920 წელს შალვა ქიქოძე დას სწერდა: „... აქ გამოფენას ვაწყობ მარტში ან აპრილში. უნდა პარიზის გამოცდა დავიჭირო... მე მგონი, რომ შევძლებთ...“ წარმატებები ახლოს იყო, მაგრამ გამოფენის შემდეგ, როცა პარიზმა თბილად მიიღო ქართველ მხატვართა ნამუშევრები, როცა შალვა ქიქოძეს შეკვეთებიც გაუჩნდა, მისი ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა... მუდმივმა შიმშილმა და დუხჭირმა ცხოვრებამ თავისი ქნა. იქნებ სამშობლოში დაბრუნებულიყო?! დაჯდებოდა ბებიასთან ან მამასთან, პატარა ტაბლის სიახლოვეს, სითბოში, ყურადღების ცენტრში, ქართულ ლუკმას გატეხდა... თუ მთლად კარგად არ გახდებოდა, მონატრებულ გულს მაინც მოიოხებდა... მაგრამ არა: „უკანასკნელ წერილში შენ წუხილს გამოთქვამდი იმის გამო, რომ მე ჩემს სამუშაოს აქ ვერ შევასრულებდი და ისე დავბრუნდებოდი. შენ უნდა იცოდე, მამაჩემო, ის, რომ, თუ მე აქ ვზივარ, ეს მხოლოდ ჩემი სამშობლოსათვის და ყოველი დღე და საათი აწონილი და შეგნებული მაქვს. და რაკი სახელმწიფო მიწევს მფარველობას, იმასაც კარგად ვგრძნობ, თუ რა დიდი ვალდებულება მეკისრება ამით. მე წინათ გწერდი, თუ რანაირად მეძნელება მე ასეთი მფარველობა! მეძნელება ზნეობისათვის, მისთვის, რომ ჩემს თავს ძალიან კრიტიკულად ვუცქერი... ამისთვისაა, რომ საქმეს უბრალოდ არ ვეკიდები და ხელცარიელი არ დავბრუნდები...“

გარდაცვლილი მეგობრის მოგონება

შალვა ქიქოძე თავისი დასუსტებული ჯანმრთელობით, ავადმყოფი ფილტვებით, ისევ თავის შემოქმედებით სრულყოფაზე ფიქრობდა. უკვე დიდი ხანი იყო, გერმანიაში უნდოდა წასვლა და იქაური კულტურის შესწავლა. და აი, 1921 წლის 11 აგვისტოს დიდი ხნის მიზანი შეისრულა: კურორტ ბად-ნოინარში ჩავიდა. ფრაიბურგთან ახლოს, ჩასვლიდან მეექვსე დღეს, სეირნობისას ცუდად გახდა. ექიმთან წაიყვანეს. დიაგნოზი – ტუბერკულოზი იყო. ექიმმა ურჩია: საავადმყოფოში პნევმოთორაქსის გაკეთება. ამის შემდეგ თითქოს მოიხედა. დაიმედებული ავადმყოფი დავით კაკაბაძეს – თავის მეგობარს სწერდა: „... ექიმები მეუბნებიან, რომ პნევმოთორაქსის შემდეგ, თუ დაზიანებული ფილტვის ადგილი ამოშენდა, ჰაერის უკან შეშვება ფილტვის აღდგენას დაეხმარება. ესეც რომ არ იყოს, ერთი ფილტვით სრულიად თავისუფლად შეუძლია კაცს მუშაობა და ცხოვრება... ვნახოთ, რა იქნება. ეხლა, თხოვნა, ჩემო დათიკო. ამ ამბავს გწერ მხოლოდ შენ და სხვას არავის... აგრეთვე, დათიკო, მე ალბათ ოქტომბრის დამლევამდე ვერ მოვახერხებ პარიზისკენ გამომგზავრებაზე ფიქრს. ჩვენი სურათები (უკანასკნელი ჩვენი ქონება) ერთად აწყვია ჩემს ატელიეში... შეიარე ხანდახან, (იქ) კარგი ყმაწვილია, ატელიედან არ გადავიდეს და სურათები ღვთის ანაბარად არ დარჩეს... უჰ, იმდენად დავსუსტდი და დავიღალე, რომ თავი მიბრუის და ასოებს ვეღარ ვხედავ...“

ეს უკანასკნელი წერილია: 1921 წლის 7 ნოემბერს დაუნდობელი ავადმყოფობის მსხვერპლი, მხატვარი შალვა ქიქოძე ფრაიბურგის მიწას მიაბარეს იქაურმა ქართველებმა.

გერმანიის მიწამ ჩაიკრა პატარა საქართველოს უსაზღვროდ მონატრებული, მისგან, თითქოს, „ძალით მოგლეჯილი“ 26 წლის მხატვრის გული. ■

FAMKE JANSSEN

ᲤᲐᲛᲙᲔ ᲘᲐᲜᲡᲔᲜᲘ
ᲧᲕᲔᲚᲘ-ᲧᲣᲠᲯᲘᲚᲘ

ᲯᲔᲘᲛᲡ ᲑᲝᲜᲓᲘᲡᲔᲣᲚ ᲑᲝᲚᲔᲕᲘᲐᲨᲘ – „ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲕᲐᲚᲘ" ᲒᲛᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲛᲐᲛᲐᲯᲐᲪᲔᲑᲡ ᲐᲮᲠᲩᲝᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲘᲗ ᲯᲘᲡᲔᲠᲡ ᲣᲒᲠᲔᲮᲓᲐ. „ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲘᲥᲡ"-ᲨᲘ ᲘᲡ ᲛᲢᲠᲔᲑᲡ ᲢᲔᲚᲔᲯᲘᲜᲔᲖᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲓᲐ, ᲮᲝᲚᲝ „ᲤᲐᲯᲣᲚᲢᲔᲢᲨᲘ" ᲛᲐᲜ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲡᲐᲮᲘᲔᲠᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲡᲮᲔᲣᲚᲨᲘᲪ ᲣᲪᲮᲝᲞᲚᲐᲜᲔᲢᲔᲚᲘ ᲩᲐᲡᲐᲮᲚᲓᲐ.

ᲫᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲤᲐᲛᲯᲔ ᲘᲐᲜᲡᲔᲜᲘ ᲝᲗᲮ ᲔᲜᲐᲡ ᲤᲚᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲝᲠᲘ – ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲐᲥᲕᲡ.

მსახიობ ფამკე იანსენს „აშშ-ში ნიდერლანდური ექსპორტის ყველაზე გრძელფეხება ქმნილებას" უწოდებენ. ის ბავშვობიდან განიცდიდა, რომ სხვებს არ ჰგავდა. როცა გოგონა 12 წლის იყო, თანაკლასელები მის გვერდით პიგმეებს ჰგავდნენ. უნივერსიტეტში ყველა სტუდენტი სწავლაზე ფიქრობდა, ის კი მსახიობობაზე ოცნებობდა. როდესაც 1984 წელს საცხოვრებლად ნიუ-იორკში გადავიდა, კვარტალში ის ერთადერთი ჰოლანდიელი იყო.

„მე ჰოლანდიურად ლაპარაკიც კი დამავიწყდა, – წუხს ფამკე. – სიზმრებიც კი „ამერიკული" მქონდა, ინგლისურად ვაზროვნებ. ახლახან ჰოლანდიის ტელევიზიას ინტერვიუზე დავთანხმდი და კინაღამ სირცხვილით დავიწვი – ნორმალურად ვერც ერთი ფრაზის წარმოთქმა ვერ შევძელი!"

დიდების ფასი საკმაოდ მაღალი აღმოჩნდა. მაგრამ იანსენს არ სურს ბოლომდე ამერიკანიზება – ის უწინდებურად ინარჩუნებს ჰოლანდიის მოქალაქეობას, აშშ-ში მხოლოდ ცხოვრების უფლება აქვს მიღებული, ცხოვრებას კი ნიუ-იორკში ამჯობინებს („ლოს-ანჯელესში არანორმალური ადამიანები ცხოვრობენ, რომლებიც კინოს გარდა, არაფერზე საუბრობენ"). კინოსთან დამოკიდებულებაც კი, უფრო ევროპული აქვს, ვიდრე ამერიკული. ბოევიკებში უამრავი მიწვევის მიუხედავად, იანსენი ხშირად მონაწილეობს მცირებიუჯეტიან საავტორო ფილმებში – მაგალითად, შარშან გადაღებულ კომედიაში „სიყვარული და სექსი" (მწერალი ქალის შესახებ, რომელიც იდეალურ სექსპარტნიორებზე სტატიის წერისას მამაკაცებთან თავის სავალალო ურთიერთობებს იხსენებს). აღსანიშნავია ისიც, რომ „სიყვარული და სექსი" რეჟისორმა ქალმა – ვალერი ბრეიმანმა გადაიღო. რეჟისორი მამაკაცები იანსენში მხოლოდ ბოევიკების გმირს ხედავენ. ახლახან მან მონაწილეობა მიიღო კრიმინალურ ფილმში „შესრულებულია", წინ კი ელოდება როლი ბოევიკში – „არც ერთი სიტყვა არ წარმოთქვა", სადაც მას პარტნიორობას მაიკლ დუგლასი გაუწევს.

თუმცა იანსენი ძალიან არ განიცდის თავის ეკრანულ იმიჯს – მთელი ათი წელი ხომ ის უმუშევარი იყო!

იანსენი 1964 წლის 1 იანვარს ამსტერდამში დაიბადა. მისი სახელი – ფამკე, თვით ჰოლანდიაშიც იშვიათობაა და ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის ერთ-ერთ დიალექტზე „პატარა გოგონას" ნიშნავს. ვინც იმას ფიქრობს, რომ მშობლებმა ასეთი უცნაური სახელი გოგონას მომავალ კინოკარიერაზე ზრუნვით დაარქვეს – ნამდვილად ცდება, ფამკე მეტისმეტად მორცხვი იყო და ბავშვობაში კინოზე არც კი უოცნებია. როცა 20 წლის გოგონა სტუდენტი იყო, ის ქუჩაში ვიღაც მამაკაცმა გააჩერა და კატალოგისთვის პოზირება შესთავაზა. იანსენი შეშინდა, შინისკენ გაიქცა და დებს მოუყვა, როგორ უპირებდა შეცდენას ვიღაც საეჭვო ტიპი. დები ფამკეს მთელი საღამო დასცინოდნენ, იანსენმა დაცინვას ვერ გაუძლო, თავად წავიდა სარეკლამო სააგენტოში და სამუშაოზე მოწყობა სცადა.

რამდენიმე დღეში ფამკე პროფესიონალი ფოტომოდელი გახდა. სულ



კადრი ფილმიდან „ადამიანები იქს“

მალე აშშ-ში გაემგზავრა, სააგენტო ELITE-თან კონტრაქტი გააფორმა და კოლუმბიის უნივერსიტეტის ინგლისური ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩააბარა („რათა ტვინი არ დამჟანგებოდა“). სტუდენტურ თეატრში მოხვედრილ იანსენს დრამის მასწავლებელმა უთხრა, რომ ის მოწოდებით მსახიობი იყო. ამით ფრთაშესხმული გოგონა ჰოლივუდში გაემგზავრა, სადაც რამდენიმე წელი, სულელურ ფილმებში, მეორეხარისხოვან როლებს ასრულებდა.

მისი პირველი შესამჩნევი როლი, ქილერი ქალის – ქსენია ონატოპის სახე გახდა ჯეიმს ბონდისეულ ბოევიკში „ოქროს თვალი“. სინჯების დროს ფამკე დარწმუნებული იყო, რომ როლს ვერ მიიღებდა და სწორედ ასეთი – წყნარი და მიუწვდომელი მოეწონათ პროდიუსერებს.

როლზე დამტკიცების შემდეგ იანსენმა გადაწყვიტა, ქსენია აგენტ 007-ური ქალის ვარიანტის დარად შეესრულებინა. „ქსენია თვლის, რომ მკვლელობა სექსუალური აქტის შეწყვეტის საუკეთესო საშუალებაა, – უდარდელად აღნიშნავდა იანსენი „ოქროს თვალის“ პრემიერაზე. – რატომ განიკითხავთ მას, და აღფრთოვანებული ხართ ბონდით, რომელიც დაუნდობლად ხოცავს ადამიანებს. ქსენია – ბონდის მრუდე ანარეკლია“.

„ოქროს თვალში“ შესრულებული როლისთვის იანსენი ნომინირებული

იყო MTV-ს პრემიაზე – „საუკეთესო ბოროტმოქმედის“ და „საუკეთესო მოჩხუბრის“ კატეგორიებით, თუმცა ამ ბოლო ნომინაციაზე ხანგრძლივი კამათი მიმდინარეობდა – შოკის მომგვრელი ეპიზოდი „საუკეთესო ჩხუბად“ ჩაეთვალათ თუ „საუკეთესო სასიყვარულო სცენად“?

„ადამიანები იქს“-ის დამდგმელი ბრაიან სინგერი ამბობს, რომ იანსენს ყურადღება სწორედ „ოქროს თვალში“ მიაქცია. „ის არაჩვეულებრივ ქალად მომეჩვენა, – გამოტყდა ბრაიანი მოგვიანებით. – მივხვდი, მისი გადაღება მსურდა, მაგრამ ეჭვი მეპარებოდა, შევძლებდი თუ არა ამ ქალის საკადრისი როლის პოვნას“; როცა ხუთი წლის შემდეგ ის „ადამიანები იქს“-ის გადაღების კონტრაქტს აწერდა ხელს, წინასწარ სპეციალურად მოელაპარაკა პროდიუსერებს, რომ მუტანტი-ქალის, ჯინ გრეის როლზე ფამკე იანსენს მიიწვევდა, რა თქმა უნდა, თუ მსახიობი იქნებოდა თანახმა. რეჟისორმა იანსენის დაყოლიება შეძლო, შეჰპირდა, რომ სავსებით რეალისტურ ფილმს გადაიღებდა ფანტასტიკური გმირების შესახებ. ფამკემ გამოწვევა მიიღო და იმდენად დამაჯერებლად ითამაშა, რომ სტუდიამ მაშინვე გაუფორმა კონტრაქტი ფილმის გაგრძელებაში მონაწილეობაზე.

პროფესიული წარმატებები დამღუპველად აისახა პირად ცხოვრებაზე. გასულ წელს იანსენი ქმარს, სცენარისტსა და რეჟისორს ტოდ კიპ უილიამსს გაშორდა, რომელთან ერთადაც 11 წელი იცხოვრა. 1987 წელს მათ ერთმანეთი გაიცნეს, 1988 წელს შეუღლდნენ, 1998 წელს ქმარმა იანსენი გადაიღო ფილმში „სებასტიან კოულის თავგადასავალი“...

„ამის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა გამოიფიტა, – სევდიანად ამბობს იანსენი. – ხანდახან 11 წლიანი თანაცხოვრებაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ წყვილი იდეალური არ არის“.

იანსენი ირწმუნება, რომ დღეს თავს მარტოსულად არ გრძნობს, და დასძენს, რომ ჯერჯერობით ოჯახისა და შვილების ყოლის არავითარი სურვილი არა აქვს. ამასთან, არ გამორიცხავს, რომ მის ცხოვრებაში ახალი მამაკაციც გაჩნდება. იანსენი ამბობს, რომ ძლიერი სქესის წარმომადგენლებში მას ჭკუა და იუმორის გრძნობა („ეს ყველაზე მთავარია“) ხიბლავს, მაგრამ ძალიან აღიზიანებს მედიდურობა.

„ეს თვისება ქალშიც ზიზღს მგვრის, – ამბობს იანსენი, – მამაკაცებში კი საერთოდ აუტანელია. ვერ ვიტან ადამიანებს, რომლებიც საკუთარ თავზე არიან კონცენტრირებულნი და საათობით შეუძლიათ თავიანთ შეუცვლელობასა და მნიშვნელოვნებაზე საუბარი. მამაკაცთან ურთიერთობის საუკეთესო დრო დილაა, როცა ის საწოლშია, ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუფხიზლებელი, თმაგაჩეჩილი, გაუპარსავი და ნამძინარევი ხმით საუბრობს... რა საწყენია, რომ კაცები მუდამ ასეთები არ არიან...“

■

ᲫᲐᲚᲚᲘ ᲝᲗᲮᲤᲔᲮᲐ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ, ᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘ

ძალიან ცოტანი არიან ადამიანები, რომლებიც სიმპათიური ლეკვის შეძენისას, კარგად აცნობიერებენ, რისთვის დასჭირდათ იგი. ლეკვი შეუმჩნევლად იზრდება, საკმაოდ სოლიდურ გაბარიტებს აღწევს, ან, პირიქით — ბეწვიან პატარა არსებად რჩება, რომელიც თუ კბილებს ჩაგავლებთ, თავს ვეღარ დაიხსნით, ყეფა კი ისეთი იცის — გაგაყრუებთ. ამიტომაც ხშირად ხდება ხოლმე, რომ პატრონმა აღარც კი იცის, რა უყოს თავის ოთხფეხა მეგობარს — სახლის მცველის მისია დააკისროს თუ მშვენიერ შინაურ სათამაშოდ აქციოს.

აქედან გამომდინარე, ძაღლის დანიშნულება დიდი ხნით ადრე უნდა განსაზღვროთ, ვიდრე მას შინ მიიყვანთ. ძაღლი შეიძლება დარაჯად, პირად მცველად, წარმოიდგინეთ — კომპანიონადაც კი გამოიყენოთ. მთავარი კი თქვენი სურვილია.

ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲝᲜᲘ (ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ) ᲫᲐᲦᲚᲘ

მშვიდად, დარბაისლურად ჩაუვლის კატებს, მჩხავანა ჩვილსა და ბოთლით ხელში მობარბაცე ლოთებს. არავის დაუყეფს, არავის დაკბენს და არც შეაშინებს. ის შეიძლება უღვედოდ და უნიღბოდ ასეირნოთ, რადგან კომპანიონი ძაღლის მთავარი დანიშნულებაა – ახლდეს პატრონს განმარტოებით სეირნობისას და მხოლოდ გაულამაზოს ცხოვრება.

ჯიში: ნებისმიერი. თუმცა, თუ ამ ფუნქციისთვის არჩევანს კავკასიურ ნაგაზსა ან სტაფორდზე შეაჩერებთ, ყველაზე ნაკლებად აგრესიული მშობლების ყველაზე კეთილი ლეკვი აირჩიეთ. და მაინც, ამ შემთხვევაში, უღვედოდ სეირნობას არ გირჩევთ: თქვენი ძაღლი ძალიან კარგად გაწვრთნილიც შეიძლება იყოს, არც იკბინებოდეს, მაგრამ გარშემომყოფთ მაინც შეაშფოთებს, რადგან ისინი მანამდე შეიძლება დავარდნენ გულწასულები ან უკან მოუხედავად მოკურცხლონ, ვიდრე თქვენ ამის დამტკიცებას მოასწრებთ.

იდეალური ვარიანტი: ოქროსფერი რეტროვერი, ნიუფაუნდლენდი, სენბერნარი და ნებისმიერი იმ ჯიშის ძაღლი, რომელიც იმთავითვე გამოიყვანეს საიმისოდ, რომ უყვარდეს ადამიანები და არა იმისთვის, რომ მიეპაროს და დაკბინოს ისინი.

სად გავწვრთნათ: ნებისმიერ პროფესიონალ ინსტრუქტორთან ან ნებისმიერ საწვრთნელ მოედანზე ე.წ. „წვრთნის საერთო კურსის“, „მორჩილების საერთო კურსისა“ და „ქალაქის ძაღლის“ პროგრამების მიხედვით.

ᲫᲐᲦᲚᲘ – ᲞᲘᲠᲐᲓᲘ ᲛᲪᲕᲔᲚᲘ

საკმაოდ პოპულარული ხდება ჩვენს ფრიად სახიფათო ქვეყანაში. სავარაუდოდ, შეუძლია ნებისმიერი ბოროტმოქმედისა ან მთელი ჯგუფისგან იხსნას პატრონი. მაღლა ხტება, სწრაფად დარბის, კარგად იკბინება, აქვს დანის, ჯოხისა და პისტოლეტისგან დამნაშავის განიარაღების უნარი. ამასთანავე, ყოფით სიტუაციაში მშვიდი, დელიკატური და სიმპათიურია.



თუ ინსტრუქტორი პირადი მცველის გამოზრდას კოლის ან იორკშირელი ტერიერისგან დაგპირდათ, არ დაუჯეროთ – უმოწყალოდ გატყუებენ, რათა მხოლოდ დიდძალი თანხა გამოგტყუონ. კარგ მცველად, შესაბამისი ჯიშის ნებისმიერი ძაღლიც როდი გამოდგება. თუნდაც იმიტომ, რომ ამ ფუნქციის შესასრულებლად, ძაღლი აბსოლუტური გულადობით, დიდი გონიერებით, თავშეკავებულობითა და სიტუაციის შეფასების დამოუკიდებელი უნარითაც უნდა გამოირჩეოდეს – სხვა შემთხვევაში, პატრონისკენ გამოწვდილ ნებისმიერ ხელს შეიძლება ეძგეროს.

იდეალური ვარიანტი: როტვეილერი, ნაგაზი, შავი ტერიერი, ბოქსიორი.

სად გავწვრთნათ: იმავე მოედანზე, იმავე ინსტრუქტორთან, „დაცვით-საყარაულო სამსახურისა“ ან „ძაღლი-პირადი მცველი“-ს პროგრამების მიხედვით. ოღონდ, მანამდე ძაღლს შერჩევის სპეციალური ტესტები უნდა გაატაროთ.

ᲓᲐᲠᲐᲯᲘ

ვალდებულია პატრონს უჩვენოს უცხო სუბიექტის გამოჩენა ხმით ან სპეციალური ნაბულით (დგომით).

თუ თქვენ მოკრძალებული საგარეუბნო სახლისა და რამდენიმე ასეული კვ მეტრის მიწის ნაკვეთის მფლობელი ხართ, მაშინ თქვენს მცველს აუცილებლად მოუწევს ხმამაღლა ყეფა, რათა

გაუწყოთ, რომ მეზობელი ბიჭები თქვენს ხეხილსა თუ ბოსტანზე იერიშს აპირებენ.

ჯიში: რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ – ნებისმიერი. თუ მცველის ამოცანა მხოლოდ ის არის, რომ დაუპატიჟებელი სტუმრების გამოჩენა გაუწყოთ, გოშიაც კი გამოგადგებათ – მთავარია, კარგად მჟღერი ხმა ჰქონდეს. მაგრამ თუ მას ამ „სტუმრების“ გაძევების ფუნქციას აკისრებთ, მაშინ, ცხადია, ტანადი და ეშვებიანი ძაღლი გჭირდებათ. მაგალითად, იგივე როტვეილერი ან ნაგაზი.

იდეალური ვარიანტი: კავკასიური, შუაზიური, გერმანული ნაგაზები.

ძაღლი-სპორტსმენი

ის მარდად ახერხებს დაბრკოლებების გადალახვას, გველივით დაცოცავს, ადის კიბეზე, თხილამურებზე შემდგარსაც დაგეხმარებათ და უამრავ სხვა ილეთსაც ჩაატარებს თქვენი ხათრით. თანაც, მთელ თავდადებას უბრალო რაღაცის – მხოლოდ თქვენი სიამოვნებისთვის ჩაიდენს.

ჯიში: ამ საქმისთვის მართლაც ნებისმიერი ძაღლი გამოდგება – სპორტში ყველა ჩემპიონია: ჩვეულებრივი ქოფაკიც და ეგზოტიკური ძაღლებიც. მთავარი აქაც მხოლოდ თქვენი სურვილი და არჩევანია.

სად შევიძინოთ

ძაღლის მოყვარულთა კლუბში საკლუბო ლეკვი საკმაოდ ძვირი ღირს, სამაგიეროდ იმის გარანტია გექნებათ, რომ ხელში სწორედ ის ჯიში შეგრჩებათ, რომელიც გსურდათ. კარგ კლუბში კი, ნაღდ საბუთებსაც მოგართმევენ და კვალიფიციურ კინოლოგ კონსულტანტსაც შეგირჩევენ, რომელიც მზად იქნება, თუნდაც ღამის სამ საათზე გიპასუხოთ ყველა კითხვაზე.

ჯერძო განცხადებების მეშვეობით

არცთუ ისე ცუდი ვარიანტია, რადგან ამგვარ განცხადებებს გაზეთებსა და სპეციალურ პრესაში პროფესიონალები და ის მოყვარული კინოლოგები აქვეყნებენ, ვინც თავიანთი ოთხფეხა მეგობრების შთამომავლებით ზედმეტ ფულს შოულობენ. ამიტომ დიდი შანსი გაქვთ, საკმაოდ კარგი, ზოგ შემთხვევაში კი ელიტის წარმომადგენელთა პირმშო ჩაგივარდეთ ხელში. სხვა თუ არაფერი, პატრონისგან მიიღებთ ძალზედ დაწვრილებით კონსულტაციას იმის თაობაზე, თუ რით უნდა კვებოთ ლეკვი და როგორ გამოზარდოთ ერთგულ მეგობრად.

ცხოველთა ბაზარზე

აქაც შესაძლებელია სავსებით ნორმალური ლეკვის შეძენა, თანაც არცთუ ისე ძვირად, ოღონდ საჭიროა, თან გყავდეთ ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა ძაღლის ჯიშებში, რათა თავი დაიზღვიოთ თაღლითისაგან, რომელმაც შეიძლება წუნიანი ან დაავადებული ლეკვი შემოგაჩეჩოთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ ცხოველთა ბაზრებზე ხშირად დახეტიალობენ სპეციალისტები, რომლებიც ცდილობენ, ყალბსაბუთიანი ლეკვი შემოგაძლიონ – თითქოს ის სახელგანთქმული მშობლების შთამომავალია.

თუმცა, თუ თქვენ მომავალი მედალოსნის ყოლაზე არ ოცნებობთ და უბრალოდ, მეგობარი გჭირდებათ, არც ეს არის დიდი ტრაგედია.

ძაღლების თავშესაფარში

ეს ადგილი ძაღლის შეძენის საუკეთესო და ყველაზე ჰუმანური საშუალებაა. წარმოიდგინეთ, თუ რა მიუსაფრად, დაუცველად და ეულად გრძნობს თავს ცხოველი ამგვარ დაწესეულებაში და დარწმუნდებით, რომ ვერც ერთი ქალი (თუ, ცხადია, მამაკაცი ბრძანდებით) ვერ დაგაჯილდოებთ იმგვარი სიყვარულითა და ერთგულებით, როგორსაც თავშესაფრიდან წამოყვანილი ლეკვი გაჩუქებთ.

ქუჩაში

ყველაზე ხშირად, ქუჩიდან მაინც კნუტები აჰყავთ ხოლმე. მაგრამ ზოგჯერ ლეკვებიც შეგხვდებათ და მათ შორის ძალზედ სიმპათიურებიც გამოერევიან ხოლმე. თუმცა ამ ხერხს ერთი სერიოზული პრობლემა ახლავს: შეუძლებელია, ზუსტად განჭვრიტოთ, თუ როგორი გარეგნობა და გაბარიტები ექნება ნაგვის კონტეინერთან მოკანკალე ამ მიმზიდველ არსებას მომავალში.

ხვადი თუ ძუნა

სპეციალისტების დაკვირვებით, ძუკნა უფრო კონტაქტური და თვინიერია. ის უფრო ადვილად ემორჩილება პატრონს და, ჩვეულებისამებრ, უფრო მოკრძალებული ზომების არის. ძუკნებს ორი ძირითადი ნაკლი აქვთ: მცველად ხვადებზე სუსტად მუშაობენ და, მეორე – წელიწადში ორჯერ კრიტიკული დღეები აქვთ და თითოეული 30 დღემდე გრძელდება.

ხვადი, ჯიშის თვალსაჩინო წარმომადგენელია, უფრო სწორხაზოვანი, მოუხეშავი და დამოუკიდებელი არსებაა. ყოველთვის ცდილობს, ოჯახის უფროსად „დაჯდეს“, თუმცა თუ მის ამ პრეტენზიებს სერიოზულად დაუპირისპირდებით, გაიჩენთ მეგობარს, რომელიც არასოდეს მიგატოვებთ ლხინსა თუ გაჭირვებაში. აქ ერთი დიდი პრობლემის წინაშე დადგებით – ის ძუკნებთან ურთიერთობას უკავშირდება. სწორედ წელიწადში ორჯერ, როცა ძუკნებს კრიტიკული დღეები აქვთ, ხვადს გონება ერევა, რაც სავსებით გასაგებია.

ფასები

გასაგებია, რომ ამ საკითხში აბსოლუტური მაქსიმუმი და მინიმუმი არ არსებობს. თითოეულ ჯიშს თავისი საშუალო ნიშნული აქვს: მაგალითად, გერმანული ნაგაზის კარგი ლეკვი 250 დოლარამდე დაგიჯდებათ, საუცხოო ეგზემპლარი – 500-დან 800-მდე, ელიტის კი (ცნობილ დასავლელ მწარმოებელთა დოკუმენტებით) შეიძლება რამდენიმე ათასამდეც ავიდეს. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა. თუმცა, ერთი რამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ: თუ ძაღლი მხოლოდ გასართობად გჭირდებათ, მაინცდამაინც ჩემპიონის ნაშიერს ნუ დაადგამთ თვალს – ამას არანაირი აზრი არა აქვს.

■

თამარ მამაცაშვილი

როგორ უნდა იკვებებოდეს მეძუძური დედა

საუკეთესო საკვები, რომელიც უზრუნველყოფს ახალშობილის ოპტიმალურ განვითარებას, არის დედის რძე, მაგრამ ეს მაშინ, თუ დედა ჯანმრთელია და იგი სწორად იკვებება. ბავშვის კვება დედის რძით „ბუნებრივ კვებად“ იწოდება. სწორედ უფალმა მიანიჭა დედის ძუძუდან ბუნებრივად გადმოსულ სითხეს ყველა ის თვისება, რაც ახალშობილის საკვებს ესაჭიროება: მასში ბავშვისათვის აუცილებელი შემადგენლობით შედის ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, მინერალური მარილები, მიკროელემენტები, ვიტამინები, ფერმენტები, ჰორმონები, ბავშვის დამცავი ანტისხეულები; იგი ყოველთვის „შემთბარია“ სასურველ ტემპერატურამდე, სტერილურია, ყოველთვის ახალია, კარგად ათვისებადია ჩვილისათვის. სამწუხაროდ, დედის რძის ამ უდავოდ ღირებულ თვისებებს ბევრი დედა არად დაგიდევთ და საკუთარი ფიგურის შენარჩუნებისა თუ „თავისუფლების“ მოპოვების მიზნით, აკლებს თავის პატარას ბუნებრივ სიმდიდრეს – გადაჰყავს იგი ხელოვნურ კვებაზე. ასეთი საქციელი საკუთარი შვილის მიმართ ჩადენილი ეგოისტური დანაშაულია.

საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა ბავშვს აკლდება დედის რძე, იმის გამოც, რომ დედა არასწორად იკვებება და არასრულფასოვნად ისვენებს. დედის სარძევე ჯირკვლები დღეში დაახლოებით 1200 მლ რძეს გამოიმუშავებს, ამიტომ მეძუძური დედის დღის რაციონის კალორიულობა უნდა გაიზარდოს 1000 კკალ-ით. დღის განმავლობაში ქალის მიერ მიღებული პროდუქტების ჩამონათვალი უნდა შეიცავდეს 200 გ ხორცს (საქონლის ან ქათმის), 20-30 გ ყველს, 100-150 გ ხაჭოს, 1 კვერცხს, 50 გ კარაქს, 1 ლ-მდე რძეს, 200-300 გ ხილს, 500-600 გ ბოსტნეულს (მათ შორის კარტოფილი უნდა იყოს არაუმეტეს 1/3-ისა).

მენიუში უნდა შეიტანოთ წიწიბურა, მანანის ბურღული, წვენები, კომპოტი. უნდა ერიდოთ ცხარე და მწარე საჭმელს. ნიორმა რძეს შეიძლება მისცეს არასასიამოვნო გემო. თანდათანობით შეიტანეთ რაციონში ცოცხალი ხილი და ბოსტნეული. თუ ზამთრის პერიოდში მოგიწიათ ბავშვის კვება, ყოველდღიურად უნდა მიიღოთ პოლივიტამინის კომპლექსი (მაგალითად გენდევიტი), რაც უზრუნველყოფს თქვენს რძეს ვიტამინების სასურველი რაოდენობით.

საკვები უნდა მიიღოთ დღეში 5-6-ჯერ ბავშვის კვების წინ. ეს ხელს უწყობს რძის წარმოქმნას. მიღებული სითხის საერთო რაოდენობა უნდა იყოს 2 ლ-მდე.

დედას ესაჭიროება კარგი დასვენება, ძილი, სუფთა ჰაერი: ოჯახის წევრებმა უნდა იზრუნონ, რომ ქალმა ღამით იძინოს 8 სთ-მდე.

გადადის თუ არა დედის მიერ მიღებული წამლები რძეში? გადადის და შესაძლოა, პატარას დიდი ზიანიც მიაყენოს. მაგალითად, ანტიბიოტიკები ან სხვა ანტიმიკრობული პრეპარატები, რომელიც დედის რძით მოხვდება ჩვილის კუჭ-ნაწლავში, თრგუნავს ნაწლავურ ფლორას, რომელიც აუცილებელია მონელების პროცესისათვის და ბავშვს უვითარდება ე.წ. დისბაქტერიოზი.

დედის მიერ სტრეპტომიცინის მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის დაყრუება; ტეტრაციკლინის ჯგუფის ანტიბიოტიკები არღვევს ბავშვის სარძევე კბილების ამოჭრის პროცესს; ნევიგრამონი იწვევს ანემიას ახალშობილში. თუ დედა, წნევის მომატების გამო, დალევს რეზერპინს, ეს გამოიწვევს ბავშვის ზედა სასუნთქი გზების შეშუპებას, აძნელებს სუნთქვას, პატარას უჭირს ძუძუს წოვა. დედის მიერ მიღებული საძილე პრეპარატები თრგუნავს ბავშვის ცენტრალურ ნერვულ სისტემას. იგი მივარდნილია, ცუდად ჭამს. ამ წამლების ხანგრძლივმა გამოყენებამ შეიძლება ბავშვის ფიზიკურ განვითარებაზეც იმოქმედოს.

ასეთი ძლიერი გვერდითი მოქმედების მქონე წამლები მრავლადაა, ამიტომ დედამ ექიმის დაუკითხავად არ უნდა ჩაიტაროს მედიკამენტური თერაპია.

ძუძუთი კვების დროს დედას კატეგორიულად ეკრძალება სიგარეტის წევა. ნიკოტინის სასიკვდილო დოზა ბავშვისთვის არის 1 მგ 1 კგ წონაზე. მწეველი დედის რძე კი შეიცავს 0,5 მგ ნიკოტინს. ასეთი ქალების შვილები მოუსვენრები არიან, ცუდად სძინავთ. უარს ამბობენ ძუძუზე, აწუხებთ კუჭ-ნაწლავის მოშლილობა, ცუდად ვითარდებიან: მათ ხომ დედა გამუდმებით წამლავს.

ალკოჰოლი უძლიერესი შხამია ახალშობილისთვის. დედის რძით მიღებული ალკოჰოლი ამცირებს ბავშვის თავდაცვისუნარიანობას, ასუსტებს ორგანიზმს, არღვევს ცალკეულ ორგანოთა და სისტემათა ფუნქციებს. განსაკუთრებით ზიანდება ცენტრალური ნერვული სისტემა.

ამრიგად, დედამ უნდა იცხოვროს ჯანსაღი ცხოვრებით, რათა ბავშვი უზრუნველყოს სრულყოფილი საკვებით.

ახლა კი შემოგთავაზებთ რამდენიმე რჩევას მეძუძურობის პერიოდში სარძევე ჯირკვლების უკეთ ფუნქციონირებისათვის, რათა თქვენს შვილს არ დააკლდეს დედის სრულყოფილი რძე:

1. რეგულარულად მიიღეთ კატაბალახას (ვალერიანის) წვეთები – 30 წვეთი 3-ჯერ დღეში ან კატაბალახას ძირების ნაყენი.

2. 1 ჭიქა ხორბალს დაასხით 2 ლ წყალი, ადუღეთ ნახევარი საათი. მიიღეთ თბილ-თბილი ნახარში, დღის განმავლობაში.

3. ანალოგიურად მოამზადეთ ქერის ნახარში და სვით.

4. ადუღეთ 1 ლ წყალი და დაუმატეთ 1 სუფრის კოვზი მანანის ბურღული უწყვეტი მორევით. დაატკბეთ 3 ჩაის კოვზი შაქრით, ადუღეთ 5 წთ დალიეთ ცხელ-ცხელი.

ეს ნახარშები აუმჯობესებს ლაქტაციას – რძის წარმოქმნის პროცესს.

მინერალები

კალიუმი (K) – აქტიურად მონაწილეობს წყალ-მარილოვან ცვლაში. გულ-სისხლძარღვთა, ნერვული და ბევრი სხვა სისტემის მუშაობისთვის კალიუმი აუცილებელი კომპონენტია.

კალციუმი (Ca) – აუცილებელია ძვლების წარმოქმნისა და მათი სტრუქტურის შენარჩუნებისთვის; არეგულირებს არტერიულ წნევას, მონაწილეობს საჭმლის მონელებისა და სისხლის შედედების პროცესში.

ქრომი (Cr) – საჭიროა ჰორმონ ინსულინის წარმოსაქმნელად.

იოდი (I) – შედის ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონთა შემადგენლობაში. იოდის უკმარისობა ან მისი დოზის გადაჭარბება იწვევს ღრმა ცვლილებებს ორგანიზმში. საკვებში იოდის ძირითად წყაროს წარმოადგენს იოდიზირებული მარილი.

რკინა (Fe) – აუცილებელია ჰემოგლობინის წარმოსაქმნელად. რკინადეფიციტური ანემია ორსულ ქალთა გავრცელებული პრობლემაა. რკინის პრეპარატების დიდი დოზები მომწამვლელია.

მაგნიუმი (Mg) – საჭიროა ჯანსაღი ძვლებისა და კბილებისათვის. იცავს ორგანიზმს გულის დაავადებებისაგან. დიდი დოზით მიღებისას აქვს საფაღარათო მოქმედება.

სელენიუმი (Se) – ანტიოქსიდანტია, ეწინააღმდეგება დაბერების პროცესს. ამცირებს სიმსივნის განვითარების რისკს. დიდი დოზით მიღება საშიშია ორსულებისთვის.

თუთია (Zn) – აუცილებელია ზრდისა და გამრავლებისათვის. აგრეთვე გრძნობათა ორგანოების – მხედველობის, გემოვნების, ყნოსვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. ამ მიკროელემენტს განსაკუთრებით საჭიროებს წინამდებარე ჯირკვალი (პროსტატა).

მიირთვით მწვანე ჩაი

მწვანე ჩაი ოდითგანვე ითვლებოდა დღეგრძელობის ელექსირად – მას იყენებდნენ, როგორც სამკურნალო, ასევე პროფილაქტიკური თვალსაზრისითაც. ამჟამად ეჭვს აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ მართლაც საკმაოდ ეფექტურია მწვანე ჩაის გამოყენება მრავალი დაავადების სამკურნალოდ და თავდასაცავად. მწვანე ჩაი შეიცავს შემდეგ ნივთიერებებს:

1. **კატექინები** (ძირითადი ინგრედიენტი) – ამცირებს კიბოთი დაავადების ალბათობას, დაბლა სწევს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, არეგულირებს არტერიულ წნევას, აქტიური ჟანგბადის მეშვეობით ამცირებს მჟავიანობის დონეს.
2. **E ვიტამინი** – როგორც ანტიოქსიდანტი, აფერხებს დაბერების პროცესს.
3. **C ვიტამინი** – ამცირებს სტრესების გავლენას ორგანიზმზე, ზრდის მის მდგრადობას ინფექციებისადმი.
4. **B ჯგუფის ვიტამინები** – ხელს უწყობს ნახშირწყლების ცვლას.
5. **ფლავონოიდები** – ამაგრებს სისხლძარღვთა კედლებს.
6. **პოლისაქარიდები** – აქვეითებს შაქრის დონეს სისხლში.
7. **ფტორი** – ებრძვის კარიესს.
8. **კოფეინი** – ხსნის დაღლილობას, ძილიანობას, აქვს შარდმდენი მოქმედება.
9. **ტანინი** – აძლევს ჩაის სასიამოვნო, სპეციპიკურ გემოს.

■

რაც თავი ახსოვდა, შავი ყორანი მასში მუდამ პანიკურ შიშს იწვევდა. ამ წყეულმა ფრინველმა ბავშვობიდანვე დაისადგურა მის სიზმრებში და ის დედას ყოველთვის სთხოვდა, საგანგებო ლოცვა წაეკითხა „მისგან გასათავისუფლებლად“. წიგნში რომ შესვედროდა ყორნის სურათი, დაუნდობლად ხევდა, ანადგურებდა... ედგარმა თითქოს ადრიდანვე განჭვრიტა თავისი ბედი: შავი ყორანი მას ბევრ სატანჯველს მოუტანდა, თუმცა სახელის მოხვეჭაშიც შეუწყობდა ხელს... სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე კი, განრისხებული პო გაანადგურებს თავის პორტრეტს, რომელზეც ის მხარზე შემჯდარი შავი ყორნით გამოსახეს.

ფანტასტიკურ

zmanebaTa samyaroSi

ედის ძლიერ ატკინა გული მამილოს სიტყვებმა – წითელი კოჭივით ნუ ელოლიავებით, ხეირიანი მაინც არაფერი გამოვა ვიღაც უნიჭო მსახიობების შვილისგანო. მამილო, მისი ნება რომ ყოფილიყო, მართლა დატოვებდა ედგარს რიჩმონდში დასაღუპავად, რომ არა დედილო, რომელიც ჭკუას კარგავდა მისთვის და ისე დაკოცნიდა ხოლმე თავიდან ფეხებამდე, რომ ბიჭუნას ეჭვი ეპარებოდა, რომ მართლა აყვანილი იყო. სწორედ მან – ჯონ ალანის გულმოწყალე ცოლმა, ფრენსისმა დაიჟინა, წამოეყვანათ საბრალო, ობოლი ბიჭი უბადრუკი სენაკიდან, რომელშიც ელიზაბეტი, სამი წლის ედის დედა ჭლექით გარდაიცვალა.

ბავშვობაში ედგარი იმაზე ოცნებობდა, რომ ისიც, მამობილის მსგავსად, მოვაჭრე, ფირმა „ალანი და ელისის“ მემკვიდრე გახდებოდა, დაიქირავებდა გემებს, შემოიტანდა საფლავის ქვებს, წვრილი ფერმერებისგან ცხენებსა და ღორებს შეისყიდდა და მერე უფრო ძვირად გაყიდდა. შემდეგ შეიძენდა აგურის სახლს, ისეთს, როგორშიც ბავშვობა გაატარა – მდიდრულად მორთული ოთახებით, 5-6 ერთგული შავკანიანი მონით. ჯონ ალანივით ჩაჯდებოდა ვახშმის შემდეგ მოხერხებულ სავარძელში და ჩიბუხს გააბოლებდა – ტყუილად ხომ არ იყო მამილო, ერთ-ერთი ყველაზე იღბლიანი თამბაქოთი მოვაჭრე მთელ ვირჯინიაში...

მაგრამ ყველა ეს ოცნება გაიფანტა, როცა სავაჭრო საქმის ცვალებადობამ ალანთა ოჯახი ინგლისში ჩაიყვანა. 12 წლის სიმპათიური ბიჭუნა ლონდონის გარეუბნის – სტოუკ-ნიუინგტონის დახურულ სასწავლებელში გაამწესეს. ედგარზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა შუა საუკუნეების ატმოსფერომ, უჩვეულო არქიტექტურამ, დიდი ხეების სიგრილით გაჟღენთილმა ქუჩებმა და ძველებურმა სამრეკლომ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს ადრეც ყოფილა აქ. სწორედ მაშინ შეამჩნიეს ბიჭს პირველად რაღაც უცნაურობანი. სკოლის ამხანაგებს ხშირად უნახავთ იგი გრაფ პერსის ციხესიმაგრის ქვის ალაყაფთან მარტო მჯდომი: ბიჭი საკუთარ თავს ელაპარაკებოდა... აქვე ეწვია პირველად შავი ყორანი, რომელიც საშინელ ამბებს ჩასჩურჩულებდა. თავდაპირველად, ედი მას თავიდან იშორებდა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ არაფერი გამოსდიოდა და ყური მიუგდო. ზოგჯერ ყორანი შეისვამდა ხოლმე ბიჭს და ფანტასტიკურ ზმანებათა სამყაროში გადაჰყავდა: იქ ის დრაკონებსაც ხვდებოდა, საშინელ სამთავიან ურჩხულებს და რკინის ფრინველებსაც...

როცა ოჯახი ამერიკაში დაბრუნდა, ედგარი თავადაც ხვდებოდა: მართალი იყო მამილო, რომელიც ამბობდა, რომ ბიჭი „მათი ჯიშისა“ არ იყო, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა, თუ ძველ ოცნებებს აგურის სახლზე დაემშვიდობებოდა... მთელ თავისუფალ დროს ედგარი ლექსების წერას უთმობდა. ალანს არ ეხატებოდა გულზე ეს საქმიანობა, რეგულარულად ამოწმებდა ედის და ნაპოვნ ლექსებს უმოწყალოდ ყრიდა ბუხარში...

1825 წელს ჯონ ალანი მოულოდნელად გამდიდრდა: შოტლანდიელმა ნათესავმა უილიამ ჰელტმა მას სოლიდური ქონება – 750 ათას დოლარამდე დაუტოვა. ედგარმა უეცრად, მდიდარ მემკვიდრედ იგრძნო თავი. ძველი ინგლისის მოჩვენებები დროებით, ჩრდილში მოექცა, ყორანი გაქრა, ლექსებით სავსე რვეული საწოლქვეშ იმტვერებოდა.

ედგარი სწრაფად მიეჩვია მდიდრულ ცხოვრებას და როცა ალანმა ის ვირჯინიის უნივერსიტეტში სასწავლებლად გააგზავნა, ყმაწვილი ცოტა არ იყოს გულდაწყვეტილიც დარჩა: მამილო ძალზედ უმნიშვნელო თანხებს უგზავნიდა და ისიც ძალიან მალე ვალებში ჩაეფლო. ედგარი სათამაშო მაგიდასაც მიუჯდა, მაგრამ ბანქოს თამაშში მეტისმეტად უიღბლო

ჯონ ალანი და ფრენსისი –
ედგარ პოს მამობილი და დედობილი

აღმოჩნდა.

უნივერსიტეტში სულ უფრო ზიზღით ეპყრობოდნენ: ნამდვილი ჯენტლმენი ხომ სათამაშოდ, მხოლოდ მძაფრი შეგრძნების მისაღებად ჯდება და არა ფულის საშოვნელად! ნახევარსარდაფში მჯდომი, ის ახლა არა ლექსებს, არამედ ვრცელ წერილებს წერს – მამილოს, რომელსაც სთხოვს, გამოუგზავნოს ფული ვალების გასასტუმრებლად.

შარლოტსვილიდან ანგარიშებისა და თამასუქების დიდი დასტის მიღების შედეგად, ჯონ ალანი ლამის იყო სიკვდილის პირას აღმოჩნდა. განრისხებული მამილო გზას დაადგა. ის შეუვარდა შვილობილს, გალანძღა და ბოლოს, ტროსტიც კი უთავაზა... როგორც გაირკვა, ედგარი კარტის თამაშით დაგროვილ ვალებს, შეკვეთილი ტანსაცმლის ჩეკებით ისტუმრებდა: მამილოს ჩამოსვლის დღისთვის მას ძვირად ღირებული მაუდისაგან შესაკერი 17 პალტოს ვალი ჰქონდა!

ცხადია, ჭაბუკი უნივერსიტეტს გამოემშვიდობა. მაგრამ ყველაზე დიდი საშინელება ის იყო, რომ ალანმა კატეგორიული უარი განაცხადა ვალების დაფარვაზე. „ღირსების კოდექსის“ დაუწერელი წესების თანახმად, ამ შემთხვევაში ცხოვრებას ხშირად თვითმკვლელობით ამთავრებდნენ ხოლმე. ვირჯინიის შტატი კი, განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირჩეოდა შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულებების სფეროში: დამრღვევს ციხე ემუქრებოდა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და სახელგატეხილ, განადგურებულ ედგარს სხვა არაფერი დარჩა, თუ არა გაქცევა – ნებისმიერი მიმართულებით ყოველგვარი სახსრის გარეშე.

უფალმა მიატოვა ედგარ პო, რათა არასოდეს მიბრუნებულიყო მისკენ. საბრალო ჭაბუკი წარმოუდგენელ ხერხებს მიმართავდა იმისთვის, რომ თავი დაეღწია ახალ-ახალი განსაცდელისაგან, მაგრამ ბედისწერა კვლავ და კვლავ აღმართავდა მის წინაშე დაბრკოლებებს.

შიმშილმა და სრულმა უსახსრობამ აიძულა 18 წლის ედგარი, ჯარში სამსახურის თხოვნის პატაკი შეეტანა. მოლეულმა, დასნეულებული გარეგნობის ჭაბუკმა ანკეტაში თავის ასაკს ოთხი წელი დაუმატა და რიგითად ჩაეწერა საარტილერიო პოლკში, რომელიც სალივანის კუნძულზე მსახურობდა. პირქუში პეიზაჟის ამ კუნძულმა ედგარს ინგლისში გატარებული წლები გაახსენა. ჯარისკაცულ მოვალეობებს აქ ბევრი დრო არ მიჰქონდა, არც განსაკუთრებული მეგობრობა აკავშირებდა ვინმესთან და ედგარი ძირითადად, ბაირონის, შელის, კიტსის ნაწარმოებების კითხვით ირთობდა თავს. ერთხელაც, როცა ჩვეულებისამებრ, განმარტოებით დაბორიალებდა, მის თვალწინ ყორნის ნაცნობი სილუეტი გაჩნდა. იმ დღიდან, ძველებური სიძლიერით მიეძალა ფანტასტიკური ზმანებები.

პოს სახლი რიჩმონდში, ვირჯინიის შტატი

უეცრად პომ უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა გააკეთა: ერთადერთი გზა, ებრძოლოს მათ – ამ ზმანებათა მოთხრობებად გარდაქმნაა. შეთხზვისაკენ სწრაფვამ ის მოიტანა, რომ ედგარი ძალზედ გონებაგაფანტული გახდა: არად დაგიდევდათ სამსახურებრივ მოვალეობებს, არასწორად პასუხობდა დასმულ კითხვებზე... მეთაურმა წერილი მისწერა ჯონ ალანს, მაგრამ იყო პასუხი, რომ არავითარი კავშირი არა მაქვს „ამ ნაძირალასთანო“. როცა ოფიცერი მამობილის წერილის ნაწყვეტებს რაზმის თანდასწრებით კითხულობდა, პო დამცირებისაგან კანკალებდა, ბოლოს კი გონება დაკარგა.

გადატანილ უბედურებათა შემდეგ, გარდაცვლილი ღვიძლი მამის დას რომ არ შეეკედლებინა, ედგარი ალბათ შიმშილისგან დაიღუპებოდა. მასთან ბალტიმორში პო უჩვეულოდ გრძნობდა თავს: მას თითქოს თრგუნავდა ქალაქის უზარმაზარი მასშტაბები – ყველაზე დიდი ნავსადგური, ჯორჯ ვაშინგტონის ყველაზე დიდი ძეგლი. აქ შეიგრძნო ყველაზე მეტად ანტიპათია სამშობლოს მიმართ და ხშირად ფიქრობდა – ინგლისში რომ დავრჩენილიყავი, იქნებ მთელი ჩემი ცხოვრებაც სხვაგვარად წარმართულიყოო....

მას განსაკუთრებით თრგუნავდა უპოვარ მამიდასთან მდგმურის მდგომარეობა, ის იშვიათად უყურებდა მასა და მის ქალიშვილს – ვირჯინიას, პირდაპირ თვალებში და ხშირად იმეორებდა, რომ მალე გამდიდრდება და სახელსაც მოიხვეჭს... ედგარი მართლაც ბევრს წერდა და იმედს არ კარგავდა, რომ თავის თხზულებებს, ბოლოს და ბოლოს, მიჰყიდდა რომელიმე გამომცემლობას.

ერთხელ, ბალტიმორის ჟურნალის რედაქციაში ყოფნისას, ედგარმა ახალგზარდა პოეტი ქალი – ლი სტრუნი

ბალტიმორში მამიდამ შეიფარა

გაიცნო. ის მანამდეც იცნობდა ლის იდუმალ, მისტიკურ პოეზიას. სტრუნმა მოულოდნელად შესთავაზა, სპირიტულ საზოგადოებაში ჰხლებოდა. მან ბალტიმორის ერთ-ერთ მდიდრულ ქვის სახლში მიიყვანა, სადაც მათ მოხდენილი დიასახლისი შეეგება. ჩაბნელებულ ოთახში თხუთმეტიოდე კარგად ჩაცმული ადამიანი შეკრებილიყო. ყველანი მაგიდას შემოუსხდნენ და თეფშმა თავისი იდუმალი ტრიალი დაიწყო...

ედგარი ამ შეკრებათა მუდმივი მონაწილე გახდა, მალე კი მედიუმის უდავო შესაძლებლობები გამოავლინა. სპირიტულ სეანსებს მან განმარტოებით, თავის მანსარდაში მიჰყო ხელი. ერთხელ ღამით, საშინელი ზმანებებით გატანჯულმა, გადაწყვიტა, საბედისწერო შეკითხვა დაესვა უმაღლესი ძალებისათვის: რა უყოს თავის უბედურ ცხოვრებას? ხომ არ სჯობს, ხელი ჩაიქნიოს ყველაფერზე?.. მან მოულოდნელი პასუხი მიიღო: „შენს დაზე დაქორწინდი. მაშინ იგემებ ბედნიერებასაც, სახელსაც“.

ედგარი გაოგნებული იყო — რა უცნაური რჩევაა!

ის კარგად იყო გათვითცნობიერებული მისტიკურ მოძღვრებში და იცოდა, რომ ზოგი მათგანი დასაშვებად მიიჩნევდა სისხლის აღრევას, რომელიც ზოგჯერ ადამიანებს არნახულ შესაძლებლობებს უხსნის. პო ეკითხებოდა საკუთარ თავს: იქნებ მან რაღაც ზღურბლს გადააბიჯა, რომლის იქითაც მდიდარი წარმოსახვა ავადმყოფობაში გადადის? მას მართლა ჰყავდა და — პატარა როზალი რიჩმონდში, მაკენზის ოჯახში დარჩა, რომელმაც ის მშობელი დედის დაღუპვის შემდეგ შეიფარა. მას „ნამცეცას“ ეძახდნენ — თუმცა ედგარზე მხოლოდ ერთი წლით უმცროსი იყო — მაგრამ არა ასაკის, არამედ სუსტი გონებრივი განვითარების გამო. რა სისულელეა! — ფიქრობდა ედგარი და... უცებ თითქოს ვიღაცის ნარნარი ამოსუნთქვა მოესმა. ღმერთო ჩემო — ვირჯინია! მისი მამიდაშვილი! არაჩვეულებრივი, ცისფერთვალება არსება, რომელიც ჯერ მხოლოდ 12 წლისა იყო. ნუთუ არ შეიძლება, ვირჯინია შეირთოს? ედგარი საოცარმა მღელვარებამ მოიცვა.

ის 27 წლისა იყო და ამ დროს, ნორმალური, საფუძვლიანი ურთიერთობა ქალთან არასოდეს ჰქონია. არა, შეყვარებით კი ჰყვარებია და ძალიან ძლიერადაც: უნივერსიტეტში გამგზავრებამდე მეზობელ გოგონასთან — პუტკუნა ელმირა როისტერთან ნამდვილი რომანიც ჰქონდა. ისინი რიჩმონდის საუცხოო ბაღში დასეირნობდნენ, ედგარი მას ლექსებს უძღვნიდა, შემდეგ უნივერსიტეტიდანაც სწერდა წერილებს, თუმცა პასუხი არ მიუღია. შემდეგ კი შეიტყო, რომ მშობლებმა მდიდარ მრეწველს მიათხოვეს... ადრე მას თავშიც არ მოსვლია დაოჯახება. ახლა კი, კაცმა რომ თქვას, რატომ არ შეიძლებოდა ვირჯინიაზე ეფიქრა?! ედგარი მიხვდა, რომ ეს უბრალო, უეშმაკო გოგონა ყველაზე ძვირფასი არსება იყო მისთვის მთელ ქვეყანაზე. ის ერთადერთი იყო, ვინც სიხარულით ეგებებოდა შინ მისულს, კისერზე ეკიდებოდა... ნამდვილი ანგელოზია...

ვირჯინია ყველაზე ძვირფასი არსება იყო მისთვის მთელ ქვეყანაზე

1835 წლის 2 სექტემბერი... რა ძლიერ დაამახსოვრდა ეს დღე და ბალტიმორის წმინდა პავლეს საეპისკოპოსო ეკლესიაში გამართული უცნაური ცერემონია. ის, ედგარი, მეზობლებისგან ნათხოვარ სერთუკში გამოწყობილი, საქორწინო ფიცს დებს, მის გვერდით კი ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი ჰაეროვანი არსება დგას. მათ ერთადერთ ხელისმომკიდედ ქვრივისჩაჩიანი ხნიერი ქალი — საპატარძლოს დედა, მისის კლემი ჰყავდათ. ვირჯინიას პატარა სახეზე სინანული აღბეჭდვოდა: მას ისე უნდოდა ხალხთან ეტრაბახა, რომ უკვე ნამდვილი, მოზრდილი ქალი იყო — ამ დროს კი, ქორწინება მკაცრად გასაიდუმლოებულად ჩატარდა და დედამ და მეუღლემ კატეგორიულად აუკრძალეს, ვინმესთვის ეთქვა მომხდარის შესახებ: ამის შედეგად, სარეგისტრაციო წიგნშიც კი არ დარჩა მათი შეუღლების ამსახველი ჩანაწერი.

პოს თავადაც უკვირდა, რომ მამიდა დაიყოლია. მისის კლემისთვის საკმარისი აღმოჩნდა იმის დაპირება, რომ მის შვილთან შეუღლებისთანავე ედგარი იშოვის სამსახურს და ოჯახის რჩენას შეძლებს. მისის კლემს ძალიან ეშინოდა, რომ ძმისშვილი მათ მიატოვებდა: ედგარის გარდა, მას ხომ არავის იმედი არ შეიძლებოდა ჰქონოდა. და კიდევ — მან სიძეს ფიცი დაადებინა, რომ სანამ ვირჯინია მოწიფულობის ასაკს არ მიაღწევდა, ედგარი მას თითსაც არ დააკარებდა.

მოსალოდნელმა საოცრებებმა არ დააყოვნა: პომ მოულოდნელად გაიმარჯვა საუკეთესო მოთხრობის კონკურსში, რომელიც გაზეთმა BALTIMOR SATURDAY VISITOR გამოაცხადა. იმის გარდა, რომ მისი „ფოლიოს კლუბის მოთხრობები“ დაიბეჭდა, მალე გაზეთში საქებარი სტატიაც გამოქვეყნდა, რომელსაც ქალაქის გავლენიანი ლიტერატორები აწერდნენ ხელს. სიხარულით გაგიჟებული ედგარი მისის კლემის ცხვირწინ აფრიალებდა გაზეთს და გაჰყვიროდა: „ნახე! ამას ხომ ჩემზე წერენ: „მდიდარი ენა, უშრეტი გამომგონებლობა, გასაოცარი განსწავლულობა!“

დასასრული შემდეგ ნომერში



მანქანის ძარის ტიპი
ატკინსონის სასცენო სახე
ინგლისელი როკ-მუსიკოსი
"der, die, das" (დამხმარე სიტყვები)
იუპიტერის თანამგზავრი
გასართობი თამაში
მოსეს მცნებათა რაოდენობა
„ოიდიპოს მეჟე“, „ელექტრა“ (ავტორი)
კარაბადინის ავტორი
შრილანკის დედაქალაქი
ცხენის კუდი
ნოტი
რომის პაპის დიპლომატ. წარმომად.
მიკლუხო-...
მილიარდის სინონიმი
ვოლტებით იზომება
ორკორპუსიანი გემი
საძრახისი თავგადასავალი
ღვინის დასაყენებელი ადგილი
თამაში ბანქოთი
აღმგზნები ნივთიერება სპორტსმენთათვის
ძილის წინ ნამღერი სიმღერა
სცენის წინა განათება წინათ
გამომძიებ. აგატა კრისტის მოთხრობ.
გასანათებელი ხელსაწყო
ასკორბინის მჟავა თავისი არსით
პოლიტიკ. მიზანდასახ. შექმნილი სახე
სადავო საკითხის საჯარო განხილვა
დეტექტიური ჟანრის შემქმნელი
მიწის საზომი ერთეული
სამხედრო წოდება
პორტუგალიის საფეხბურ. გუნდი
საქონლის შემოსვლა უცხოეთიდან
ლიმონის კანი
კონკურსის ეტაპი
დიდი ფრანველის ფრენის სტილი
სამხედრო გეგმების ერთობლიობა
ქართველი წმინდანი
შეადგინა რამაზ ალანიამ

მე-9-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ბ; 2-ა; 3-ა.

მე-19-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ბ; 4-გ.

კვირის (7–13 მაისი) ასტროლოგიური პროგნოზი

კრეტ – 21/IV-21/V

ბოლოს და ბოლოს, მოგეცემათ საშუალება, დიდი ხნის დაგროვილი იდეები გამოამზეუროთ. მშვიდად ბრძანდებოდეთ, მათ გაგებით შეხვდებიან და უმალ აიტაცებენ. უფრო მეტიც, გამორიცხული არ არის, რომ უკვე ამ კვირაში ახალ-ახალი ვალდებულებები დაგაკისრონ და იდეების ცხოვრებაში გატარება მოგიხდეთ.

მარგალიტი – 22/V-21/VI

კვირის უმეტეს დღეებში გარკვეული ფსიქოლოგიური დისკომფორტი გელით. ეს იმით აიხსნება, რომ თქვენ სამუშაოსა და პირად ცხოვრებას შორის არჩევანის გაკეთება გიჭირთ. უქმეებში, რა თქმა უნდა, პირად ცხოვრებას მიანიჭებთ უპირატესობას. და თანაც როგორ! დიდი შანსია კვირას, ან შაბათს სიყვარული აგიხსნან (ან თქვენ აუხსნათ) და ხელი გთხოვონ (ან თქვენ სთხოვოთ).

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

კომპრომისზე წასვლა მოგიწევთ. რაც უფრო ჯიუტი და გაუტეხელი იქნებით კვირის განმავლობაში, უქმე დღეებში მით უარეს მდგომარეობაში – თქვენი მავნე ჩვევების ტყვეობაში აღმოჩნდებით.

ლომი – 23/VII-23/VIII



ამ კვირაში გარშემომყოფთა თვალში ერთი-ორად ამაღლდებით. შინ ნებისმიერი კონფლიქტის საუკეთესოდ მოგვარებას შეძლებთ, ხოლო სამუშაოზე ბრწყინვალე იდეებით გააოცებთ ყველას. ერთადერთი, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს ერიდეთ იმპულსურ ქმედებებს.

ქალწული – 24/VIII-23/IX



გიხაროდენ! თქვენს ქუჩაზე გაზაფხული დადგა! სამუშაო კვირა ძალიან მსუბუქი აღმოჩნდება და უამრავი დრო დაგრჩებათ მეგობრებისა და საყვარელი ადამიანისათვის. შედეგი – ბევრი სასიამოვნო განცდა მთელი კვირის განმავლობაში და მეტად მრავლისმეტყველი პერსპექტივები პირად ცხოვრებაში.

სასწორი – 24/IX-23/X

დადგა დრო, დახუროთ ის პროექტები, რომელსაც შედეგი არ მოაქვს და დაემშვიდობოთ იმ პარტნიორებს, რომელთაც ფუჭი დაპირებების გარდა, არაფერი შეუძლიათ. თავადაც გაგიკვირდებათ, ეს საქმე ისე გაგიიოლდებათ და მოგვიანებით ისიც გაგაკვირვებთ, რამდენად ეფექტური აღმოჩნდება ეს პროცედურა.

ღრიანკალი – 24/X-22/XI

მთელი ეს კვირა, და მთელი აპრილი სიყვარულის ბურუსით იქნებით მოცული. ასე რომ, საქმეზე კონცენტრირება გაგიჭირდებათ. მაგრამ, თუკი მაინც დაატანთ თავს ძალას, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს დიდ წარმატებებს მიაღწევთ. ეს დღეები პოზიტიურია მომგებიანი გარიგებებისა და პერსპექტიული ფინანსური საქმეების წამოწყებისათვის.

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

ყურადღება გაამახვილეთ წვრილმანებზე, განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდეთ დოკუმენტებზე მუშაობას, თორემ, შესაძლოა შეცდომა გაგეპაროთ. გარდა ამისა ოთხშაბათს, შეიძლება, გადაეყაროთ ისეთ ადამიანს, რომლის გამოც უსიამოვნება შეგხვდებათ და ნერვები აგეშლებათ.

თხის რქა – 22/XII-20/I

ძალიან სასიამოვნო კვირა გელით. მართალია, საგულისხმო არაფერი მოხდება, მაგრამ არც რაიმე უსიამოვნება შეგემთხვევათ. თქვენ გელით ბევრი მხიარული საღამო, ქეიფი, სითბო და სასიამოვნო გარემო ოჯახში. თეატრში, კინოსა თუ კონცერტზე წასვლის საშუალებაც მოგეცემათ. მოკლედ, შეგიძლიათ დატკბეთ ცხოვრებით.

მერწყული – 21/I-19/II

ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეები ოთხშაბათსა და ხუთშაბათს მოგელით. მთელი უბედურება ის არის, რომ ყველაზე მეტად სწორედ ამ დღეებში გაგიჭირდებათ საქმეზე ყურადღების კონცენტრირება. რას იზამთ? იქნებ, შეძლებისგვარად, წინასწარ მოემზადოთ და უსიამოვნება თავიდან აიცილოთ.

თევზები – 20/II-20/III

წარმატება გელით ყველგან და ყველაფერში, გარდა ფინანსური სფეროსი. აქ ყველაფრის წინასწარ გათვლა და ზუსტად დაგეგმვა მოგიხდებათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, სავალალო შედეგი მიიღოთ. ემოციური თვალსაზრისით კი, ეს კვირა ძალიან დატვირთული და სასიამოვნო იქნება.

ვერძი – 21/III-20/IV

ამ კვირაში, შესაძლოა, სამსახურში დაგაწინაურონ და შესაბამისად, ანაზღაურებაც გაგიორმაგონ. ოღონდ, ნუ იჩქარებთ, მაშინაც კი, თუ ამას ხელმძღვანელობა მოგთხოვთ. თუ გნებავთ, რომ დასახულ მიზანს მიაღწიოთ, თქვენი ყოველი ქმედება კარგად გააზრებული უნდა იყოს.

კმაყოფილი ხართ თუ არა საკუთარი თავით?

ამბობენ, რომ სავსებით სრულყოფილად არც ერთი ტესტი არ შეიძლება ჩაითვალოს. და მაინც, სცადეთ, უპასუხეთ ქვემოთ დასმულ შეკითხვებს და შეძლებთ გაერკვეთ, რამდენად ჰყავხართ შეპყრობილი საკუთარი თავით უკმაყოფილების კომპლექსს.

1) გიოცნებიათ ოდესმე, რომ ხელახლა დაბადებულიყავით და ცხოვრება სულ თავიდან დაგეწყოთ?

დიახ – 4,

არა – 16

2) გაქვთ რაიმე ჰობი?

დიახ – 18,

არა – 5.

3) როდესაც რაიმე საქმე არ გამოგდით, ეუბნებით თუ არა საკუთარ თავს „ასეთი რამ მხოლოდ მე შეიძლება მომსვლოდა“?

დიახ – 6,

არა – 12

4) გიხარიათ, როცა თქვენი ვინმეს შურს?

დიახ – 16,

არა – 2.

5) შეგელახებათ თუ არა თავმოყვარეობა, თუ ვინმე მოსაწყენ, არასიმპათიურ ადამიანს გიწოდებთ?

დიახ – 3,

არა – 12.

6) გაწყნარებთ თუ არა ის ფაქტი, თუ თქვენს ნაცნობს იგივე უსიამოვნება შეემთხვევა, რაც ოდესღაც თქვენ შეგემთხვათ?

დიახ – 18,

არა – 5.

7) განიცდით თუ არა, რომ რაიმე საქმე საკმაო წარმატებით თქვენი მონაწილეობის გარეშეც მიმდინარეობს?

დიახ – 2,

არა – 16

8) ხშირად მოგდით აზრად, რომ შეიძლება ლატარიაში ან სპორტლოტოში დიდი თანხა მოიგოთ?

დიახ – 4,

არა – 20

9) გიჩქარდებათ თუ არა გულისცემა, როცა გებულობთ, რომ თქვენმა ნათესავებმა ან მეგობრებმა ძვირფასი რამ შეიძინეს?

დიახ – 1,

არა – 12

10) გიყვართ თუ არა დიდი აუდიტორიის წინ სიტყვით გამოსვლა?

დიახ – 16,

არა – 3



დააჯამეთ მიღებული ქულები

120 ქულა და მეტი: საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი ხართ. ალბათ, არ გაქვთ საკმარისი თვითკრიტიკის და რეალური თვითშეფასების უნარი. შეეცადეთ, გაერკვეთ და შეაფასოთ ყველა მდგომარეობა და სიტუაცია მეგობრებისა და ახლობლების დახმარებით. მეტისმეტი თავდაჯერებულობა მხოლოდ ზიანს მოგიტანთ. უნდა შეზღუდოთ თქვენი პირადული ამბიციები.

60-120 ქულა: საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში საკმაოდ დარწმუნებული ხართ, ამასთან არ გაგაჩნიათ საკუთარ თავზე ზედმეტად შეყვარებულის და მეტისმეტი კმაყოფილების გრძნობა. ნამდვილად შესაშური ბალანსია, ყველანაირად ეცადეთ, არ დაარღვიოთ იგი და მუდამ შეინარჩუნოთ. მაგრამ თავში ნუ აგივარდებათ. არ დაგავიწყდეთ, რომ ბალანსი ადვილად ირღვევა...

60 ქულა და ნაკლები: საკუთარი თავი არ მოგწონთ, მაგრამ აუცილებელია ძალები მოიკრიბოთ, თავი ხელში აიყვანოთ და თვითდაჯერებულობა მოიპოვოთ. მიმოიხედეთ ირგვლივ და დაფიქრდით – იქნებ საკუთარ თავს სათანადოდ ვერ აფასებთ და თქვენს წარმოდგენაში შექმნილ „მე“-ზე ბევრად უკეთესი ხართ. გახსოვდეთ, თვითკრიტიკა კარგია, მხოლოდ ზომიერად!

მითხარი, რას ჭამ და გეტყვი, ვინ ხარ

მამაკაცები, რომლებსაც სტაფილო უყვართ, ისევე როგორც სტაფილოს მოყვარული ცხოველები, ვნებიანი მიჯნურები არიან. ამას ადასტურებს იტალიელი მეცნიერების ბოლოდროინდელი გამოკვლევებიც, რომლითაც ერთი საინტერესო გარემოებაც გაირკვა: თურმე ქალბატონები, რომლებიც ხშირად მიირთმევენ უმ სტაფილოს, ღია ფერის ტანსაცმელს ანიჭებენ უპირატესობას; ყავის მოყვარულთ ფლირტისკენ აქვთ მიდრეკილება; ძლიერი სქესის წარმომადგენლები, რომლებიც ბევრ ბატიბუტსა თუ კარტოფილის ჩიპსს მიირთმევენ, მათი პარტნიორი ქალბატონების ინფორმაციით, კარგი მიჯნურის თვისებებით გამოირჩევიან. ღორის ხორცის მოყვარულები კი — ნამდვილი ეგოისტები არიან, აი, პურის მოყვარული ადამიანები თურმე განსაკუთრებული ერთგულებითა და გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევიან.

45.000 ᲓᲝᲚᲐᲠᲘ!!!

სწორედ ამდენი გადაიხადა ანონიმურმა მყიდველმა, კოლუმბიის მაფიისთვის კონფისკაციის წესით ჩამორთმეულ მოტოციკლეტში, რომელიც „კრისტის“ აუქციონზე გამოიტანეს. ამ ტექნიკური სასწაულის საბურავებს იქაური მაფიოზები, რეზერვუარებად იყენებდნენ კოკაინის გადატანისას. რისთვის გამოიყენებს მოტოციკლს მისი ახალი ინკოგნიტო მფლობელი — ამას, ცხადია, ვერავინ იტყვის.

ᲮᲝᲛ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲑᲐᲫᲝᲗ ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐᲡ?!

ბრაზილიელი მაწანწალა და პატიმარი ქალები ქვედა საცვლების რეკლამირებაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელსაც ამ სფეროს ერთ-ერთი მოწინავე ფირმა აწყობს.



რეკლამმეიკერებს ეკუთვნის ჩანაფიქრი, რომლის მიხედვითაც, სარეკლამო კლიპებში გადასაღებად მიიწვევენ არა პროფესიონალ მოდელებს, როგორც მიღებულია, არამედ ჯურღმულისა და საპატიმროების ბინადარ ქალბატონებს. ამჟამად, მზად არის 27 წლის ორი მანდილოსნის ფოტოსურათი, რომელთაგან ერთი სწორედ ჯურღმულის, ხოლო მეორე — რიოდე-ჟანეიროს ციხის ბინადარია.

იჩხუბე, ᲮᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲑᲘᲜᲓᲐ

37 სანტიმეტრიანი კვერცხისთავა ქმნილება, რომელიც 5 კგ-ს იწონის, იაპონელი გამომგონებლების აზრით, მომავალში ოჯახური კონფლიქტების მოწესრიგების საუკეთესო საშუალება იქნება. რობოტის მეხსიერებაში 3000 წინადადებაა ჩაწერილი, მას შეუძლია გაარჩიოს 650 გამოთქმა, მათ შორის არანორმატიული ლექსიკა, და თითოეულს შესაბამისად უპასუხოს. ამასთან, როგორც ამბობენ, რობოტის პასუხები მისთვის პანღურის ამორტყმის სურვილსაც ბადებს...

ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ · ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში შემოთავაზებული რუბრიკის — „ფანტაზიის“ პასუხად მკითხველთა მიერ გამოგზავნილი ქვითრების მიხედვით, გაიმარჯვა ბატონმა დავით თევზაძემ

ᲕᲣᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲕᲣᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ!

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲑᲐᲨᲔᲑᲘ

(მკითხველის გვარი, სახელი)

(ცნობილი პიროვნებები)

ამ რუბრიკით თქვენი წარმოსახვის გავარჯიშებას გთავაზობთ. გაითვალისწინეთ ჩვენი კომენტარი და ფოტოზე აღბეჭდილ სახეს ის ცნობილი პიროვნება მოარგეთ, რომელიც ყველაზე მეტად მოუხდება. ჟურნალის შემდეგ ნომერში ფოტო იმ პიროვნების სახით გამოქვეყნდება, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს.

გთხოვთ, შეავსოთ ქვითარი და პასუხები გამოგვიგზავნოთ, თბილისში განთავსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ქვითარი ჩააგდეთ სამშაბათის (8 მაისის) 13 საათამდე.

„ფანტაზია“
ეკონომიკის
ექიმბაშები

C607 EUM
„ფანტაზიორებს
მაიმოხვევლე“
ეს, ეს ალბათ
ალბერტია?!

შერინგი (გერმანია) 6 14/17 SCHERING

ულტრაპროქტი

(მალამო და სანთლები)

ბუასილის ეფექტური მკურნალობა

უკან მორჩენილი ჰრობლემები